

ქართველოლოგიის განყოფილებას  
შთარგმნელისაგან

29.07.2008



გამომცემლობა „მნიშვნეობარი“

ლუიჯი მაგაროტო

საქართველოს  
ანექსია  
რუსეთის მიერ  
(1783-1801)

იტალიურიდან თარგმნა  
სალომე ძენჭოშვილმა

თბილისი – 2008

ISBN 978-9941-9019-0-4

© სალომე კენტოშვილი, 2008

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2008

## წინათქმა ქართული გამოცემისათვის

ამ წიგნში აღწერილ მოვლენებს, რომლებიც საქართველოს ისტორიის საბედისწერო ჟამს ხდებოდა და კარგადაა ცნობილი ქართველი ისტორიკოსებისა და ალბათ მკითხველებისთვისაც, არ იცნობენ რუსეთის ისტორიის იტალიელი მკვლევრები, სლავისტები და საზოგადოება. სწორედ მათთვის დაიწერა ეს წიგნი. ძარგა ხანია, ამ უკანასკნელთა შორის გავრცელებულია თვალსაზრისი, თითქოს 1801 წელს საქართველოს შეერთება რუსეთთან თვითონ ქართველების მკაფიოდ გამოხატული თხოვნით მოხდა და საამისოდ მათ არავითარი პირობა არ წამოუყენებიათ.

როგორ გავრცელდა ეს მცდარი თვალსაზრისი იტალიაში? უბრალოდ, იტალიელმა ისტორიკოსებმა და სლავისტებმა ამ საკითხზე იგივე გაიმეორეს, რასაც რუსი ისტორიკოსები წერდნენ, რომლებმაც თავიანთი ავტორიტეტით ხელი შეუწყვეს იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში გაცხადებული პროპაგანდისტუ-

ლი და უმართებულო თვალსაზრისის განმტკიცებას, თითქოს რუსეთმა საქართველო ქართველი მეფისა და ხელისუფლების კონკრეტული თხოვნის საპასუხოდ შეიერთა.

მართლაც, რუსეთის იმპერატორი თავის მანიფესტში კადნიერად აცხადებდა: “პრა ძალთა შემატებისათვის, არც ანგარებისათვის, არც მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მფარველობისა და მართვის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვკარნახობს ჩვენ საღვთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პიროვნებისა და მისი ქონების ხელშეუხებლობას და კანონისმიერი უფლებების დაცვას”.

მას შემდეგ ფაქტების გააზრების ამ ტენდენციურ და მიკერძოებულ ვერსიას, რომელსაც რუსი ისტორიკოსები ცარიზმის დროს იცავდნენ, იმპერიული ველიკოდერჟავული მრწამსიდან გამომდინარე, ჯერ საბჭოთა, ხოლო ამჟამად — პოსტსაბჭოთა ისტორიკოსები მიუბრუნდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, დღესაც კი, 1801 წლის მოვლენებიდან ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, რომლებიც აღსავსე იყო არნახული პოლიტიკური რყევებით, რეჟიმების ცვლით, ომებითა და იმპერიების რღვევით, რუსი ისტორიკოსები კვლავაც ორი საუკუნის წინ შემუშავებული ვიწრო ტენდენციური თვალსაზრისის დაცვას განაგრძობენ.

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან ცოტა ხნის შემდეგ ზოგიერთმა ქართველმა მოაზროვნემ. პრეკლე II-სა და პეტერინეს შორის დადებულ მეგობრობისა და მფარველობის ხელშეკრულებაში ისეთი შინაარსი ამოიკითხა, რამაც რუსებს სამართლებრივი საბაზი მისცა ტრაქტატის ხელმოწერიდან ოციოდე წელში საქართველოს ანექსია მოეხდინათ. ეს იყო ტრაქტატის არაკეთილმოსურნე და მეტიც — რადიკალური გააზრების გამოვლინება (სხვათა შორის, ამგვარ თვალსაზრისს არაერთი ქართველი მეცნიერი დღესაც იზიარებს). სინამდვილეში კი შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ტრაქტატი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოქმედი იმ სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად არის შედგენილი, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოს მიერ სუსტი სახელმწიფოს მფარველობის პირობებს გულისხმობს. ამ საკითხით დაინტერესებულ ისტორიკოსებსა და სამართალმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს იურიდიულად არასოდეს უთქვამს უარი თავის სუვერენიტეტსა და, შესაბამისად, დამოუკიდებლობის უფლებაზე.

1800 წელს ბიორგი XII-ის თხოვნა იმპერატორ პავლე I-სადმი საქართველოს მიღებაზე რუსეთის იმპერიაში იმ პირობით, რომ ბაგრატიონთა დინასტიას შეუნარჩუნდებოდა ტახტი და რუსეთის იმპერატორის სახელითა და მის ნაცვლად საქართველოს მართვა-განმგებლობის უფლება ექნებოდა, სავსებით გააზრებულ პოლიტიკურ ლოგიკას შეიცავდა და მომდინარეობდა იმ ტრადიციიდან, რომელიც სპარსეთში სეფიანთა დინასტიის ბოლო წლებში დამკვიდრდა, როდესაც საქართველოს მეფე შაჰისათვის ამ მხარის მმართველი — ვალი

(ნაცვალი) იყო, ხოლო ქართველებისათვის — ნამდვილი მეფე. ამგვარივე ურთიერთობა არსებობდა ინდოელ რაჯებსა და ბრიტანეთის იმპერიას შორის; მეტიც, მოგვიანებით ეს ტრადიცია წესად იქცა კოლონიური ქვეყნების მიერ დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკაში.

პირთი სიტყვით, როგორც პრეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის ხელმოწერილი ტრაქტატი, ასევე ბიორგი XII-ს თხოვნა პავლე I-სადმი საქართველოს მიღებაზე რუსეთის იმპერიაში ქვეყნის მართვა-განმგებლობის შენარჩუნების პირობით, იყო არა ძლიერი სამხედრო სახელმწიფოს წინაშე დანებების აქტი, არამედ სავსებით გააზრებული პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმებს შეესაბამებოდა. მაგრამ რუსეთმა მოისურვა, ქართველი მეფეების პოლიტიკური დახმარების თხოვნა მხოლოდ თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა.

1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ, თუ 1917-1921 წლების ხანმოკლე პერიოდს არ ჩავთვლით, თითქმის ორ საუკუნეს გასტანა, ვიდრე 1991 წელს ქვეყანა კვლავ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას ისეთი მსხვერპლის ფასად როგორცაა სამოქალაქო ომი და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ პატარა ქვეყნისათვის დიდ ქვეყანასთან მეზობლობა არასოდეს ყოფილა ადვილი. ასე იყო უწინ და ასეა დღესაც. მრავალი ქვეყნის მიერ გადატანილი ომების, ტანჯვისა და დამცირების შემდეგ დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან ძალ-

მომრეობაზე და მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ურთიერთპატივისცემას მიაღწიონ.

ამ ნაშრომის თარგმანი ქართულ ენაზე შესაძლებელი გახდა სალომე ტენჭოშვილის პროფესიული და სერიოზული მიდგომის წყალობით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ლუიჯი მაგაროტო

პენეცია, შობა 2007





## წინათქმა

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, იტალიელ მკითხველებს ამთავითვე განვუმარტოთ, თუ რატომ დავინტერესდით რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებული “შეგობრობითი ტრაქტატით” და შემდგომ რუსეთის იმპერიის მიერ ამ კავკასიური ქვეყნის ანექსიით, მაშინ, როდესაც ამ მოვლენების შესახებ დოკუმენტების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია, ამდენად ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის და თანაც ამ საკითხზე დასავლეთევროპულ ენებზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს.

ამ კვლევა-ძიებისაკენ იტალიურ სლავისტიკაში საყოველთაოდ გავრცელებულმა იმ თვალსაზრისმა გვიბიძგა, რომლის თანახმად, საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან თვით ქართველების თხოვნით მოხდა, რომლებსაც თან რაიმე პირობა არ წამოუყენებიათ. ეს თვალსაზრისი პირველად იტალიური სლავისტიკის მამამთავარმა ეტორე ლო ბატომ ჩამოაყალიბა: “რუსეთმა თავი მოუყარა

თავის ჯარს ბავკასიაში და მეფე პრეკლეს შვილის თხოვნით გამოაცხადა საქართველოს ხელახალი შეერთება [riunione] რუსეთთან”<sup>1</sup>. მოგვიანებით ამ შეხედულებამ იმდენად მოიკიდა ფეხი, რომ ასეთ მტკიცებას ამ ბოლო დროს იტალიაში გამოცემულ რუსული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სახელმძღვანელოშიც კი ვხვდებით.

ჩვენ წინაშე წამოიჭრა კითხვა: რომელ წყაროებს შეიძლებოდა შეეყვანა შეცდომაში ლო ბატო და რუსული კულტურის პირველი მკვლევრები იტალიაში? ამ მხრივ, სხვა ნაშრომებთან ერთად უნდა აღინიშნოს ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვასილ ძლიუჩევსკის წიგნი *Курс русской истории* (“რუსეთის ისტორიის კურსი”), სადაც ვკითხულობთ:

ჯერ კიდევ 1783 წელს სპარსეთის მიერ შევიწროებულმა საქართველოს მეფე პრეკლემ რუსეთის მფარველობა მიიღო. მკატერინე იძულებული გახდა ბავკასიის ქედის გადაღმა, ობილისში, რუსული პოლკი გაეგზავნა. მისი გარდაცვალების შემდეგ, რუსებმა დატოვეს საქართველო, სადაც სპარსელები შეიჭრნენ და ყოველივე გააჩანაგეს. იმპერატორი ბავლე იძულებული გახდა, დახმარებოდა ქართველებს და 1799 წელს პრეკლეს მემკვიდრე – ბიორგი XII საქართველოს მეფედ ეცნო. ბიორგიმ სიკვდილის წინ საქართველო რუსეთის იმპერატორს უანდერბა [завещал], რომელიც იძულებული გახდა 1801 წელს მიეღო ნაანდერბევი. ქართველებმა ყველაფერი იღონეს რუსეთის იმპერატორის მფარველობის მისაღებად.<sup>2</sup>

ჩვენი ნაშრომის გაცნობისას მკითხველი დარწმუნდება, რომ ცნობილი რუსი ისტორიკოსის — ვ. ძლიუჩევსკის ეს

ტექსტი მოვლენებისა და თარიღების აშკარა მისტიფიკაციაა. სინამდვილეში რუსმა ჯარისკაცებმა საქართველო დატოვეს არა ეკატერინეს გარდაცვალების (1796) შემდეგ, არამედ — 1787 წელს და სწორედ მათი გაწვევის გამო შეძლეს სპარსელებმა ქართლ-ძაჩეთის სამეფოს დაპყრობა და აოხრება 1795 წელს, როდესაც ეკატერინე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავს მშვენივრად გრძნობდა.

ასევე სრული სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს ბიორგი XII-მ სიკვდილის წინ თავისი სამეფო იმპერატორ პავლეს უანდერძა, რომელიც მოგვიანებით იძულებული გახდა, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მიეღო ნაანდერძევი ქვეყანა. სინამდვილეში, როგორც ამას ჩვენ მიერ ციტირებული ოფიციალური დოკუმენტები ცხადყოფენ, მოვლენები სრულიად სხვაგვარად წარიმართა. ჩვენს ნაშრომში გამოჩნდება, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ანექსიისთანავე შეუდგა ზოგიერთი დოკუმენტის მიკერძოებულ და ცალმხრივ წაკითხვასა და ზოგიერთი სხვა დოკუმენტის კი საერთოდ მიჩქმალვაზე დამყარებული პროპაგანდისტული მონტაჟის შექმნას, რითაც შეძლო ცნობილი ისტორიკოსების თვალის ახვევა და მათი ავტორიტეტის გამოყენება ამ უღირსი საქმისათვის.

მოსკოვის, ობილისისა და მენეციის არქივებსა და ბიბლიოთეკებში წარმოებულ კვლევა-ძიებაზე დამყარებული ნაშრომის დასასრულს გაცნობიერებული გვაქვს, რაოდენ დავალებული ვართ მათ წინაშე, ვინაც მოგვაწოდა მასალა, გავიწია დახმარება, მოგვცა რჩევები და გავიზიარა მოსაზრებები, მიგვითითა წყაროებზე, გამოკვლევებსა და მათ

ადგილსამყოფელზე, გვითარგმნა ტექსტები ჩვენთვის უცნობი ენებიდან. ქველას გულწრფელ მადლობას ვუხდით, განსაკუთრებით ქალბატონებს — სვეტლანა ნისტრატოვას, მამარ ნუცუბიძეს, მარია პია პედანის და ბატონებს — ჯამპიერო ბელინჯერის, სერჯო ბერტოლისის, ჯანფრანკო ჯირაუდოს, ირაკლი ტენჭოშვილს, ჯორჯო როტას, მიხეილ სამსონაძეს, ბაგა და მამარ შურლაიებს.

<sup>1</sup> E. Lo Gatto, *Storia della Russia*, I, Firenze MCMXLVI, გვ. 441. ბქერთობ უცნაურად უღერს არსებითი სახელი “riunione” (“ხელახალი შეერთება”), რაც ადრე არსებულ, შემდგომ დარღვეულ და კვლავ აღდგენილ ერთობას გულისხმობს. სინამდვილეში, საქართველო არასოდეს ყოფილა რუსეთის ნაწილი და ამდენად ვერც შეძლებდა მასთან ხელახლა შეერთებას. ამგვარად, ფაქტობრივადაც და ტერმინოლოგიურადაც ლო ბატო რუსმა ისტორიკოსებმა შეცდომაში შეიყვანეს.

<sup>2</sup> В. О. Ключевский, *Курс русской истории*, часть V, Москва 1989, გვ. 178

# ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატი

1. XVIII საუკუნეში რუს მწერლებს ბავკასიასა და, კერძოდ, საქართველოზე ჯერ კიდევ ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. მათთვის ბავკასია, ნებისმიერი *terra incognita*-ს მსგავსად, გაურკვეველი, შორეული და უცნობი ქვეყანა იყო. საგულისხმოა, რომ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე არ უცდიათ ამ მხარის არა თუ გაცნობა და შეცნობა, არამედ მისთვის თუნდაც ლიტერატურული თუ მხატვრული მნიშვნელობის მინიჭება. XVIII საუკუნის დამლევსა და XIX-ის დასაწყისში რუსი მწერლები პირიმისა და ბესარაბიის თემით იყვნენ გატაცებული, ხოლო შორეული ბავკასიის გაცილებით უფრო ეგზოტიკური და აღმოსავლური თემით რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის მომდევნო წლებში, შეიძლება ითქვას, 1821 წლიდან, ანუ პუშკინის მიერ “ბავკასიის ტყვის” დაწერის შემდეგ დაინ-

ტერესდნენ. ეს ინტერესი უპირველესად პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ მწერლობაში ძავეკასიის, უფრო ზუსტად კი — საქართველოს თემას ჯერ კიდევ “ღედოფალ ღინარას თქმულებაში”<sup>2</sup> ვხვდებით, რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი, მას შემდეგ, რაც XV საუკუნის დამლევეს მოსკოვის ღიდ სამთავროსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, თუმცა ქართველის სახეს უფრო ადრეც ვხვდებით, კერძოდ, “ბაბილონის სამეფოს თქმულებაში”,<sup>3</sup> რომელიც XIV-XV საუკუნეების მიჯნაზეა შექმნილი. ჩვენი კვლევა-ძიებისათვის საგულისხმო XVIII საუკუნეში მ. პ. ლომონოსოვი თავის 1748 წლის “მდაში ტახტზე ასვლის დღისადმი”,<sup>4</sup> რომელიც პლისაბედ პეტრეს ასულის მეფედ კურთხევას ეძღვნება, ახსენებს ძავეკასიას, მაგრამ მხოლოდ რუსეთის სიდიადისა და ძლევამოსილების წარმოსაჩენად. სხვა პოეტები, მაგალითად, გენერალი, გრაფი პავლე პოტიომკინი 1771 წლის ოდაში “მის იმპერატორულ უდიდებულესობას ეკატერინე II-ს”<sup>5</sup> ან ვასილ მაიკოვი რუსეთის ფლოტის მიერ ოსმალეთის ფლოტის დამარცხებისადმი მიძღვნილ ოდებში, შავი ზღვის ანდა, საზოგადოდ, ძავეკასიის მიმდებარე მხარეების აღწერისას ფაქტობრივ შეცდომასაც კი უშვებენ, როდესაც, მკითხველთათვის უფრო გასაგები რომ იყოს, კვლავინდებურად ანტიკური ხანის ცნებებს — პონტოსა და ევქსინოს პონტოს იყენებენ. მიუხედავად იმ-

ისა, რომ თავის დროზე პუშკინმა შეაქო ღერყავინი, როგორც პოეტი, რომელმაც რუსულ ლიტერატურაში პირველად ასახა ძავეკასია<sup>6</sup> 1797 წლის ოდაში “ზრაფ ზუბოვის სპარსეთიდან დაბრუნების გამო”.<sup>7</sup> ამ ლექსში პოეტი ერთობ პირობითი შტრიხებით აღწერს ძავეკასიას, როგორც ველური ბუნების ეგზოტიურ მხარეს და ფართო ასპარეზს უთმობს ფანტაზიასა და ისეთ სტერეოტიპულ მხატვრულ სახეებს, როგორცაა მარადიული თოვლი, მქუხარე ჩანჩქერები, მრისხანე ზვავები, ელვა და ჭექა-ქუხილი. მეტი სიცხადითა და რეალურობით ხასიათდება ძავეკასია მ. ა. შუკოვსკის 1814 წლის ლექსში “ზოეიკოვს”. შუკოვსკის შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, კავკასიურ თემას განსაკუთრებულ მხატვრულ ღირსებას ანიჭებს პუშკინი 1821 წლის პოემაში “ძავეკასიის ტყვე”, რითაც რუსულ ლიტერატურაში ჭეშმარიტ მითად აქცია ძავეკასიის თემა, რომელსაც XIX და XX საუკუნეების მრავალმა რუსმა მწერალმა მიმართა.

ო მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში რუსი მწერლები ძავეკასიას გულგრილად, ან უკეთ რომ ვთქვათ, უყურადღებოდ ეკიდებოდნენ, სამაგიეროდ, ამ რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა — საქართველო რუსეთით საუკუნეების წინათ დაინტერესდა. მეტიც, საუკუნეების განმავლობაში მისმა პოლიტიკურმა, დიპლომატიურმა და კულტურულმა ურთიერთობებმა ერთმორწმუნე, მძლავრ მეზობელ ქვეყანასთან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მისი ბედი. ოუ გავითვალისწინებთ, რომ ოამარ მეფე (1160-1213?), ყვე-



ლაზე დიდი და სათაყვანებელი მეფე საქართველოს ისტორიაში, მართალია, მისი სურვილის წინააღმდეგ და, როგორც ჩანს, მხოლოდ უზენაესი სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით, რუს უფლისწულზე — იური ბოგოლუბსკიზე დაქორწინდა, და მით უმეტეს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დინასტიური კავშირი არასოდეს არაა შემთხვევითი და ყოველთვის დიპლომატიური მოსაზრებებითაა განპირობებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ XII საუკუნეში იღებს სათავეს.

შკვე 1491 წელს მოსკოვის დიდ მთავარს, ივანე III-სა და ძახეთის მეფე ალექსანდრე I-ს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, რაც შემდეგ ერთხანს შეწყდა და მოგვიანებით კვლავ აღდგა; ანალოგიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა სხვა ქართულ სამეფოებთანაც — შართლთან და იმერეთთან; დაიღო აგრეთვე გარკვეული სამხედრო დახმარების, უფრო ზუსტად — სამხედრო მფარველობის ხელშეკრულებები. შოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის მხარედ გამოცხადდა. ერთი სიტყვით, ამ ორ ერთმორწმუნე ერს შორის საუკუნეების მანძილზე მეტნაკლებად მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა. მაგრამ ქართული ხიბლი, სული, ტრადიცია და წეს-ჩვეულებები რუსეთში მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგში ქართული კოლონიების დაარსების შემდეგ მკვიდრდება.

1653 წლის დეკემბერს მოსკოვში ჩადის ძახეთის მეფის — ოქიძურაზ I-ის შვილიშვილი, ახალგაზრდა ბატონიშ-

ვილი პრეკლე, რომელიც, რუსეთისადმი ერთგულების ნიშნად, ბაბუამისმა რუსეთის მეფის — ალექსეი მიხეილის ძის კარზე გაგზავნა აღსაზრდელად. ბატონიშვილ პრეკლეს, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის 9 წელი მოსკოვში დაჰყო და შემდგომაც მრავალგზის დაბრუნდა იქ, თან ახლდა თავად-აზნაურთა მრავალრიცხოვანი ამალა (ვარაუდით, სულ ცოტა ასი კაცი), რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა რუსეთში, მოსკოვურ ცხოვრებაში ჩაერთო, კავშირი დაამყარა იქაურ დიდებულებთან, ახალ ბურჟუაზიასთან და იმ ხანად მოსკოვში მყოფ ათასი ჯურის უცხოელ “ექსპერტებთან”, გახდა მეფე ალექსეი მიხეილის ძესა და პატრიარქ ნიკონს შორის წარმოშობილი დაპირისპირების მოწმე, გაეცნო სიმეონ პოლოცკისა და მიედორე რტიშჩევის კულტურულ საქმიანობას, სკოლების დაარსებას, სადაც საეკლესიო სლავურისა და ბერძნულის გარდა, ლათინურისა და რიტორიკის სწავლებაც დაიწყეს.<sup>8</sup>

ქართველების სათვისტომოს მოსკოვში ახალი ძალა შემატა 1682 წელს არჩილ II-ის ჩასვლამ, რომელიც ჯერ იმერეთის მეფე იყო, შემდგომ — ტახეთის და ბოლოს — კვლავ იმერეთის, სადაც 1679 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს, რის გამოც მოსკოვს შეაფარა თავი. მეფე არჩილს რუსეთის დედაქალაქში თან ახლდა მრავალი წარჩინებული პირი — თავადები, დიდებულები, სამღვდელონი, რომელთა უმრავლესობა 1689 წელს არჩილ II-ის საქართველოში დაბრუნების შემდეგაც მოსკოვში დარჩა. წინა თაობის ქართული ემიგრაციის გამოცდილებით გამდიდრებულებმა ქართული სათვისტომო შექმნეს, რომელიც მჭიდროდ ჩაერთო მოსკო-

ვის ცხოვრებაში. აქ ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრმა მათგანმა, განსაკუთრებით მათმა შთამომავლებმა, ასახელეს ის ერი, რომელმაც ისინი შეივრდომა; თუმცაღა, რუსეთის ისტორიაში მათი ქართული წარმომავლობის ამოცნობა ადვილი არ არის, ვინაიდან იმთავითვე იჩინა თავი მათი გვარ-სახელების რუსიფიცირებამ.

მეფე პრჩილი, უნიჭიერესი პიროვნება, პოლიტიკოსი, მისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ქართველი პოეტი, ბრწყინვალე მთარგმნელი, თეოლოგი, მოსკოვში დამკვიდრებისთანავე განაგრძობს თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას, მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს კულტურულ ცენტრებთან, რომლებსაც იმ დროს მონასტრები წარმოადგენდნენ; გარდა ამისა, ინტერესდება ქართველებისათვის კულტურის სრულიად ახალი მომაჯადოებელი დარგით — წიგნის ბეჭდვით. ბარკვეულწილად ამ საქმისადმი პრჩილის ინტერესით აიხსნება ის გარემოება, რომ პირველმა ქართულმა წიგნმა რუსეთში სწორედ მოსკოვში იხილა მზის შუქი 1705 წელს.

1722 წელს პეტრე ღიღმა, მას შემდეგ რაც მშვიდობის გარანტია მოიპოვა ჩრდილოეთით შვედეთისაგან და სამხრეთით ოსმალეთის იმპერიისაგან, წამოიწყო ლაშქრობა სპარსეთის დასაპყრობად და რუსეთისათვის აღმოსავლეთისაკენ სავაჭრო გზის გასახსნელად. ამ წამოწყებაში ქართლის მეფის — ვახტანგ VI-ის ჩათრევაც შეძლო, რომელსაც თავის მხრივ მიაჩნდა, რომ დადგა დრო ძლიერი და აგრესიული მეზობელი სპარსეთისაგან თავის დასაღწევად. ამასთანავე ომში ქართლის ჩაბმით პეტრე ღიღს თავისი

ჯარის არა მხოლოდ რაოდენობრივი და თვისებრივი გაძლიერება სურდა, არამედ სავსებით შესაძლებელია, სპარსეთის დამარცხების შემდეგ ერთმორწმუნე ქართლში სამხედრო პროტექტორატის დამყარებასაც აპირებდა. რუსეთის სამხედრო ნაწილები მოლგის ნაპირებს დაუყვნენ, ქართული ჯარი შემოიერთეს და უმოკლეს ხანში ღარუბანდის ციხესიმაგრე და ბაქო დაიპყრეს, მაგრამ ამ დროს პეტრემ მოულოდნელად ჩათვალა, რომ ლაშქრობა სათანადოდ არ იყო მომზადებული, ამიტომ ჯარის უდიდესი ნაწილი სამშობლოში გაიწვია, დაპყრობილ ტერიტორიებზე კი თავისი გარნიზონები დატოვა.

პეტრეს ამ გადაწყვეტილების შედეგად ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა ვახტანგ VI, რომელიც სპარსეთის შაჰის თვალში დამნაშავე იყო იმის გამო, რომ რუსეთთან სამხედრო კავშირი შეკრა სპარსეთის წინააღმდეგ. 1723 წელს შაჰმა ვახტანგ VI ქართლის ტახტიდან გადააყენა და მის ადგილას ტახეთის მეფე სპარსოფილი ტონსტანტინე დასვა. მაგრამ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ თურქებმა ტონსტანტინე ტახტიდან ჩამოაგდეს და მთელი ქართლი პრზრუმის ფაშას დაუქვემდებარეს. ვინაიდან მის ქვეყანაში უცხოელები ბატონობდნენ, ვახტანგ VI პეტრე ღიდს შეუთანხმდა და 1724 წელს გადაწყვიტა, თავის 1186 წევრიან ამაღასთან ერთად მოსკოვში გახიზნულიყო.<sup>9</sup> როდესაც ვახტანგ VI-მ მოსკოვში ჩააღწია, პეტრე ღიდი, რომლისგანაც მნიშვნელოვან კონკრეტულ დახმარებას მოელოდა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად, უკვე ცოცხალი აღარ იყო. ახალმა იმპერატორმა ქატერინე I-მა საქართველოს

მეფე და მისი თანმხლები თავად-აზნაურები დიდი პატივით მიიღო პეტერბურგში, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით არავითარი დახმარება არ აღმოუჩინია. ვახტანგ VI კიდევ რამოდენიმე წლით დაბრუნდა მოსკოვში საცხოვრებლად, ხოლო მრავალი მისი დიდებული, მათ შორის მისი ძმა, სიმონ ბაგრატიონი, პეტერბურგში დამკვიდრდა, სადაც, როგორც ახალ ქალაქში, საქმიანობის, განსაკუთრებით სახელმწიფო ადმინისტრაციაში მუშაობის დიდი შესაძლებლობა ეძლეოდათ. ვახტანგ VI-ის გამგზავრებით სათავე დაედო პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს, რომელმაც მალე რიცხვობრივად იმატა და დიდი სამუშაო გააჩაღა. მოსკოვსა და პეტერბურგში დამკვიდრებულ ნათესავებთან და ახლობლებთან სასწავლებლად და სამუშაოდ ჩამოდიოდნენ სახელოვანი ადამიანები, ახალგაზრდა თავადიშვილები, ცნობილი მეცნიერები და განსწავლული სასულიერო პირები; ამგვარად, დასაბამი დაედო რუსეთში ქართველების მუდმივ მიმოსვლას, რაც მოგვიანებით უფრო გაცხოველდა, განსაკუთრებით — რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ; სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მათ მიერ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება უთუოდ სასიკეთო იქნებოდა ქართველი ერისათვის. პეტერბურგის ქართული სათვისტომოს ზოგიერთმა სწავლულმა დიდი მონდომებით მოკიდა ხელი ქართული წიგნების ბეჭდვას და 1736-1737 წლებში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიასთან ქართული სტამბაც კი დაარსა. აქ 1737 წელს გამოცემული პირველი წიგნი მცირეტანიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი იყო.

მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ქალაქებში დამკვიდრებული ქართველები, როგორც უკვე ითქვა, მალე ჩაე-

რთვენ რუსეთის ცხოვრებაში და თავიანთი წვლილი შეიტანეს მრავალ დარგში — მწერლობასა თუ მეცნიერებაში, სამხედრო საქმესა თუ მმართველობაში, ხოლო ზოგ შემთხვევაში თავიანთი ნიჭითა და უნარით თავიც ისახელეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა დაკარგა კულტურული და ეროვნული იერსახე და თვითშეგნება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ემიგრანტების შთამომავლები სამშობლოში არ იყვნენ აღზრდილნი, მათმა უმრავლესობამ ბოლომდე შეინარჩუნა რუსულისაგან ეგ ზომ განსხვავებული და მშობლებისაგან ღრმად ჩანერგილი ადათ-წესები, ტრადიციები და აზროვნების წესი. ბევრია იმის დამადასტურებელი ისტორიული მაგალითი, როდესაც მცირე ეთნიკური ჯგუფები, მაშინაც კი, როდესაც ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური თვალსაზრისით განსხვავებული და დიდი სამხედრო ძალის მქონე ხალხებს შორის ცხოვრობენ, ხშირად საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ და კულტურულ თვითმყოფობას და თაობიდან თაობას გადასცემენ მშობლიურ ტრადიციებს. მართალია, რუსეთში პირველი ქართველი ემიგრანტების შთამომავალთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო მომდევნო თაობებისათვის გადაეცა მშობლიური ენის ცოდნა და ენობრივად რუს ერში გაითქვიფა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლომდე მაინც არ გაუწყვეტია კულტურული კავშირი მშობლიურ ქართულ მიწასთან; პირიქით, დროთა განმავლობაში თუნდაც შესუსტებული ამ კავშირის წყალობით მაინც შეძლო თავისი მტკიცე ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება.

2. პეტერბურგსა და მოსკოვში ქართული სათვისტომოების არსებობა ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი პირობა იმისათვის, რომ რუსი ინტელიგენცია და პოლიტიკური წრეები საქართველოთი დაინტერესებულყვნენ; ჯერჯერობით მათ ყურადღებას თავკასიაში ისეთი გარეშე მოვლენები იპყრობდა, როგორებიც იყო ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის ლაშქრობები თუ თავდასხმები სამხრეთ რეგიონებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ინტელექტუალური წრეები თავკასიის თემას არ თვლიდნენ მხატვრული ღირსების მქონედ და არც რუს პოლიტიკოსებს, თვით იმპერატორ ეკატერინე II-ის ჩათვლით, საქართველო და საერთოდ თავკასია არ მიაჩნდათ რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მხარედ; ამდენად, პოლიტიკური წრეები, ინტელიგენციის მსგავსად, თავკასიისა და საქართველოსადმი გულგრილად და უხალისოდ იყვნენ განწყობილნი. 1783 წლამდე არც ერთ ქართულ სამეფოს (შართლისა და ტახეთის სამეფოები მათი მოხარკე ერევნის, ბანჯისა და ნახჩიევანის სახანოებთან ერთად, აგრეთვე იმერეთის სამეფო ოდიშის, ბურჩისა და აფხაზეთის სამთავროებთან ერთად; სამხრეთ საქართველო კი, ანუ ყოფილი სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთის იმპერიის ან მისი საფაშოების განმგებლობაში იმყოფებოდა) არ ჰქონია მუდმივი, მტკიცე დიპლომატიური კავშირი რუსეთთან (მაგალითად, როგორც ჭვემთ ვნახავთ, 1589 წელს ტახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის სამხედრო და დიპლომატიური შეთანხმება შედგა, მაგრამ იგი დროებითი აღმოჩნდა), რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს ხელისუ-

ფლებასთან თავის სასაზღვრო პოსტებს, უმთავრესად — ასტრახანის გუბერნატორსა და ქავკასიის გამაგრებულ საზღვარზე შიზლარის ციხესიმაგრის მეთაურს მიანდო. ამასთანავე, რუსეთს, რომც მოენდომებინა, საქართველოსადმი მისი დახმარება ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელო იქნებოდა, ვინაიდან ოსმალეთის იმპერიასთან დადებული საზავო ხელშეკრულებებით მას შავ ზღვასა და მთელ მის აუზში გასასვლელი ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. ბარდა ამისა, მას არ ჰქონდა უსაფრთხო სახმელეთო გზა ქავკასიისაკენ, რადგან მოზდოკი, ქავკასიაში რუსეთის პირველი ავანპოსტი, 1763 წელს დაარსდა, ხოლო თავადმა ბრიგოლ პოტიომკინმა ქავკასიის სასაზღვრო ზოლის გამაგრების მიზნით მხოლოდ 1770 წელს დაიწყო ისეთი ციხესიმაგრეების აშენება, როგორც იყო ეკატერინბურგი, ბეორგიევსკი და სხვ. ღა ბოლოს, ქავკასიის მაღალ მთებში საქართველოსაკენ გზა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი; მისი გაყვანა 1783 წელს დაიწყო და იგი ქავკასიის სამხედრო ბზის სახელით გახდა ცნობილი. ამასთანავე, რაც არანაკლებ საგულისხმოა, იმ დროს რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქავკასიისა და საქართველოს ზუსტი გეოგრაფიული რუკები.<sup>10</sup>

როგორც ქართველი თავადებისა და მეფეების რუსეთში ცხოვრებისა თუ გადასახლების ამბებზე თხრობისას ვნახეთ, სრულიად განსხვავებული იყო მცირე ქართული სახელმწიფოების მესვეურთა შეხედულება რუსეთზე, რომელიც მეგობარ ქვეყნად, მფარველად და საჭიროების შემთხვევაში პოტენციურ მოკავშირედ ესახებოდათ. მართლაც, რუსე-



თის იმპერია ყველაზე ძლევამოსილი მართლმადიდებლური ქვეყანა იყო და ბუნებრივია, ქართველი პოლიტიკოსები და სამღვდელონი ერთმორწმუნეობის გამო რუსეთისაგან კონკრეტულ დახმარებას მოელოდნენ. ამგვარად, სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1732 წლის შემდეგ მაინც, როდესაც იმერეთის მეფე ალექსანდრემ რუსეთის იმპერატორს — ანა ივანეს ასულს სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიამდე ქართველი მეფეები დაჟინებით მიმართავდნენ რუსეთს არზებით, პეტიციებითა და ზოგჯერ — დახმარების თხოვნით.

1753 წელს ქართლის მეფე ტეიმურაზ II-ის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი დიპლომატიური ელჩობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ტექნიკური დახმარების მიღებასაც ქართული ჯარის განახლებისათვის და, რაც მთავარია, დაბეჯითებით ითხოვდა, რუსეთს მუდმივი დიპლომატიური ზეწოლა მოეხდინა ოსმალეთის იმპერიაზე მისი მოკავშირე ლეკების ასალაგმავად, რომლებიც თავისი მთებიდან ჩამოდოდნენ და აღმოსავლეთ საქართველოს აწიოკებდნენ, სადაც ამ დროს ტეიმურაზის ძე პრეკლე მეფობდა. მაგრამ იმის შიშით, რომ ოსმალეთის იმპერიის რისხვა არ გამოეწვიათ, რუსებმა ქართველებს მხოლოდ ცარიელი დაპირებები აკმარეს, ხოლო თავიანთ მინისტრ-რეზიდენტს ტონსტანტინოპოლში — ალექსეი ობრესკოვს დაავალეს, ოსმალეთი დაერწმუნებინა, რომ რუსეთი საქართველოს არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენდა.<sup>11</sup>

რუსეთისაგან კონკრეტული დახმარების მოლოდინში ქართველ მეფეებს არაერთხელ მოუწიათ ხელშეკრულების დადება იმ ძლიერ მეზობელ სახელმწიფოებთან, რომელთა გვერდით ძალაუნებურად უნდა ეცხოვრათ. მაგალითად, ნადირ-შაჰის მეფობის დროს (1736-1747), როდესაც ოსმალები ტახტში მეფობდა როგორც სპარსეთის შაჰის მიერ დანიშნული განმგებელი, მისი ვაჟი პრეკლე იმავე შაჰთან ერთად ინდოეთში იბრძოდა. ბარდა ამისა, მაშინაც კი, როდესაც ოსმალები და პრეკლე, შესაბამისად, 1744 წელს ქართლსა და ტახტში გამეფდნენ, იმის გამო, რომ სპარსეთის შაჰის უზენაესობას ცნობდნენ, გადაწყვიტეს, კვლავაც ეძლიათ მისთვის ხარკი;<sup>12</sup> სწორედ ამ ისტორიული წინამძღვრების გათვალისწინებით 1783 წელს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-ტახტის სამეფოს შორის დადებული ბეორგიევსკის ტრაქტატის პირველ თავში ხაზგასმითაა აღნიშნული: *“მეფე ქართლისა და ტახტისა სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცვლეთა თვისთა დღესასწაულობით უკუნსთქვამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა ანუ სხვათა მპყრობელთასა”*.<sup>13</sup>

1758 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა, ქართლის მეფე ოსმალეთის II-მ და ტახტის მეფე პრეკლე II-მ საერთო მტრების, ანუ სპარსელების, ოსმალებისა და დაღესტნელებისაგან (ლეკებისაგან) ერთობლივი თავდაცვის მიზნით ხელშეკრულება დადეს, მაგრამ როდესაც 1760 წელს სულთანნი მუსტაფა III იმერეთს დაპყრობით დაემუქრა, თუ მეფე სოლომონ I თავის ქვეყანაში ქართველი ტყვეებით

ვაჭრობის ნებას არ მისცემდა, სამივე ქართველმა მეფემ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ოციმურაზ მეფის ხელმძღვანელობით უმაღლესი საერო და სასულიერო პირებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი სრულუფლებიანი დიპლომატიური მისია გაეგზავნა პეტერბურგში და მთელი საქართველოს სახელით კვლავ დახმარება ეთხოვა.

1760 წლის დასაწყისში იმის შიშით, რომ ოსმალეთის იმპერია პრუსიასთან შეკრავდა კავშირს, რუსეთს არავითარი სურვილი არ ჰქონდა, გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რითაც ოსმალელებთან ურთიერთობას გაიუარესებდა; მეტიც, რუსეთმა თავის შენაერთებს სამხრეთის საზღვარზე განკარგულებაც კი მისცა, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი სამხედრო შეტაკებისაგან ოსმალეების მოკავშირე ხალხებთან. რუსეთმა, მას შემდეგ რაც ოსმალეები დაარწმუნა, რომ საქართველოს საქმეებში ჩარევის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, 1760 წლის თებერვალში ჯერ იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის დადგენილებით, ხოლო შემდეგ იმავე წლის ივნისში კანცლერის, გრაფ მიხეილ შორონცოვის განკარგულებებით ახალი წესი შემოიღო, რომლითაც ნებისმიერი ქართველი, საერო თუ სასულიერო პირი, თუ რაიმე მიზნით რუსეთის დედაქალაქში მოისურვებდა ჩასვლას, პეტერბურგიდან გზავრობის ნებართვის მისაღებად შიზლარში ან ასტრახანში უნდა გაეჩერებინათ. ასე გააჩერეს რამდენიმე თვით შიზლარში ის მისიაც, რომელსაც ოციმურაზი ხელმძღვანელობდა; მეფემ მხოლოდ ოქტომბერში ჩააღწია ასტრახანში, სადაც კიდევ ერთხელ შეაყოვნეს. მაგრამ 1760 წლის ოქტომბრის დასაწყისში, მას შემდეგ რაც რუსებმა

პრუსიელები დაამარცხეს, ბერლინში შევიდნენ და ეს ამბავი ტონსტანტინოპოლშიც შეიტყვეს, ოსმალოებმა სასწრაფოდ შეწყვიტეს ყოველგვარი მოლაპარაკება პრუსიელებთან კავშირის შესაკვრელად. რუსებს უკვე აღარ აფიქრებდათ, რომ ქართული დიპლომატიური მისია ოსმალოების გაღიზიანებას გამოიწვევდა და ამიტომ 1760 წლის 3 დეკემბერს ტეიმურაზსა და მის ამაღას რუსეთის იმპერიის დედაქალაქისაკენ გზის გაგრძელების უფლება მისცეს.

1761 წლის აპრილში ტეიმურაზი ჯერ იმპერატორმა-მლისაბედ პეტრეს ასულმა, ხოლო შემდეგ კანცლერმა მორონცოვმა მიიღეს, რომლებსაც ქართველმა მეფემ ნათელ ფერებში დაუსახა, რაოდენ დიდი პერსპექტივები გაუჩნდებოდა რუსეთის იმპერიას ტავკასიაში, თუ ქართველ მეფეებთან რაიმე სახის სამოკავშირეო ან მფარველობის ხელშეკრულებას დადებდა. მაგრამ რუსეთის პოლიტიკური მმართველობის დაყოლიების ყოველი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ამიტომ 1761 წლის დეკემბერში გაწბილებული ტეიმურაზი და მისი ამაღა სამშობლოსაკენ გამობრუნდა ისე, რომ ვერც ერთ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. ბზად თბილისისაკენ 1762 წლის 8 იანვარს ტეიმურაზი ასტრახანში გარდაიცვალა. მამის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძემ — ქრეკლე II-მ (1720-1798), რომელიც, როგორც ითქვა, 1744 წელს ტახეთში გამეფდა, ქართლის სამეფოც შემოიერთა.<sup>14</sup>

ტეიმურაზის ელჩობის მარცხი ქართველების პოლიტიკური გულუბრყვილობითაც აიხსნება; ეგონათ, რომ ერთმორწმუნოება საკმარისი პირობა იყო იმისათვის, რომ რუსეთს მათთვის დახმარება აღმოეჩინა.<sup>15</sup> ასეა თუ ისე, ოსმალოები-

სა და სპარსელების გამუდმებული მუქარის ფონზე საქართველოს თავის გადასარჩენად მაინც ერთმორწმუნე რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, ქართველი მეფეებიც სულ უფრო მეტი მონდომებით ცდილობდნენ რუსეთის იმპერიასთან რაიმე სამოკავშირეო ან მფარველობის ხელშეკრულების დადებას. 1768 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის გაჩაღებულმა ომმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართველი მეფეების გეგმებს. მართლაც, იმისათვის, რომ შირიმსა და ევროპაში თავის სამხედრო ძალებზე ოსმალოების ზეწოლა შეემციებინა, რუსეთმა გადაწყვიტა თავკასიაშიც შეექმნა ფრონტის ხაზი და ამით ოსმალეთი იძულებული გაეხადა, რომ მისი ჯარების ნაწილი გაერთიანებულ რუსულ-ქართულ ძალებთან ბრძოლაში ჩაბმულიყო. ამ გეგმის განხორციელების მიზნით რუსეთმა სოლომონ I-სა და პრეკლე II-ს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისაკენ უბიძგა.

ქართველებს ეგონათ, რომ რუსები თავკასიაში საკმაოდ დიდ ძალებს გამოგზავნიდნენ; მეფე პრეკლე სულ ცოტა 5-7 პოლკს მოითხოვდა, სინამდვილეში კი 1769 წლის 29 აგვისტოს გენერალი ტოტლებენი ობილისში მხოლოდ 400-ოდე ჯარისკაცით ჩამოვიდა, რომლებსაც მოგვიანებით 3.300-ზე მეტი ჯარისკაცი არ დამატებია. აქედან ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლების გეგმით, ომი თავკასიაში თითქმის მთლიანად ქართულ ჯარს უნდა ეტვირთა. თუ რუსეთის სარდლობას თავკასიის ომით ოსმალთა ჯარების ნაწილის აქ შეყოვნება სურდა, სრულიად განსხვავებული იყო ქართველი მეფეების, განსაკუთრებით კი პრეკლე II-ს მიზნები; მას უნდოდა ოს-

მალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარეების დაბრუნება, ძაზეთის სოფლებზე ლეკების თარეშის აღკვეთა და ურჩ ფეოდალებზე ცენტრალური ძალაუფლების განმტკიცება. იმერეთის მეფე სოლომონ I-ც მსგავსი მიზნით ჩაება ბრძოლაში რუსეთის მხარეზე.

მაგრამ ორი წლის ბრძოლის შემდეგ პრეკლე II-მ ვერც ერთ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, პირიქით, თურქების მხარდაჭერით ლეკები კიდევ უფრო გათამამდნენ. საქართველოს მოსაზღვრე სახანოებმა, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ ქართლ-ძაზეთის სამეფოს კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით რუსეთისადმი, შეწყვიტეს მეგობრული ურთიერთობა პრეკლესთან, ხოლო ქართველმა ფეოდალებმა ისარგებლეს ომით და კიდევ უფრო მეტი მონღოლებით შეუდგნენ გეგმების დაწყობას პრეკლეს ჩამოსაგდებად ქართლის ტახტიდან. ამ ომმა პრეკლე II მისი ჩანაფიქრის განხორციელების ნაცვლად, უძძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, საიდანაც გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ გაეძლიერებინა თავისი ძალისხმევა, რათა მისი სამეფო რუსეთს მფარველობაში მიეღო. ამიტომაც, ვიდრე 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქუჩუქ-ბაინარჯის საზავო ხელშეკრულება დაიდებოდა, ეკატერინე II-სა და გრაფ ნიკიტა პანინს, რომელიც საგარეო საქმეთა ძოღეფიას განაგებდა, არაერთი ნოტა გაუგზავნა (მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1771 წლის დეკემბრის ნოტა, რომელშიც პრეკლე ზუსტად მიუთითებდა, თუ რა პირობით სურდა რუსეთის იმპერიის მფარველობის მიღება), რომლებშიც დაჟინებით, ლამის

ხვეწნა-მუდართით ითხოვდა, დაეკმაყოფილებინათ მისი მიმართვა მფარველობის მიღების შესახებ და გამოთქვამდა შეშფოთებას იმ მიმე შედეგების გამო, რაც ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ქართლ-თახეთის სამეფოდან რუსული ჯარის გაყვანას მოყვებოდა.<sup>16</sup> რუსეთის სამეფო კარი და საგარეო საქმეთა ბოლშევიკი სრული გულგრილობით ეკიდებოდა პრეკლეს მოთხოვნებს. ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოვლინდა 1774 წლის ივლისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილ ქუჩუქ-ბაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში, როდესაც ბავკასიის რეალობის უცოდინრობის გამო 23-ე მუხლით რუსეთი დათანხმდა თავისი ჯარების ბავკასიიდან და, შესაბამისად, ქართლ-თახეთიდან გაყვანას, რითაც არაპირდაპირ ცნო, რომ მთელ ამ მხარეს ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროში ტოვებდა.<sup>17</sup> ბანიმტკიცა თუ არა სამხრეთის საზღვრები, რუსეთმა ქრისტიანი ქართველები თურქთა აშკარად მოსალოდნელი შურისძიებისა და თარეშისათვის გაწირა და ამით ცხადყო, რომ სულაც არ აღეგუებდა ბავკასიის ხალხებისა და ქვეყნების ბედი.

საქართველოს იმდროინდელ ისტორიაში სევდისმომგვრელად ენაცვლება ერთმანეთს, ერთი მხრივ, ქართლ-თახეთის მეფის — პრეკლესა და იმერეთის მეფის — სოლომონ I-ის გამუდმებული ნაღვლიანი მიმართვა იმპერატორ პეტერინესადმი დახმარების, მტრისაგან დაცვა-მფარველობის თხოვნით, და მეორე მხრივ, შეუნიღბავი გულგრილობა რუსეთის სამეფო კარისა, რომელსაც მიაჩნდა, რომ მას ბავკასიაში არავითარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესი არ ჰქონდა

და ამდენად ერთმორწმუნე მცირე კავკასიელი ერებისთვის დახმარების გაწევა არ იყო მიზანშეწონილი.

3. იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთმა საქართველო ბედის ანაბარა დატოვა, პრეკლე შიშობდა, რომ ოსმალოები მის დასჯას მოისურვებდნენ იმისათვის, რომ ახლად დამთავრებულ ომში რუსეთის მხარე ეჭირა. ამიტომ ბრწყინვალე პორტას დასაშოშმინებლად გადაწყვიტა, სულთანისათვის მეგობრობა და პატივისცემა გამოეცხადებინა. ამგვარი დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად გაფორმდა კიდევ 1776 წელს ოსმალეთის იმპერიასა და ქართლ-ქახეთის სამეფოს შორის დადებული მეგობრობის ხელშეკრულებით, თუმცა მას პრეკლე II-ის სამეფოსათვის რაიმე განსაკუთრებული სიკეთე არ მოუტანია, ვინაიდან თურქებსა და ქართველებს შორის გადაულახავი უნდობლობა სუფევდა. პიდრე ერთმორწმუნე რუსეთისაგან ეგზომ საჭირო დახმარებას ელოდა, პრეკლე, როგორც უკვე თვალნათლივ ვნახეთ, იძულებული იყო თანაცხოვრების გზები ეძებნა მძლავრ მეზობელ იმპერიებთან, მტრულად განწყობილ გაქნილ ქართველ ფეოდალებთან და საშიშ მუსულმან მთიელ ტომებთან. პირთი სიტყვით, მას მეფობა მოუხდა მუდმივი სირთულეებისა და საფრთხის ვითარებაში, რასაც დიდი მოხერხებით გაართვა თავი; კერძოდ, როგორც ისტორიკოსი დ. ალენი შენიშნავს, პოლიტიკური მიზნებისათვის წარმატებით გამოიყენა სომეხი დიპლომატები და შუამავლები, ხოლო სამხედრო მიზნებისათვის — ჩერქეზების, ოსებისა და ყალმუხების დაქირავებული ლაშქარი.<sup>18</sup>




აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის გულგრილი დამოკიდებულება მისი მეზობელი კავკასიური ქვეყნებისადმი თანდათან საგრძობლად იცვლებოდა იმის გამოც, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში ძველ თაობას თანდათან ახალი თაობის პოლიტიკოსები ენაცვლებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ბრიგადის გენერალი ბრიგოლ პოტიომკინი, რომელიც იმპერატორს ფავორიტი გახდა და ამის შედეგად ელვისებურად დაწინაურდა: უმაღლეს ხელისუფლებაში არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობა დაიკავა, რითაც შეძლო გაეტარებინა თავისი პოლიტიკური ხაზი, რომელსაც შეგვიძლია ერთგვარად “ევრაზიული” ვუწოდოთ. იგი პეროპის ქვეყნებს აღარ განიხილავდა პრივილეგირებულ პარტნიორებად; მისი აზრით, რუსეთის იმპერიის სტრატეგიული ინტერესებისათვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე რეგიონები. პოტიომკინმა თავისი დიდი გავლენის წყალობით ძალად თანამდებობებზე იმ ადამიანების დანიშვნა მოახერხა, რომლებიც მის პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებდნენ: მაგალითად, პლეჩანდრე ბეზბოროდკო საგარეო საქმეთა ძოღეგის წევრი გახდა, ხოლო მისი ბიძაშვილი, გენერალი პავლე პოტიომკინი — ქავკასიის დაცვის ხაზზე მყოფი რუსეთის სამხედრო ძალების მეთაური. წინა თაობის რუსი დიპლომატებისაგან განსხვავებით, მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთისათვის ქავკასიას, როგორც ავანპოსტს, უაღრესად დიდი და შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი ჰქონდა არა მხოლოდ ბრწყინ-

ვალე პორტასთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებისთვისაც. ბრიგოლ პოტიომკინის პოლიტიკური და დიპლომატიური ხედვა მიზნად ისახავდა ოსმალეთის გავლენის აღკვეთას რუსეთის იმპერიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებსა და ტავკასიაში და ამ გავლენის რუსულით შეცვალას; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან თვისებრივად შეცვალა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დამოკიდებულება იმ მხარისადმი, სადაც რუსეთმა ამჟერად უფრო ქმედითი სამხედრო და დიპლომატიური პოლიტიკის გატარება დაიწყო, რის შედეგადაც 1783 წელს პირიმის სახანო შემოიმტკიცა, რომელსაც რუსებმა შემდგომ ტავრიდის ოლქი უწოდეს, და იმავე წელს ხელი მოაწერა ქართლ-თახეთის სამეფოსთან მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატს.

პიღრე რუსეთის იმპერიასთან მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატის დადება რეალური გახდებოდა, თავისი ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობით შეზღოთებულმა მეფე პრეკლემ 1781-ის ზაფხულს პესტრიის იმპერატორს იოზეფ II-ს წერილობით სთხოვა ის, რაც მომდევნო წელს გაგზავნილ მეორე წერილშიც გაიმეორა, კერძოდ, საერთო ქრისტიანული სარწმუნოების გულისათვის საჭირო სახსრებს თხოვდა ერთი პოლკის შესაქმნელად, რომელსაც ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნიდა და აღჭურავდა, რათა საერთო მუსულმან მტრებთან — ლეკებთან და თურქებთან უფრო ეფექტურად ებრძოლა.<sup>19</sup> მაგრამ იტალიელი მისიონერი საქართველოში — ტრიესტელი პატრი მონენიკო, რომელსაც ობილისიდან წერილი მიჰქონდა რომში

ადრესატისათვის გადასაცემად, 1781 წლის ივლისის დასაწყისში მოულოდნელად გარდაიცვალა ბონსტანტინოპოლში. როდესაც მეფე პრეკლემ მისი შიკრიკის — მისიონერის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, პესტრიის იმპერატორისადმი ახალი, 1782 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილი შეადგინა, და იმავე დღეს სხვა წერილებით მიმართა საფრანგეთის მეფეს, პენეციის რესპუბლიკის დოჟს, სარდინიის მეფეს, ნეაპოლის მეფესა და რომის პაპს (ამ უკანასკნელს კათოლიკე მონარქებთან და დოჟთან უშუამდგომლობას თხოვდა) და ეს წერილები ასევე იტალიელ მისიონერს, ვერონელ პატრს — მაუროს გაატანა. ამჯერად ქართველმა მეფემ პრუსიის მეფესაც გაუგზავნა თურქულად შედგენილი წერილი, რომელშიც, ისევე როგორც იოზეფ II-სთან, უთუოდ თანადგომას ითხოვდა.<sup>20</sup>

პრეკლე II-მ პენეციის რესპუბლიკას ოთხი წერილი გაუგზავნა;<sup>21</sup> ამათგან ორში, რომლებიც ქართულადაა შედგენილი, იოზეფ II-სადმი გაგზავნილი ბარათის მსგავსად, ფულს ითხოვდა თავისი ჯარის ერთი შენაერთის ევროპულ ყაიდაზე გასაწვრთნელად; ამასვე იმეორებს თურქულად შედგენილ ორ წერილში. მაგრამ ეს მეორე შიკრიკიც, რომელიც რუსეთის, უკრაინისა და პოლონეთის გავლით უნდა ჩასულიყო რომში, მოულოდნელად გარდაიცვალა პოლონეთის ქალაქ ბერდიშჩევში. ასე რომ, ორმა პოლონელმა კაპუცინმა განსვენებული თანამოძმის პირადი ნივთები, მათ შორის — პრეკლეს წერილები, მხოლოდ მოგვიანებით ჩაიტანეს ვენაში წმინდა საყდრის სადესპანოში და როგორც ჩანს, ისინი იქიდან გაუგზავნეს ადრესატს.



ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი

ბეორგიევსკის ციხესიმაგრეში ქვემოთ ტრაქტატზე ხელის მოსაწერად და ბეჭდების დასასმელად:

სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამშობინდაობასა შინა დიდებულისათა ადრითგან ერთმორწმუნოებამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართულთამან შახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდეგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუეშე შემგვრდომ იყვნეს იგ[ი]ნი მეზობელთაგან თუსთა.

მფარუელობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართულომასათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან, გამოიყუნა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან, რომელიცა უფროსდა იჩუენების რუსეთის საიმპერატორომასა ტიტლოსაგან.<sup>29</sup>

აწ ბედნიერად მმეფობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხოებითი თუსი კეთილნებობაჲ და დიდსულობითი მზრუნუელობაჲ კეთილობისათუს მათისა, თუსითა ძლიერითა მეცადინობისა დართუთა, განთავისუფლებისათუს მათისა უდლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყვედ მიკდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძელებს თუსსა მონარხოებითა მოხედუასა მფლობელთა მათდამი.

ჭაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ძართლისა და ძახეთისა ირაკლი ოციმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა

აიხსნება ის ფაქტი, რომ დღეს პენეციის სახელმწიფო არქივში ამ წერილზე არა თუ პასუხის ასლი არ მოიპოვება, არამედ ამ თხოვნის რაიმე განხილვის კვალიც კი არ ჩანს.

საქართველოდან დახმარების არაერთი თხოვნა ეგზომ შორეული ქვეყნებისადმი, რომლებსაც ვერ ექნებოდათ სტრატეგიული ინტერესი ბავკასიაში, ეფუძნებოდა არა მხოლოდ ერთ-მორწმუნეობის ფაქტორს, არამედ აგრეთვე იმ ვარაუდს, რომ ამ სახელმწიფოებს წარსულშიც ჰქონდათ განზრახული და შესაძლოა მომავალშიც განეზრახათ ომის დაწყება (ოსმალეთის იმპერიასთან (იოზეფ II-სადმი მიწერილ წერილში ნათქვამია: “ბასულ წლებში აზიის მხარეებში ხმა დაირხა, თქვენი უდიდებულესობა თურქთა სულთანთან ომს აპირებსო. ასეთმა კარგმა ამბავმა ჩვენში თქვენი უდიდებულებისადმი კეთილგანწყობა და ერთგულება აღძრა და პატრის საშუალებით, რომელსაც ბარათი გამოვატანეთ, თქვენს უდიდებულესობას ვთხოვეთ, მოწყალება გაეღო და ჩვენთვის ებრძანებინა, ჩვენი მოკრძალებული ძალებით დავხმარებოდით”).<sup>23</sup>

პრეკლე თავის წერილებში მზადყოფნას აცხადებს, მონაწილეობა მიიღოს ანტითურქულ სამხედრო გაერთიანებაში და სწორედ ამგვარი ომის კონტექსტში ითხოვდა ფულად დახმარებას თავისი ჯარის უკეთ წვრთნისა და აღჭურვისათვის. ცხადია, ეს წერილები, თუკი მათში არის გარკვეული, თუმცა არც თუ მაინცდამაინც მტკიცე პოლიტიკური ლოგიკა, უპირველესად იმას ცხადყოფენ, რაოდენ შეშფოთებული, რომ აღარა ვთქვათ — სასოწარკვეთილი, იყო პრეკლე, რომელიც ნათლად ხედავ-

და თავისი სამეფოს დაშლისა და დასასრულის მოახლოებას.

ევროპის ქრისტიანი მონარქებისადმი დახმარების თხოვნის პარალელურად პრეკლე II კვლავაც არწმუნებდა რუსეთის საიმპერატორო კარს თავის სამეფოსა და რუსეთს შორის “მეგობრობითი ტრაქტატის” დადების აუცილებლობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრეკლეს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ რეალური დახმარების მიღება მხოლოდ ისეთი დიდი ერთმორწმუნე მეზობელი სახელმწიფოსაგან შეეძლო, როგორიც რუსეთის იმპერია იყო; ამიტომ რამოდენიმე დღით ადრე, ვიდრე ევროპელ მონარქებს მისწერდა, კერძოდ, 1782 წლის 3 ოქტომბერს ეკატერინეს მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატზე ხელმოწერის თხოვნით მიმართა; იმავე წლის 21 დეკემბერს კიდევ ერთი უფრო ოფიციალური თხოვნა გაუგზავნა. იმავე დღეს, ევროპის ქვეყნებისადმი დახმარების თხოვნას რუსეთის ხელისუფლების გულისწყრომა რომ არ გამოეწვია, თავად ბრიგოლ პოტიომკინს კათოლიკე მონარქებისადმი განკუთვნილი წერილების ასლები გაუგზავნა და თავისი ინიციატივა ჯარის მოდერნიზებისათვის ფულის შოვნის აუცილებლობით ახსნა.<sup>24</sup>

1782 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთის სამეფო კარზე არსებითად იცვლება პოლიტიკური მიდგომა ტავკასიის ქვეყნებისა და ხალხებისადმი, ანუ ძლიერდება ის სტრატეგიული ხაზი, რომლის თანახმადაც იზრდება ამ ქვეყნების მნიშვნელობა რუსეთისათვის. ეკატერინე დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ეგრძობინებინა ოსმალეთის იმპერიი-

სათვის, რომ ძავკასიის ქვეყნები რუსეთის ინტერესთა და გავლენის სფეროს განეკუთვნებოდნენ. ეს კარგად ჩანს მის მიერ ტონსტანტინოპოლში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლისადმი გაგზავილ განკარგულებაში, ეცნობებინა ბრწყინვალე პორტასათვის, რომ ოსმალეთის ჯარის მიერ ციხესიმაგრეების მშენებლობა იმერეთის სამეფოში ეწინააღმდეგებოდა შუჩუქ-ბაინარჯის საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლს და რომ რუსეთი გულგრილი ვერ დარჩებოდა აგრესიისადმი ერთმორწმუნე ქართული მოსახლეობის მიმართ.<sup>25</sup>

1782-ის დეკემბრის დამლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძავკასიის ქვეყნების მიმართ გარდატეხა მოხდა, როდესაც ეკატერინემ პლეჩანდრე ბეზბოროდკოსა და ბრიგოლ პოტიომკინს რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოებთან შესაძლო ხელშეკრულების ნიმუშის შედგენა დაავალა (კერძოდ, ეკატერინეს გადაწყვეტილი ჰქონდა ხელშეკრულების დადება როგორც ქართლ-თახეთის, ასევე იმერეთის სამეფოსთან. 1783-ის 3 აპრილს თავადმა ბრიგოლ პოტიომკინმა გენერალ პავლე პოტიომკინს უფლებამოსილება მიანიჭა, ხელშეკრულება დაედო ქართლ-თახეთის სამეფოსთან, და ამასთანავე მიუთითა, ჯერჯერობით გადაედო ხელშეკრულების დადება იმერეთის სამეფოსთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი “გარკვეულწილად ბრწყინვალე პორტას ემორჩილებოდა”);<sup>26</sup> გარდა ამისა მრავალი სხვა სათანადო მითითებაც მისცა, რომელთა უმრავლესობა აისახა კიდევ ქართლ-თახეთის სამეფოსთან დადებულ ხელშეკრულებაში. ბერძოდ, ეკატერინეს მი-



თითებების თანახმად, ქართველი მეფეები უნდა მიჩნეულიყვნენ არა ქვეშევრდომებად, არამედ რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ მოკავშირეებად. ამის გარდა, მათ უნდა გაეწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა ევროპის ქრისტიან მონარქებთან და აეხსნათ მათთვის, რომ უფლება არ ჰქონდათ, ჩარეულიყვნენ “მათი აზიელი მეზობლების საკითხებში”.<sup>27</sup> ამ მითითების გამო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართლ-თახეთის სამეფოსთან ხელშეკრულების დადება, რომელზეც ეკატერინე ადრე ყოველთვის თავს იკავებდა, გარკვეულწილად განპირობებული იყო იმის შიშით, რომ ევროპელი ხელისუფალნი რაიმე სახით არ ჩარეულიყვნენ ტავკასიის საკითხებში.

მას შემდეგ, რაც ეკატერინემ საბოლოოდ გადაწყვიტა შეესმინა ქართველთა თხოვნა და ხელი მოეწერა ქართლ-თახეთის სამეფოსთან მეგობრობისა და მფარველობის ხელშეკრულებაზე, 1783 წლის დასაწყისში თავად ბრიგოლ პოტიომკინს საქართველოს მეფესთან მოლაპარაკების ხელმძღვანელობა დაავალა. პრეკლე II-მ, ქართველმა დიდებულებმა და სასულიერო პირებმა, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში თხოვდნენ რუსეთის იმპერიას ხელშეკრულების დადებას, მხურვალედ დაუჭირეს მხარი რუსების მიერ შემოთავაზებულ ტექსტს და რამოდენიმე თვეში მიღწეულ იქნა შეთანხმება ყველა მუხლზე; 24 ივლისს რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი გენერალი პავლე პოტიომკინი და ქართლ-თახეთის სრულუფლებიანი ელჩები, თავადები იოანე ბაგრატიონი და ბარსევან ჭავჭავაძე<sup>28</sup> ერთმანეთს შეხვდნენ ტავკასიის მთებში მდებარე

ბეორგიევსკის ციხესიმაგრეში ქვემოთ ტრაქტატზე ხელის მოსაწერად და ბეჭდების დასასმელად:

სახელითა ღმრთისა ყოვლისა შემძლებელისა ერთისა სამშობინდაობასა შინა დიდებულისათა

ადრითგან ერთმორწმუნოებამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან შახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდეგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუეშე შემერდომ იყვნეს იგ[ი]ნი მეზობელთაგან თუსთა.

მფარუელობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან, გამოიყუნა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირუელთა მათგან, რომელიცა უფროსდა იჩუენების რუსეთის საიმპერატოროჲსა ტიტლოსაგან.<sup>29</sup>

აწ ბედნიერად მმეფობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხოზობითი თუსი კეთილნებობაჲ და დიდსულობითი მზრუნუელობაჲ კეთილობისათუს მათისა, თუსითა ძლიერითა მეცადინობისა დართუთა, განთავისუფლებისათუს მათისა უღლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყვედ მიქდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძელებს თუსსა მონარხოზობითა მოხედუჲსა მფლობელთა მათდამი.

ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და ძახეთისა ირაკლი ოციმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა

მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა და მენაცულითა თჳსითა და ყოვლითა სამეფოჲთა და სამფლობელოჲთა თჳსითა მონარხოზითსა მფლობელობასა ქუეშე მისისა ღიდებულეებისასა და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა, უზენაეს კელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართულეთა და ძახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მენაცულეთათა აღიარებს უზენაესსა კელმწიფებასა და მფარულეობასა მისისა იმპერატორების ღიდებულეებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და ძახეთისათა და სხვათა სამფლობელოთა, შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ყოს (სამეუფოჲთა) დღესასწაულობითა და ნამძვლითა ხატითა შეკრულებაჲ თჳსი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა. ზოლო მეორით კერძო, ღიდებულეებაჲ იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ყოს დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულეებაჲ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუნისაგან მისისა ჰქსენებულთა ერთა და უგანათლეთულესთა მფლობელთა მათთა.

ღასამტკიცებელად ესევეთარისა პირობისა ინება ღიდებულეებაჲ იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა რომაულისა ბრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მკედართა თჳსთა ღენარალ-ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, განსწავლულისა და გაუსწავლებელისა და სხუათა მრავალთა სამკედროთა ძალთა, სენ-

ატორი, საკლემწიფოა სამკედროა კოლელის ვიცე პრეზიდენტი, ასტარხნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსისისა მოადგილე კელმწიფისა, დენარალ-ატუტანტი თუხი და დეისტვიტელნი კამერლერი, კავალერ-დვარდიისა კორპუსისა პორუთიკი, ლეიბ-ლუარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირუელესი მთავარი პალატისა სასაჰურუელოა კელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმინდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევესკისა, სამკედროსა წმინდისა დიდისა მოწამისა ბიორგისა და წმინდისა მოციქულთა ჰსწორისა მლადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა და წმინდისა სტანისლავისა, შუეციისა სერაფიმთა, ღატსკისა სპილოა და ლოლსტინიისა წმინდისა ანასი, ესევითარითა კელმწიფებითა, რათა არყოფასა მუნ თუსსა აღირჩიოსმცა ნებითა თუსითა სრულისა ძალისა მქონებლად, ვისიცა კეთილად განსაჯოს მან, რომელმან რომლისათუს აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო მალმსულელი უფალი მისის იმპერატორების დიდებულების არმიისა დენარალ-პორუტჩიკი, ასტარხნის ლუბერნიის მკედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებ[ულებ]ისა დეისტვიტელნი კამერლერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა ალექსანდრე ნევესკისა, სამკედროსა დიდის მოწამის და ძღევაშემოსოლის ბიორგის და ლოლსტინიის წმიდის ანანას კავალერი პავლე სერგიევიჩი პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან ძართლისა და ძახეთისა მეფისა ირაკლი ტეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა ჰყუნა კერძოთ თუსით ბრწყინულენი სამკედროსა თუსისა მემარცხნე სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე აოსტანტინევიჩი ბაგრატიონი და მისის

უგანათლებულესობისა თავადი ბარსევან შავჭავაძე მანდატურთუხუცესი.

ჭკენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებელთა და შეწევნითა ლმრთისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცულისმგებელთა სრულისა ძალისა მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და და[ა]მტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა, ანუ წევრთა:

### არტიკული პირველი

უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და ტახეთისა სახელითა თუსითა, მემკვდრეთა და მენაცულებთა თუსთა დღესასწაულობით უკუნსტქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა, ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა ანუ სხუათა მპყრობელთასა. ღა ამით ცხადპყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თუს ზედა და მენაცულებთა თუსთა ზედა სხუასა თვთმპყრობელსა თუნიერ უზენაესისა კელმწიფებისა და მფარუელობისა მისისა იმპერატორების ღიდებულებისა და მალალთა მისთა მემკვდრეთა და მენაცულებთა საიმპერატორომსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზაყოფისა შეწევნისათუს სარგებელისა საკელმწიფომსა (რუსეთისა), ყოველსა შინა შემთხუევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

### არტიკული მეორე

ღიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუელისა აღთქმისა, აღსტქუამს თანასწორადუე და იმედუელ

ჰყოფს იმპერატორებრიტა სიტყუთა თუსითა თავისა თუსო-სათუს და მოსაყდრეთა თუსთათუს, ვითარმედ მოწყალეობა და მფარუელობა თუსი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და ტახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისადა დასამტკიცებელად ღიდებულეობა მისი აძლევს იმპერატორებრსა თავსმდებობასა თუსსა მრთლად (და დაუკლებელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი ოციმურაზოვიჩისათა. ღა წინა დასდებს განვრცელებასა ესევითარისა თავსმდებობისასა ესეუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოდსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოდსა მისისა მიმართ დამტკიცებიან.

### არტიკული მესამე

ბანცხადებასა შინა ამის უზაკუელობისასა, ვითარითაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და ტახეთისა აღიარებს უზენაესსა კელმწიფებასა და მფარუელობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა, განიწესების, ვითარმედ ქსენებულნი იგი მეფენი, ოდეს-იგი მიიწევნიან მემკვდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრადღ აუწყებდენ ამისთუს კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თუსთა მიერ სამეფოსა ზედა თუსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს), ბოვრაცი, ანუ დროშა ქოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თუსსა ჰქსენებულთა სამეფოთა ღერბისა, კრმალი, კუერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა

ერწმუნების ანუ მესამზღვრეთა მთავართა ძლით მიიწვევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა, მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა, თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხსათს კელმწიფებისა და მფარუელობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესევეთართა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამით თანა. წესი ესე თანააძს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა შართლისა და ძახეთისასა ირაკლის ოციმურაზოვიჩსა.

### არტიკული მეოთხე

ღამტკიცებისათს, ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა ესოდენ მჭირისსა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათს უზენაესისა კელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინუალესის ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკუელ, აღსთქუამს უგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანკმობისა უპირუელესისას მესამზღვრისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისა ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერ-მოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ. ხოლო ოდეს-იგი მოვალნ მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირუელესისა მიმართ მესამზღვრისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისასა უკუნქცევისათს დესპანთასა და შესაფერისათს სიტყუსგებისა მფლობელთა მათ მიერ.

## არტიკული მეხუთე

რათა აღწლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროდ მიწერ-მოწერად და თანკმობად რუსეთისა საიმპერატორომსა კარისა თანა, ჰსურს ამისთვის უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუესმცა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი. ხოლო ღიდებულება იმპერატორებისა მისისა, მოწყალებით მიმღებელი მისი, აღსთქუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინისტრთა თანა, თანაჰსწორითა ნიშნითა თუსითა. და გარდა ამისსა ჰნებაეს, რათა კერძოდთა თუსით ჰყუესმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისის უგანათლებულესობისა.

## არტიკული მეექვსე

ღიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი კეთილნებებით აღსარებისა უზენაესისა ქელმწიფებისა და მფარუელობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, ძახეთისა და საქართუელომსათა, აღსთქუამს სახელითა თუსითა და მოსაყდრეთა თუსთათა:

პირველად, ერთა მის სამეფომსათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით, თანაკმად იმპერიისა თანა თუსისა. მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თუსსა, რომლისათუსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა ანუ სხუათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშვიდობად დამტკიცებული, სათანადო არს, რათა განგრძელდეს ღიდებულებისა მისისა და საფარუელთა ერთაცა ამათ ზედა.



მეორედ, უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის ოც-  
იმურაზოვისსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენ-  
აცულეთა და ტომთა დაიცავს უცუალებელად სამეფო-  
თა ზედა შართლისა და ძახეთისათა.

მესამედ, შინაგანსა კელმწიფებისა მმართველობასა  
თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და  
შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგა-  
ნათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგე-  
ბლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამკედროსა და  
სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაჲ  
ერთა მათ ჰქსენებულთა.

### არტიკული მეშვიდე

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირსთანამდე-  
ბობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყ-  
ალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების  
ღიდებულებისა, აღსთქუამს თაჲსა თჲსისა და ტომთა  
თჲსათაჲს:

პირუელად, რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა  
ზედა მისისა ღიდებულებისასა მკედრობითა თჲსითა;

მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა, რათა იქ-  
ცოდესმცა სამარადისოჲთა მიწერ-მოწერითა, რაჲცაღა  
თჲს ეყჷს მისისა იმპერატორების ღიდებულებისა  
სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათდა და ყმათა  
მისის ღიდებულებისათა სცუდეს ყოველთაგან განსაცდელ-  
თა და შეიწრებათა.

მესამედ, განწესებასა შინაკაცთასა (თჲსისა სამე-  
ფოჲსათა) ადგილთა ზედა აღყუანებასა ზედა მათსა  
ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა  
უსაკუთრესად აჩუენოსმცა უღიდესობაჲ მსახურებო-

სათუხ რუსეთის იმპერიისა. ესევითარსა პატივისცემასა ზედა მოკიდულ არს განსუენება და ბედნიერობა ძართლისა და ძახეთისა სამეფოჲსა.

### არტიკული მერუე

ღასამტიკიციებელად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი ღიდებულეზაჲ, ვითარმედ კათოლიკოზსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მლუდელმთავართასა მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხოლო მართებისათუხ საქართუელოჲსა ეკკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთუხ უკუე დაიწერების სხუა არტიკული.

### არტიკული მეცხრე

ბანვრციელებისათუხ მოწყალეებისა თუხისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათუხ განაწესებს ღიდებულეზა იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირუჟელესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა. ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალეებითსა ყმათადმი


მისთა სიმდაბლით შთამოსლუასა და შეიკრუს წარგზავნად კარისადმი მისისა ღიდებულეებისა ნუსხასა კეთილშობილთა გუართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდული ზედმიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი.

### პრტიკული მეათე

ბანიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და ქახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კუალად უკუნქცევადვე დაუყოვნებელად. ხოლო ტყუენი, უკეთუ საჭურუელითა ანუ გამოქსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხუთა ერთაგან განთავისუფლდენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუეყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა. მაგრა რაჲცაღა იგი წარგებულ არს გამოქსნასა და მოყვანებასა ზედა მათსა, გარდაიკადონ იგი; თჳთ უკუე ამასვე უგანათლებულესობაჲცა მისი მეფე აღსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუეთათჳს, რომელნიცა დატყვევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

### პრტიკული მეათერთმეტე

ვაჭრობასა ქართლისა და ქახეთისასა აქუს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკუდრნი რუსეთისანი სარგებლობენ. ნაცულადუე მისსა აღსთქუამს მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღურეთა ანუ მინისტრთა მისისა ღიდებულეებისათა ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა



*ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტები XVIII საუკუნის დამლევის*

შინა სამფლობელოთა შინა თუსთა, ანუ მგ ზავრ განმვ-  
ლელთა რუსთა ვაჭრობისათუს სხუათა შინა ადგილ-  
თა. ამისთუს რომელ გარდა ესეგუარისა ნამდულისა  
განწესებისა და ზავისა სარგებელთათუს ვაჭრობისათა  
ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუ-  
აგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

### არტიკული მეათორმეტე

ზავი უკუე ესე, ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ.  
მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაამე საპიროდ შეც-  
უალებად, ანუ დართუად ურთიერთისათუს სარგებელისა,  
აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანქმობისა.

### არტიკული მეათსამეტე

ძმაყოფისათუს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო  
არს ურთიერთარს შეცუალებულყოფაჲ ექუსთა თთუე-  
თა შინა კელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს  
შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემო მომწერელთა,  
სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულძალმ-  
ქონებლობისა მათისა, მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა  
და ამას თანა თუსნიცა დასხნეს ბეჟედნი.

თუესა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783.

წმიდის ბიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин

[ბეჟელი]

თავადი იოანე ბაგრატიონი

[ბეჟელი]

თავადი ბარსევან შავკავაძე<sup>30</sup>

[ბეჟელი]

## სეპარატნი, ანუ მზანი არტიკულნი

### სეპარატისა არტიკული პირუელი

ჰაზრი მტკიცე მისის იმპერატორების ღიდებულეებისა, რათა ერთმორწმუნენიმცა ერისა მისისანი, ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა, ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანქმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყულელად შეერთებულთა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსვენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუე აღიძრვის ღიდებულება მისი მისისა შგანათლებულესობისადმი, მეფისა ქართლისა და ძახეთისა ირაკლი შიემურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და განზრახვისა, (ესე იგი რჩევისა) დაცუსათვის მეგობრობისა და კეთილისა თანქმობისა შგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა, განწყესებისათვის ყოვლისა მის, რაჲცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერ ყოფად, წინათვე ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულისქმის საყოფელისა, აღჰსთქუამს იმპერატორებრითა სიტყვითა თუსითა არა თუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თუსითა ყოფისათუს ესოდენ სასარგებლოჲსა ამის საქმისა, არამედ ამას ესევითარსა ზედა მშვიდობასა და თანქმობასა მისცემს თუსსა თავსმდებობასა.

შგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობასა მისისა ღიდებულეობისა ზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთგუართა და ერთსჯულთა და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა, აღიარებს ამით, ვითარამედ ურთიერთთა საქმეთა შინა მათთა შგანათლე-

ბუღესისადმი მეფისა სოლომონისა აწ და შემდგომად შერაცხს მისისა იმპერატორებისა ღიდებულებასა სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენაესისა განჩინებისა, ანუ განჩენისა ვერ გულისკმის საყოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ მფლობელთა უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

### პრტიკული მეორე სეპარატისა

ღაცვისათვის სამფლობელოჲსა ქართლისა და ტახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მკედრობისა მისისა უგანათლუ-ბუღესობისა მეფისა ღიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჰმელი უსიტყუთა ხარისხისაებრ მკედრობისაგანთა მათ მიუცემის და პრავიანტი იგი და საჰმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფი[ერებისა] ძლით ქუეყანისა თანკმობითა მისის უგანათლუბუღესობისათა, თავისა თანა მესამზღვრისა მთავრისა დადებულითა ფასითა.

### პრტიკული მესამე სეპარატისა

ღროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღვრე მისისა იმპერატორების ღიდებულებისა კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლუბუღესობასა მისსა, მეფესა ქართლისა და ტახეთისასა ეთანკმოსცა და დასდუას ჰაზრი შეწევნისათჳს თჳმულთა მათ ქუეყანათა და წინააღდგომისა მტერთასა მოჰმედებისათჳს,

რომელიც არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამას თანა განიწესების ესეცა, ვითარმედ: უკუეთუ რაოდენიმე მკედრობა ძართლისა და ძახეთისა წმარებულ იქმნეს სამსახურისათუს მისისა იმპერატორების ღიდებულებისა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათუს შესანახავი სრული, თანასწორი მისისა ღიდებულებისა მკედართა.

### არტიკული მეოთხე სეპარატისა

ღიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იკმაროსცა ყოველი შემძლებლობაჲ მეცადინობისა ღონითა საჭურუელისათა. ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათუს ქუეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუელადვე სამეფოჲსა მიმართ ძართლისა და ძახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუელსა ზედა თქმულთა აზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათუს და უზენაესისა კელმწიფებისა შოვლისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქუსთ ესევითარივე ძალი, ვითარმცა თუთ ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ ლექსითი-ლექსად შემოყუანილ ქმნილ იყუნენ, რომლისათუსცა სრულყოფასა ამისსა იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა, ანუ დართუასა.

რომლისა დასარწმუნებელად ქუემა მომწერელთა, სრულისა ძალისა მქონებელთა, მებრ ძალისა



სრულდამქონებლობისა მათისა, მოაწერეს არტიკულ-  
თა ამათ ზედა და ამას თანა თუხნიცა დაჰხსნეს  
ბეჰედნი.

თუესა იულისსა, დღესსა 24, წელსა 1783.

წმიდის ბიორგის კრებოსტი.

Павел Потемкин

[ბეჰელი]

თავადი იოანე ბაგრატიონი

[ბეჰელი]

თავადი ბარსევან შავჭავაძე

[ბეჰელი]

ტრაქტატი, რომელიც ეკატერინე II-მ და პრეკლე II-მ  
დაამტკიცეს და “სეპარატული”, ანუ საიდუმლო მუხლების  
გარეშე გამოქვეყნდა, აღსავსეა არსებითი ხასიათის შინაგანი  
წინააღმდეგობებით. მართლაც, ვინაიდან, ერთი მხრივ, I  
მუხლის თანახმად, ქართლ-ქახეთის მეფე, მისი იმპერა-  
ტორული უდიდებულესობის გარდა, სხვა არავის უზენაე-  
სობას არ ცნობდა, ხოლო მესამე მუხლის თანახმად,  
ქართველ მეფეებს ტახტზე ასვლისას სამეფო რეგალიები  
რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღოთ, შესაძლოა ვი-  
ფიქროთ, რომ ქართლ-ქახეთის სამეფო გარკვეულწილად  
რუსეთის ვასალი ხდებოდა; მაგრამ მეორე მხრივ, რამდენა-  
დაც II მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული  
მთლიანობა უნდა შენარჩუნებულიყო, ხოლო VI მუხლში  
იმპერატორი ბაგრატიონთა დინასტიას სამეფო ტახტსა და  
საქართველოს სამეფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობას  
აღუთქვამდა, საფიქრებელი იყო, რომ აქ ჩვეულებრივი  
მფარველობითი ტრაქტატი იგულისხმებოდა. XVIII საუკუ-  
ნის მეორე ნახევარში მოქმედი საერთაშორისო სამართლის  
ნორმებიდან გამომდინარე, ხსნებულ ტრაქტატს შეეგვიძლია

მივუსადაგოთ მძევრ დე პატელის მიერ 1758 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — “ზალხთა სამართალი” — მფარველობის ტრაქტატებისადმი მიძღვნილი შემდეგი დებულება:

ამგვარად, სუსტი სახელმწიფო, რომელიც თავისი უსაფრთხოების მიზნით უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში შედის და მადლიერების ნიშნად მფარველობის შესაბამის ვალდებულებას კისრულობს ისე, რომ ინარჩუნებს თავის ხელისუფლებასა და სუვერენიტეტს; ეს სახელმწიფო... რჩება სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც, ზალხთა სამართლის გარდა, სხვა სამართალს არ ცნობს.<sup>31</sup>

ჩვეულებრივ დავას სწორედ ე. პატელის მიერ ხაზგასმული სუვერენიტეტის ცნება იწვევს; კერძოდ, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ტრაქტატით დაინტერესებული ისტორიკოსებისა და იურისტების წინაშე ჩვეულებრივ ასეთი კითხვა წამოიჭრება: ამ ტრაქტატით ქართლ-ქახეთის სამეფომ თქვა თუ არა უარი თავის სუვერენულობაზე? მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერის, მაგალითად, ფონ ლისტის<sup>32</sup> აზრით, 1783 წლის ტრაქტატით საქართველომ უარი თქვა თავის სუვერენიტეტზე და თავი ვასალად ცნო, რაც ოფიციალურად 1801 წელს რუსეთის მიერ მისი ანექსიით დამტკიცდა და, მეტიც, ამ ტრაქტატის ნორმატიულმა ძალამ ამ ქვეყანას სამუდამოდ წაართვა დამოუკიდებლობის ყოველგვარი უფლება. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს (ნიპოლდი,<sup>33</sup> ლე ფური,<sup>34</sup> ალენი,<sup>35</sup> ლანგი<sup>36</sup>) ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ როდესაც ქართლ-ქახეთის სამეფომ სუვერენიტეტი მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში დათმო, ხოლო

საშინაო პოლიტიკაში — დაიტოვა, მან ტიპურ მფარველობით ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ამგვარად, პატელის პრინციპების მიხედვით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი სტატუსი შეინარჩუნა.

11-ე უცნაურს არაა, ერთობ თავისებურ, ინტერპრეტაციას გვთავაზობს ქართველი ისტორიკოსი, იურისტი და ლიტერატორი ზურაბ ავალიშვილი, რომლის აზრით, როდესაც საქართველომ ტერიტორიული მთლიანობისა და დინასტიის უწყვეტელობის დასაცავად ნებაყოფლობით დათმო ზემოაღნიშნული სუვერენიტეტი, იმპერატორის სამსახურში ჩადგა და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე უარი თქვა, ამით ერთდროულად როგორც ვასალური, ასევე მფარველობაში მყოფი ქვეყანა გახდა.<sup>37</sup> მრავალმა სამართალმცოდნემ ცხადყო, რომ საქართველოს სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებულ ტრაქტატში დაცულია ტიპური ორმხრივი ხელშეკრულების პრინციპები: ორივე მხარე აღიარებს ერთმანეთის უფლებებს და ამასთანავე, როგორც ამას რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების XII მუხლი ადგენს, ვალდებულებას კისრულობს, მასში ცვლილებების შეტანა მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდეს.<sup>38</sup>

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მხარეები არ არიან მოხსენიებული თანასწორებად, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ტრაქტატის ლექსიკა. მართლაც, ეკატერინე II ყოველთვის მოიხსენიება როგორც

“Ее Императорское Величество” — “დიდებულება იმპერატორებისა მისისა”, მაშინ, როდესაც პრეკლე II, რომელიც, მართალია, არ იყო იმპერატორი, მაგრამ მეფე იყო და თანაც ბაგრატიონთა უძველეს დინასტიას განეკუთვნებოდა, მოხსენიებულია ტიტულით “его светлость” — “უგანათლებულესობა მისი”, რაც ჩვეულებრივ არა მეფეზე, არამედ თავადზე ითქმის.<sup>39</sup>

მაგრამ დავუბრუნდეთ ტრაქტატში გათვალისწინებულ ისეთ საკითხს, როგორცაა ქართლ-ბახეთის სუვერენულობის გაუქმება საგარეო პოლიტიკის სფეროში. უნდა ითქვას, რომ რუსეთს ეს პუნქტი სრული სახით არასოდეს აუმოქმედებია; კერძოდ, საგარეო პოლიტიკას მეზობელი სახანოებისა და სათავადოების მიმართ პრეკლე კვლავაც დამოუკიდებლად, პეტერბურგის საგარეო საქმეთა ძოღე-გიასთან შეუთანხმებლად წარმართავდა, თუმცა, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პოლიტიკა არ უნდა ყოფილიყო მიმართული რუსეთის იმპერიის ინტერესების წინააღმდეგ. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ რუსეთი ხელსაც კი უწყობდა პრეკლეს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, როგორც ეს იმერეთის სამეფოს შემთხვევაში მოხდა, როდესაც 1784 წელს გარდაცვლილი მეფე სოლომონ I-ის ტახტის დაუფლებისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლის დასასრულს, 1789 წელს, სოლომონ I-ის ბიძაშვილის, ღავით II-ის იმერეთის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ სოლომონ II-ის სახელით სოლომონ I-ის ძმიშვილი და პრეკლეს შვილიშვილი — ღავით პრჩილის ძე გამეფდა. როგორც უკვე ვნახეთ, რუსეთის იმპერია შიშობდა,

რომ ხელშეკრულების დადება იმერეთის სამეფოსთან, რომელსაც ოსმალეთის გავლენის სფეროდ თვლიდა, მას ბრწყინვალე პორტასთან უშუალო სამხედრო დაპირისპირებაში მიიყვანდა; ამიტომ რუსეთს ერჩია, ქართლ-თახეთის სამეფოსათვის მიენდო სამხედრო ხელშეკრულებების დადება სოლომონ II-სთან და საქართველოს სხვა სამთავროებთან, თვითონ კი უფლებას იტოვებდა, დახმარებოდა მის მფარველობაში მყოფ ქართლ-თახეთის სამეფოს, თუ მას, როგორც იმერეთის სამეფოსა და სხვა სამთავროების მფარველს, ოსმალეთი თავს დაესხმოდა.<sup>40</sup> რუსეთის მიერ წამოწყებული ამ შესაძლო მფარველობის პოლიტიკის დასტურია პრეკლეს, იმერეთის მეფესა და ოდიშისა და ბურჯინის მთავრების მიერ 1790 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც მტრებისაგან თავდასხმის შემთხვევაში ერთმანეთისადმი სამხედრო დახმარების გაწევას ითვალისწინებდა.<sup>41</sup>

საქართველოსთან ხელმოსაწერი ტრაქტატის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1783 წლის მაისში გენერალმა პოტიომკინმა მესანგრეთა რამოდენიმე ბატალიონს საქართველოს საზღვრამდე გზების მოწესრიგება და მდინარე შერგზე ხიდების აგება დაავალა. ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის დამაკავშირებელი გზების მოწესრიგება, კერძოდ, იმ გზის მშენებლობა, რომელიც მოგვიანებით ტავკასიის სამხედრო ბზის სახელით გახდა ცნობილი, როგორც რუსული, ასევე ქართული მხარისათვის კონკრეტულ სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიად იქცა. უკვე 1783 წლის ნოემბერს რუს ეგერთა ორმა ბატალიონმა ოთხი ზარბაზნით პოლკოვნიკ სტე-

ფან ბურნაშევის მეთაურობით ობილისამდე მოაღწია. პრეკლე მაშინვე შეუდგა საბრძოლო გეგმის შემუშავებას, რაც ითვალისწინებდა რუსული და ქართული სამხედრო შენაერთების ერთობლივ მოქმედებას მაჰმადიანი მთიელების, განსაკუთრებით ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც თავს ესხმოდნენ, აწიოკებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ ძახეთს; მაგრამ პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება ლეკებთან, რომელშიც რუსულ-ქართული შენაერთები გენერალ პლეჟანდრე სამოილოვის მეთაურობით მონაწილეობდნენ, მხოლოდ 1784 წლის ოქტომბერში მოხდა. 1784 წლის დეკემბერში ეკატერინემ პრეკლეს საჩუქრად გაუგზავნა 24 ზარბაზანი და ინსტრუქტორები, რომლებსაც ქართული შენაერთების გაწვრთნა ევალებოდათ. რუსეთთან ამ ახალი ტრაქტატის ამოქმედების შედეგად, ერთი შეხედვით, სავსებით რეალური ხდებოდა ქართლ-ძახეთის სამეფოს სამხედრო და პოლიტიკური პრობლემების მოგვარება.

რუსული შენაერთების საქართველოში შემოსვლას, აშკარად მტრულად რომ არა ვთქვათ, შეშფოთებით შეხვდა ბრწყინვალე პორტა, რომელმაც სასწრაფოდ გააფრთხილა რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი ტონსტანტინე-პოლში — იაკობ ბულგაკოვი იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიას არავითარი უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, ვინაიდან ამით რუსეთი არღვევდა ძუჩუქ-ძაინარჯის საზავო ხელშეკრულების XXIII მუხლს, რომლის თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, მთელი ძავკასია ოსმალთა გავლენის სფეროდ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის იმპერია, რომელსაც

მიაჩნდა, რომ მის ჯარს ჯერ კიდევ არ შესწევდა საკმარისი ძალა რუსეთის გასაძევებლად ტავკასიიდან და შირიმიდან, იმას დასჯერდა, რომ უფრო ქმედითი მატერიალური დახმარება გაუწვია ტავკასიის მთიელ მაჰმადიან ტომებს, რათა გაეხშირებინათ შემოსევები საქართველოს მიწა-წყალზე და მუდმივი მძიმე ზეწოლის პირობებში ჰყოლოდათ პრეკლე და მისი მფარველი რუსები. ოსმალეთის ამგვარმა პოლიტიკამ გამანადგურებლად იმოქმედა აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთის ჯარზე. მარტლაც, 1785 წლიდან მოყოლებული, ავარიის სახანოს განმგებელმა ომარ-ხანმა არაერთხელ ააოხრა ტახეთი, ხოლო საღვთო ბელადი შეიხ მანსური კი, რომელიც იმავე წელს მოულოდნელად გამოჩნდა ჩრდილოეთ ტავკასიაში, სათავეში ჩაუდგა სისხლისმღვრელ აჯანყებას რუსების წინააღმდეგ. თავდაპირველად მასში მხოლოდ ჩეჩნები მონაწილეობდნენ, მაგრამ მოგვიანებით მანსურმა ყაბარდოელები, ყუმიხები და სხვა ხალხებიც მიიმხრო. აჯანყების ჩასახშობად და წინასწარმეტყველ მანსურის შესაპყრობად რუსეთის სარდლობას დიდძალი ჯარის გაგზავნა დასჭირდა. ბიოგრაფიული ცნობები შეიხ მანსურის ქარიზმატულ პიროვნებაზე იმ დრომდე, ვიდრე მას წინასწარმეტყველად აღიარებდნენ, იღუმალებითაა მოცული და იმდენად ბუნდოვანია, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგი სხვა არავინაა, თუ არა კაზალ მონფერატოელი დომენიკელი ბერი, ტავკასიაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი — ვინმე ჯოვანი ბატისტა ბოეტი, რომლის კვალიც სწორედ წინასწარმეტყველ მანსურის გამოჩენისას იკარგება.<sup>42</sup>

პრეკლე II-მ, როგორც კი იგრძნო, რომ ტახეტში რუსული გარნიზონის ყოფნის შედეგად მის ირგვლივ მტრული გარემოცვა იქმნებოდა, ამ საფრთხისაგან თავის დასაღწევად 1786 წელს ხელშეკრულება დადო ახალციხის ფაშა სულეიმანთან, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ოსმალეთის იმპერიის სახელით ომარ-ხანს ქართლ-ტახეტში გამანადგურებელი შემოსევებისაკენ აქეზებდა. ამ ხელშეკრულებით (მისი რატიფიცირება საქართველოს მხრიდან რუსეთის ხელისუფლებას უნდა მოეხდინა, ხოლო სულეიმან-ფაშას მხრიდან — ოსმალეთის ხელისუფლებას) პრეკლე ვალდებულებას კისრულობდა, რომ საქართველოში რუსეთის გარნიზონი 3.000-ს კაცს არ გადაამეტებდა და თავს არ დაესხმოდა ახალციხის საფაშოს. თავის მხრივ სულეიმან-ფაშა პირობას დებდა, რომ აკრძალავდა თავის ტერიტორიაზე ქართველი ტყვეების მონებად გაყიდვას, აღარ წააქეზებდა მთიელების შეტევებს ქართლ-ტახეტის მეფის წინააღმდეგ და გაიყვანდა ტახეტის საზღვართან მუდმივად მყოფ ოსმალთა ჯარისკაცებს.<sup>43</sup>

ამასობაში, ვიდრე პრეკლე II მისი სამეფოსადმი მტრულად განწყობილი მეზობელი ხალხების დასაშოშმინებლად დიპლომატიურ გზებს ეძებდა, რუსეთს და ოსმალეთს შორის ურთიერთობა სწრაფად მწვავდებოდა. 1786 წლის შემოდგომიდან მოყოლებული ოსმალეთის ხელისუფლებამ რუსეთის სრულუფლებიან მინისტრს ტონსტანტინებოლში არაერთი ოფიციალური საპროტესტო ნოტა გაუგზავნა რუსეთის ქმედების გამო ტავკასიში, ყირიმში, შავი ზღვისა და ღუბაისპირეთის სამთავროებში.



<sup>13</sup> იხ. ტრაქტატის ტექსტი.

<sup>14</sup> მკითხველი შესაძლოა გააკვირვოს სამეფოებისა და სათავადოების ასეთმა სიმრავლემ XVIII საუკუნის საქართველოში და კითხვაც კი გაუჩნდეს — საერთოდ იყო თუ არა ოდესმე ეს ქვეყანა ერთიანი სახელმწიფო და სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა მისი საზღვრები. ერთიანი საქართველოს დასაბამის ძიებისას უნდა გავიხსენოთ ოსმარ მეფე, რომელიც 1184-1213 წლებში მეფობდა; მან შეძლო თავისი სკობტრის ქვეშ ქვეყნის გაერთიანება იმ საზღვრებში, რომლებშიც ისტორიულად საქართველო მოიაზრება: დასავლეთით იგი აფხაზეთიდან იწყებოდა, აღმოსავლეთით თითქმის ბანჯას აღწევდა, ჩრდილოეთით — ბაქასის ქედსა და სამხრეთით — ტაო-ბლარჯეთს მოიცავდა. მომდევნო საუკუნეებში ქვეყანას ძლევამოსილი დამპყრობლები შემოესივნენ: ჯერ — მონღოლები, რომლებაც იგი მრავალ სახარკე “დუმნად” დაანაწევრეს. პრეკლე II-მ, რომელიც ბახეთსა და შართლში მეფობდა, ქვეყნის გაერთიანების პროცესი დაიწყო, რაც, რაგინდ პარადოქსულად უღერდეს, 1801 წელს რუსეთთან შეერთების შემდეგ დასრულდა. შართლაც, ჯერ შართლ-ბახეთისა და რამოდენიმე წლის შემდეგ იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეების შეერთებით რუსეთმა თითქმის დაასრულა იმ მიწა-წყლის გაერთიანება, რომელიც ისტორიულად საქართველოს სახელითაა ცნობილი. შართლ-ბახეთის სამეფო ისტორიულად აღმოსავლეთ საქართველოსთან, ან უფრო მარტივად — თვით საქართველოსთან არის გაიგივებული, ვინაიდან სწორედ იგი იყო ისტორიული საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი; მართალია, იმერეთის სამეფო ცალკეულ სამთავროებთან ერთად დასავლეთ საქართველოდაც მოიხსენიებოდა, მაგრამ არასოდეს — მხოლოდ საქართველოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, XVIII საუკუნეში ტერმინში საქართველო მხოლოდ შართლ-ბახეთის სამეფო იგულისხმება.

<sup>15</sup> N. K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 24.

სადაც მის მეზობლებთან ერთად წინასწარმეტყველი მანსურიც იმყოფებოდა. ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად შეიხ მანსურიც დაატყვევეს, ბორკილდადებული პეტერბურგში ჩაიყვანეს და შემდეგ სოლოვკის კუნძულებზე გადაასახლეს. ამ დროს მოულოდნელად პესტრიამ ოსმალეთთან სეპარატული ზავი დადო და ბრძოლის ველზე მოპოვებული წარმატებების მიუხედავად, რუსეთი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის ამბიციურ “საბერძნეთის პროექტზე”, რომლის რეალურობაში ეკატერინე, ალბათ, არასოდეს ყოფილა ბოლომდე დარწმუნებული,<sup>47</sup> და 1791 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა იასის საზავო ხელშეკრულებაზე, თუმცაღა ამით ოსმალეთის იმპერიამ აღიარა ჟირიმის შეერთება რუსეთთან და დაუთმო მას ტერიტორია ბუგსა და ღნესტრს შორის, ხოლო V მუხლის თანახმად, ახალციხის ფაშას სახელით ვალდებულება იკისრა, რომ “არც ღიად და არც ფარულად დაარღვევდა [ქართლ-თახეთის სამეფოს] მიწა-წყლისა და მისი ქვეშევრდომების სიმშვიდეს”.<sup>48</sup>

ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიასთან ომის დაწყებამდე გენერალ პავლე პოტიომკინს პეტერბურგიდან უბრძანეს, საქართველოდან რუსეთის გარნიზონი მთლიანად გაეყვანა, რაც ბეორგიევსკის ტრაქტატის უხეში დარღვევა იყო. ამ ფაქტის გამო პრეკლე II-ის პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. 1787 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში მყოფმა რუსმა სამხედროებმა მლადიკავკაზის ციხესიმაგრისაკენ აიღეს გეზი. ოფიციალურად რუსები თავიანთი გარნიზონის გაყვანას იმით ხსნიდნენ, რომ ოსმალეთთან

ახლად გამოცხადებულ ომში რუსეთის სარდლობა არ აპირებდა სამხედრო ოპერაციების წარმოებას საქართველოდან, რომ პრეკლე მეფისთვისაც უმჯობესი იყო თავად ეზრუნა ქვეყნის თავდაცვაზე და რუსეთის ჯარის შემოსვლის შედეგად დარღვეული ძველი კავშირების აღდგენაზე ეფიქრა; და ბოლოს, რომ საქართველოში განლაგებული რუსეთის ორი ბატალიონი თითქმის მუდამ მშვიერ-მწყურვალნი იყო.<sup>49</sup> მაგრამ ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ უკვე ხნიერ და ავადმყოფ ბრიგოლ პოტიომკინს, ანუ მას, ვინაც ადრე სამხრეთში რუსეთის იმპერიის პოლიტიკას წარმართავდა და პასუხისმგებელი იყო ბეორგიევსკის ტრაქტატზე, თითქმის აღარავითარი გავლენა არ ჰქონდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე; გარდა ამისა, ეკატერინე, როგორც მანამდეც არაერთგზის განუცხადებია, დაინტერესებული იყო იმით, რომ შეენარჩუნებინა შირიმისა და მდინარე შუბანის აუზი იმპერიის უკიდურეს სამხრეთ საზღვრებად. ამგვარად, მიაჩნდა, რომ საქართველო იმ ტერიტორიად იქცა, რომელზეც მეტოქე ოსმალეთთან შეთანხმება შეიძლებოდა. მეტიც, ევროპაში თანდათანობით ანტირუსული კოალიცია ყალიბდებოდა, რომლის გეგმითაც რუსეთს შვედეთისთვის — ბალტიის ქვეყნები, ხოლო პოლონეთისთვის — ბელორუსია უნდა დაეთმო; აღარაფერს ვამბობთ იმ საშიშროებაზე, რომელიც იმპერიის დედაქალაქს — პეტერბურგს დაემუქრა, როდესაც 1788 წელს შვედეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. არაა გასაკვირი, რომ ასეთ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში პეტერბურგში საქართველოს ბედი აღარავის აღელვებდა!<sup>50</sup>

მეტიც, ვინაიდან ოსმალეთის იმპერიასთან დაპირისპირების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე მიზეზი ძავეკასიაში რუსების ყოფნა გახდა, 1788 წლის 14-16 დეკემბრის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, ბეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივმა შემდგენელმა, პლეჟანდრე ბეზბოროდკომ ასეთი იდეა წამოაყენა: დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება ოსმალეთთან და შეეთავაზებინათ მისთვის, ეცნო რუსეთის უზენაესობა ჰირიმსა და მდინარე შუბანის აუზში, ეკისრა საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო ზოლში ჩრდილოკავკასიელი მაჰმადიანი ტომების თავდასხმების აღკვეთა, ხოლო ქართლ-თახეთის სამეფოში მიზანშეწონილი იქნებოდა 1774 წლის იმ ვითარების აღდგენა, როდესაც იგი დამოუკიდებელი იყო როგორც რუსეთისაგან, ასევე ოსმალეთის იმპერიისაგან, ხოლო დასავლეთ საქართველო რუსეთს ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის ნაწილად უნდა ელიარებინა. ამ შეთავაზებიდან ნათლად ჩანს თუ როგორი იყო სინამდვილეში რუსეთის ინტერესები საქართველოში. მაგრამ ოსმალეთის იმპერია არ აპირებდა ნაწილობრივი დათმობებით დაკმაყოფილებას და იმედოვნებდა, რომ ომის გზით 1774 წლის შუჩუქ-ბაინაჯრის საზავო ხელშეკრულების არსებით შეცვლას შეძლებდა. მოგვიანებით ოსმალოებს ეს იმედი გაუქარწყლეს რუსეთის მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა, რომლებმაც თვით რუსეთის ხელისუფლების მოლოდინსაც კი გადააჭარბეს. მაგრამ ქართლ-თახეთის სამეფოს სტატუსი იასის საზავო ხელშეკრულებითაც ვერ გადაიჭრა, იმდენად, რამდენადაც მასში არ იყო ნახსენები ბეორგიევსკის ტრაქტატი. სხვაგვარად რომ ვთქ-

ვით, მართალია, ოსმალეთის დიპლომატია დე ფაქტო აღიარებდა გარკვეული სახის ურთიერთობას რუსეთის იმპერიასა და ქართლ-ქახეთის სამეფოს შორის, მაგრამ ვინაიდან საზავო ხელშეკრულებაში 1783 წლის ტრაქტატი არ იყო მოხსენიებული, ამ ურთიერთობას არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ ეძლეოდა. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ რუსეთის პოლიტიკა იმპერიის სამხრეთით არსებითად იცვლებოდა, ალბათ მასაც ხელს აძლევდა, რომ ოფიციალურად ბეორგიევსკის ტრაქტატი არ ყოფილიყო ნახსენები.

1791 წლის 5 ოქტომბერს თავადი ბრიგოლ პოტიომკინი გარდაიცვალა და მასთან ერთად გაქრა ის მცირე დიცი, რაც “საბერძნეთის პროექტიდან” რჩებოდა. იმპერიის სამხრეთში მისი სამხედრო პოლიტიკის გამტარებელი, ქავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალი გენერალი პავლე პოტიომკინი 1790 წლის 24 დეკემბერს გენერალმა ივანე ბუდოვიჩმა შეცვალა. ამგვარად, რუსეთის იმპერიის ახალ სტრატეგიაში ქავკასიამ მთლიანად დაკარგა მნიშვნელობა. მაშ რაღა რჩებოდა ბეორგიევსკის ტრაქტატიდან? შითქმის აღარაფერი. რუსეთის იმპერიის მიერ საზეიმოდ გაცხადებული მფარველობის პირობა იმით დასრულდა, რომ რუსებმა საქართველოდან თავიანთი გარნიზონი გაიყვანეს, ხოლო ქრეკლეს სრულიად უსარგებლო რჩევა მისცეს, რომ მისი სამეფოს უსაფრთხოებისათვის აჯობებდა, თუ ძველი კავშირების აღდგენაზე იფიქრებდა. მეტიც, 1792 წელს გააუქმეს ტრაქტატის III სეპარატული მუხლი, რომლის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში ქავკასიაში რუსეთის ჯარების მეთაურს

უფლება ჰქონდა, თავისი სამხედრო შენაერთები გაეგზავნა ქართლ-თახეთის სამეფოს დასაცავად. ახალი ბრძანებით, მათი გაგზავნა მხოლოდ მთავარი შტაბის ნებართვით შეიძლებოდა.

დასავლეთის მეცნიერთა შორის გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, როდესაც რუსეთმა ტრაქტატის II სექსარატული მუხლი დაარღვია და ქართლ-თახეთის სამეფოდან თავისი სამხედრო შენაერთი გაიყვანა, ამით ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც თვით ტრაქტატი გააუქმა.<sup>51</sup> ამგვარად, 1801 წელს ერთი რუსი ოფიციალური პირის მიერ გაცხადებული და შემდეგ ინგლისელი მეცნიერის – ლევილ ლანგის მიერ დამოწმებული სიტყვებით რომ ვთქვათ, “მფარველობამ, რომელიც რუსეთმა 1783 წელს [ქართლ-თახეთის სამეფოს] აღუთქვა, ეს ბედკრული ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხა და საბოლოო დაღუპვამდე მიიყვანა”.<sup>52</sup>

<sup>1</sup> უფრო ვრცლად რუსულ მწერლობაში კავკასიური თემის შესახებ იხ. L. Magarotto, “*Il prigioniero del Caucaso*” di A. S. Puškin, წიგნში: D. Cavaion e L. Magarotto, *Il mito del Caucaso nella letteratura russa. (Saggi su A. Puškin e L. Tolstoj)*, Padova 1992, გვ. 9-42.

<sup>2</sup> *Дивная и мужественная повесть о храбрости и мудрости целомудренной девицы Динары царицы, дочери Иверского царя Александра*, წიგნში: *Памятники литературы древней Руси. Конец XV – первая половина XVI века*, Москва 1984, გვ. 38-47. ტექსტში ყველა თარიღი მოცემულია იულიუს ძეისრის კალენდრის (ე. წ. ძველი სტილის) მიხედვით.

<sup>3</sup> Слово о Вавилоне, о трех отроках. Посольство царя Левкия, нареченного в крещении Василием, который посылал в Вавилон испросить знаменья у святых трех отроков – Анании, Азарии, Мисаила, წიგნები: Памятники литературы древней Руси. Вторая половина XV века, Москва 1982, გვ. 182-187.

<sup>4</sup> М. В. Ломоносов, Ода на день восшествия на престол Ея Величества Государыни Императрицы Елизаветы Петровны 1748 года, მისავე წიგნები: Сочинения, Москва 1982, გვ. 93-100.

<sup>5</sup> П. Потемкин, Ее Императорскому Величеству императрице Екатерине II, Санкт-Петербург 1771, გვ. 8.

<sup>6</sup> Г. Р. Державин, На возвращение графа Зубова из Персии, მისავე წიგნები: Стихотворения, Ленинград 1957, გვ. 255.

<sup>7</sup> იხ. პუშკინის მე-8 შენიშვნა, რომელიც ახლავს მის პოემას “ბავკასიის ტყვე”.

<sup>8</sup> В. Татишвили, Грузины в Москве. Исторический очерк (1653-1722), Тбилиси 1950, გვ. 62.

<sup>9</sup> М. Горгидзе, Грузины в Петербурге, Тбилиси 1976, გვ. 22.

<sup>10</sup> N. K. Gvosdev, *Imperial Policies and Perspectives towards Georgia, 1760-1819*, Houndmills 2000, გვ. 7. იხ. აგრეთვე: Г. Г. Борулава, *У истоков русского грузиноведения (XVIII век)*, Тбилиси 1989, გვ. 156.

<sup>11</sup> N. K. Gvosdev, იქვე, გვ. 17.

<sup>12</sup> J. R. Perry, *Karim Khan Zand. A History of Iran, 1747-1779*, Chicago and London 1979, გვ. 210-211.

<sup>13</sup> იხ. ტრაქტატის ტექსტი.

<sup>14</sup> მკითხველი შესაძლოა გააკვირვოს სამეფოებისა და სათავადოების ასეთმა სიმრავლემ XVIII საუკუნის საქართველოში და კითხვაც კი გაუჩნდეს — საერთოდ იყო თუ არა ოდესმე ეს ქვეყანა ერთიანი სახელმწიფო და სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა მისი საზღვრები. ერთიანი საქართველოს დასაბამის ძიებისას უნდა გავიხსენოთ ოსმალეთი, რომელიც 1184-1213 წლებში მეფობდა; მან შეძლო თავისი სეპტრის ქვეშ ქვეყნის გაერთიანება იმ საზღვრებში, რომლებშიც ისტორიულად საქართველო მოიაზრება; დასავლეთით იგი აფხაზეთიდან იწყებოდა, აღმოსავლეთით თიბეტის ბანჯას აღწევდა, ჩრდილოეთით — ტაეკასიის ქედსა და სამხრეთით — ტაო-პლარჯეთს მოიცავდა. მომდევნო საუკუნეებში ქვეყანას ძლევამოსილი დამპყრობლები შემოესივნენ: ჯერ — მონღოლები, რომლებაც იგი მრავალ სახარკე “დუმნად” დაანაწევრეს. პრეკლე II-მ, რომელიც ტახეტსა და ქართლში მეფობდა, ქვეყნის გაერთიანების პროცესი დაიწყო, რაც, რაგინდ პარადოქსულად ეღერდეს, 1801 წელს რუსეთთან შეერთების შემდეგ დასრულდა. მართლაც, ჯერ ქართლ-ტახეთისა და რამოდენიმე წლის შემდეგ იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეების შეერთებით რუსეთმა თითქმის დაასრულა იმ მიწა-წყლის გაერთიანება, რომელიც ისტორიულად საქართველოს სახელითაა ცნობილი. ქართლ-ტახეთის სამეფო ისტორიულად აღმოსავლეთ საქართველოსთან, ან უფრო მარტივად — თვით საქართველოსთან არის გაიგივებული, ვინაიდან სწორედ იგი იყო ისტორიული საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი; მართალია, იმერეთის სამეფო ცალკეულ სამთავროებთან ერთად დასავლეთ საქართველოდაც მოიხსენიებოდა, მაგრამ არასოდეს — მხოლოდ საქართველოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, XVIII საუკუნეში ტერმინში საქართველო მხოლოდ ქართლ-ტახეთის სამეფო იგულისხმება.

<sup>15</sup> N. K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 24.



<sup>16</sup> *Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии*, под ред. А. А. Цагарели, II, выпуск II, Санкт-Петербург 1902, გვ. 261-263.

<sup>17</sup> Г. Вешапели, *Единство Грузии и русский протекторат*, Москва 1917, გვ. 9.

<sup>18</sup> W. E. D. Allen, *A History of the Georgian People*, London 1932, გვ. 204.

<sup>19</sup> ი. ტაბალუა, *საქართველო საერთაშორისო არეალზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*, თბილისი 1979, გვ. 56-76 და 103-107; А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 13-16.

<sup>20</sup> ი. ტაბალუა, *იქვე*, გვ. 108-109.

<sup>21</sup> ამ ოთხი წერილისათვის იხ. ღანანართი.

<sup>22</sup> მ. მამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი 1902, გვ. 397-403; M. Tamarati, *L'Église géorgienne des origines jusqu'à nos jours*, Rome 1910, გვ. 639-642; ი. ტაბალუა, *იქვე*, გვ. 56-76. ოფიციალური მთარგმნელის მიერ შესრულებული იტალიური თარგმანისათვის იხ. ღანანართი.

<sup>23</sup> ი. ტაბალუა, *იქვე*, გვ. 137-138; А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 14.

<sup>24</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 26-27.

<sup>25</sup> *იქვე*, გვ. 29-30.

<sup>26</sup> ბრიგოლ პოტიომკინის მანდატზე იხ.: Г. Г. Пайчадзе, *Георгиевский трактат*, Тбилиси 1983, გვ. 106.

<sup>27</sup> A. A. Цаგარელი, *იქვე*, გვ. 30-31.

<sup>28</sup> ბარსევან შავჭავაძის შესახებ იხ.: ზ. ცქიტიშვილი, *ბარსევან შავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა*, თბილისი 1982, გვ. 3-204.

<sup>29</sup> იგულისხმება ის ფაქტი, რომ 1589 წელს მეფე თედორე ივანეს ძემ ძახეთის მეფეს — პლექსანდრე II-ს ოფიციალურად შესთავაზა სამხედრო მფარველობა, რის შედეგადაც 1592 წლიდან რუსეთის მეფეს, როგორც ბადლი ამბობს (J. F. Baddeley, *The Russian Conquest of the Caucasus*, London 1908, გვ. 9) “წინასწარმეტყველურად”, ხოლო პლენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოდნავ ნაადრევად (W. E. D. Allen, *A History of the Georgian People*, გვ. 164) “იბერიის მიწათა, ქართველ მეფეთა და შაბარდოს მიწათა, ჩერქეზთა და მთიელ თავადთა ხელმწიფის” ტიტულიც შეემატა. იხ. 64-ე შენიშვნა, რომელიც ახლავს თავს — *Il titolo di “zar” in rapporto a quello greco di “basileus” e a quelli latini di “rex” ed “imperator”* ბ. უსპენსკის წიგნში *In Regem unxit. Unzione al trono e semantica dei titoli di sovrano*, Napoli 2001, გვ. 168, ბიბლიოგრაფიითურთ. საგულისხმოა, რომ რუსი ისტორიკოსების კვალად, რომლებიც “ქვეშევრდომობაზე” (подданство) ლაპარაკობენ (მაგ. С. М. Соловьев, *Сочинения в 18 книгах*, кн. IV, *История России с древнейших времен*, 7-8, Москва 1989, გვ. 268-269), ხსენებულ შენიშვნაში ბორის უსპენსკიც უმართებულოდ წერს, რომ “1589 წელს დამორჩილებულ იქნა ქართველი მეფე პლექსანდრე II”; სინამდვილეში ძახეთის სამეფო რუსეთს კი არ დამორჩილება, არამედ უბრალოდ, მეფე თედორე ივანეს ძემ და მეფე პლექსანდრე II-მ ხელი მოაწერეს დიპლომატიურ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც რუსეთის მეფე ძახეთის სამეფოს სამხედრო მფარველობას კისრულობდა. Н. Бердзенишвили, И. Джавахишвили, С. Джанашия, *История Грузии, часть I*, Тбилиси 1946, გვ. 342-343; ვ. ბუჩუა, *სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. ძახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები*,

წიგნში: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, IV, Tბილისი 1973, გვ. 144-146. ბორის უსპენსკიზე მეტ სიზუსტეს იჩენს რუსი მეცნიერი მკვლევანი ბოლხოვიტინოვი. იგი თავის ნაშრომში *Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии*, Санкт-Петербург 1802, გვ. 2, რომელსაც ქვემოთ შევხვებით, ლაპარაკობს რუსეთის ხელმწიფეების მიერ ნაკისრ მფარველობაზე (покровительство) და არა ძახეთის სამეფოს ქვეშევრდომობაზე (подданство).

<sup>30</sup> *Полное собрание законов Российской Империи с 1649 года*, XXI, Санкт-Петербург 1830, გვ. 1013-1017. ძართული ტექსტისათვის იხ.: ბეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ბიორგი ქაიჭაძემ, Tბილისი 1988, გვ. 27-38. იმის გასარკვევად, თუ რა სახით იცნობდნენ ტრაქტატის ტექსტს იტალიაში, იხ. ლანარტი.

<sup>31</sup> დე შატელის მიერ ფრანგულ ენაზე შესრულებული ნაშრომი *Il Diritto delle Genti ovvero Principii della Legge Naturale Applicati alla condotta e agli Affari delle Nazioni e de' Sovrani*, იტალიურად თარგმნილი ლოდოვიკო პნტონიო ლოსკის მიერ, Tomo Primo, Lione MDCCLXXXI, გვ. 22.

<sup>32</sup> F. von Liszt, *Die völkerrechtliche Stellung der Republic Georgien*, Wien 1918, გვ. 1-8. ასევე J. F. Baddeley თავის ნაშრომში *The Russian Conquest of the Caucasus*, გვ. 21 აცხადებს: “ამ დროისათვის მკატერინეს მრეკლე II ნომინალურად უკვე მიღებული ჰყავდა თავის მფარველობაში, ვინაიდან 24 ივლისს ბორში [sic!] დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ უკანასკნელმა თავისი თავი რუსეთის ვასალად ცნო”.

<sup>33</sup> O. Nippold, *La Géorgie du point de vue du droit international*, Berne 1920, გვ. 21-23.

<sup>34</sup> L. Le Fur, *La Géorgie et le droit des gens*, კრბ.: “Revue Générale de Droit international Public”, 1932, XXXIX, გვ. 437-457.

<sup>35</sup> W. E. D. Allen, *იქვე*, გვ. 210.

<sup>36</sup> D. M. Lang, *The Last Years of the Georgian Monarchy 1658-1832*, New York 1957, გვ. 206.

<sup>37</sup> З. Авалов, *Присоединение Грузии к России*, Санкт-Петербург 1901, ხელახალი გამოცემა: Нью-Йорк 1981, გვ. 140.

<sup>38</sup> L. Le Fur, *იქვე*, გვ. 438.

<sup>39</sup> რუსულ კულტურაში ტიტულების – “მეფე”, “ცარი” და “იმპერატორი” – მნიშვნელობასა და ევოლუციაზე იხ. В. Uspenskij, *Il titolo di “zar” in rapporto a quello greco*, *იქვე*, გვ. 75-120.

<sup>40</sup> ამგვარად, მართებული არ ჩანს მიხეილ სამსონაძის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, როდესაც რუსეთმა 1783 წლის ტრაქტატით ქართლ-თახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის წარმოება გადაიბარა, ამით იგი დასავლეთ საქართველოს სათავადოებისა და იმერეთის სამეფოსაგან იზოლაციაში მოაქცია და პოლიტიკურად დაასუსტა, რათა შემდგომ მათი იმპერიასთან შეერთება გაადვილებოდა: მ. სამსონაძე, *ქართლ-თახეთის სამეფოს გაუქმების თანამიმდევრობა XVIII საუკუნეში*, კრბ.: “სწავლები”, 2001, 2, გვ. 28-33. 1783 წლის ტრაქტატზე იხ. მისივე წიგნი: *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში*, თბილისი 1988. 1783

წლის ტრაქტატზე, საქართველოს რუსეთთან შეერთებასა და მის შედეგებზე იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის ნარკვევი: საქართველოს შეერთება რუსეთთან, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, 2, თბილისი 1965, გვ. 227-492.

<sup>41</sup> А.А. Цагарели, *იქვე*, გვ. 67-70.

<sup>42</sup> *Giovanni Battista Boetti 1743-1794 che sotto il nome di profeta Mansur conquistò l'Armenia, il Kurdistan, la Georgia e la Circassia e vi regnò sei anni quale sovrano assoluto*, a cura di O. Rota, Milano 1989; იხ. აგრეთვე F. Buonarroti, *La Riforma dell'Alcorano*; a cura di A. Galante Garrone e F. Venturi, Palermo 1992 და *La Riforma dell'Alcorano ovvero Storia Ragionata di Seic Mansour Nuovo Legislatore de' Turchi, e Se-dicente Profeta (1786)*, a cura di M. A. Morelli Timpanaro, Milano 1993.

ამგვარად, შეიხ მანსურის ცხოვრების აღრინდელი პერიოდის გაშუქებისას თავს იჩენს მრავალი უზუსტობა, როგორც ამას ცხადყოფს აბატი შრანჩესკო ბეკატინი თავისი მრავალტომიანი ნაშრომის მეშვიდე ტომის მე-12/13 გვერდებზე *Storia Ragionata dei Turchi, e degl'Imperatori di Costantinopoli, di Germania, e di Russia, e d'altre Potenze Cristiane*, რომელიც 1791 წელს პენეციაში გამოქვეყნდა: “იმ დროს იმ შორეულ მხარეში გამოჩნდა ახალი სექტის მეთაური, რომელიც უბრალო აღამიანებზე ზემოქმედებისა და რელიგიური ქადაგების დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ამ პიროვნებაზე, რომელსაც სახელად შეიხ მანსური (რაც ზეცით სხივმოფენილ წინასწარმეტყველს ნიშნავს) ერქვა, ათასგვარ დაუჯერებელ რამეს ჰყვებოდნენ. ზოგი ამბობდა, ბრაჰმანების სარწმუნოებიდან განდგომილი ინდოელიაო, ზოგიც – პიემონტიდანააო და რამდენადაც არც თუ კეთილად იყვნენ განწყობილი კათოლიკური ორდენებისადმი, ზოგიერთი ლომენიკანელთა ორდენის წევრად აცხადებდა. ამგვარი მტკიცება, მართალიც რომ ყოფილიყო, თუმცა ეს სრული სიცრუეა, ამ ღვთისმსახური

ორდენის სახელს მაინც ვერ შელახავდა. ამ ფანატისმა მრავალი ურჯულო შემოიკრიბა, მხნეობითა და ბრძოლის ჟინით გამსჭვალა და შეძლო შთაგონებინა მათთვის, რომ არ უნდა ჰქონოდათ რუსული იარაღის შიში; ამ მიზნით მათ ვითომცდა ჯადოსნური ძალის მქონე ავგაროზებსა და თილისმას ურიგებდა, რომლებიც მაჰმადიანებს ქრისტიანებთან ბრძოლაში დაიცავდა. ამ თაღლითმა სახელი გაითქვა აზიასა და ევროპაში, განსაკუთრებით — შუბანისა და ოერგისპირა მხარეებში, სადაც უმეცარი მოსახლეობის უმრავლესობამ ირწმუნა მისი შეგონება”. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე Н. А. Смирнов, *Политика России на Кавказе в XVI-XIX веках*, Москва 1958; A. Bennigsen, *Un mouvement populaire au Caucase au XVIII siècle. La "Guerre Sainte" du "sheik" Mansur (1785-1791), page mal connue et controversée des relations russo-turques*, ჟრნ.: “Cahiers du Monde Russe et Soviétique”, 1964, 5/2, გვ. 159-205; L. Rostagno, *Il profeta Mansur ovvero padre G. B. Boetti*, ჟრნ.: “Rivista degli Studi Orientali”, 1977, LI, გვ. 113-128. მანსურის იტალიურ წარმომავლობას უარყოფს P. B. Henze თავის ნაშრომში *Circassian Resistance to Russia*, წიგნში: M. Bennigsen Broxup (ed.), *The North Caucasus Barrier. The Russian Advance towards the Muslim World*, London 1996.

<sup>43</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 59-60.

<sup>44</sup> ბიბლიოგრაფიისათვის ამ საკითხზე იხ. А. Зорин, *Русская ода конца 1760-х - начала 1770-х годов, Вольтер и "Греческий проект" Екатерины II*, ჟრნ.: “Новое Литературное Обозрение”, 1997, 24, გვ. 5-29.

<sup>45</sup> F. Kazemzadeh, *Russian Penetration of the Caucasus*, წიგნში: T. Hunczak (ed.), *Russian Imperialism from Ivan the Great to the Revolution*, Lanham 2000, გვ. 246-250.

- <sup>46</sup> Г. Р. Державин, *На взятие Измаила*, თბილისი წიგნბეჭი: *Стихотворения*, გვ. 156-166.
- <sup>47</sup> M. Atkin, *Russia and Iran 1780-1828*, Minneapolis 1980, გვ. 23-26.
- <sup>48</sup> П. Г. Бутков, *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803*, часть II, Санкт-Петербург 1869, გვ. 241-242.
- <sup>49</sup> П. Г. Бутков, *იქვე*, გვ. 196.
- <sup>50</sup> N.K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 64-65.
- <sup>51</sup> D. M. Lang, *იქვე*, გვ. 227; იხ. აგრეთვე R. P. Suny, *The Making of the Georgian Nation*, London 1989, გვ. 59.
- <sup>52</sup> D. M. Lang, *იქვე*, გვ. 232.

## ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დასასრული

1. მართალია, მთელი XVIII საუკუნის მანძილზე რუს ინტელიგენციას ძავკასიის შესახებ ჯერ კიდევ ზედაპირული და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში გამოიცა რამდენიმე წიგნი (საგმირო-ფანტასტიკური რომანი, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ვითარების აღწერა, მოგზაურთა ჩანაწერები და სხვ.), რაც რუს ინტელექტუალებს ძავკასიისადმი თუ ინტერესს არა, ერთგვარ ცნობისმოყვარეობას მაინც აღუძრავდა. 1773 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა “ახალმოდური ლამაზმანის, პრინცესა ბულანდანისა და მამაცი უფლისწულის — ბარამის თავგადასავალი”. თავფურცელის თანახმად, იგი ვინმე დილარგეთის ნაწარმოებია, რომელიც ქართულიდან რუსულად მოსკოვის უნივერსიტეტის ლექტორმა — სიმონ იგნატიევმა (მგნატაშვილმა) თარგმნა. იგი ეფუძნება გრძე-



ლი და მოკლე ვერსიით არსებულ ქართულ საგმირო-სათავგადასავლო და ფანტასტიკური ელემენტებით მდიდარ მოთხრობას “ბარამგულანდამიანი”, რომელიც ცნობილი სპარსული პოემის XVIII საუკუნის დასაწყისში შესრულებულ ანონიმურ თარგმანს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ მგნატაშვილი ზუსტად კი არ თარგმნის ქართულ თხზულებას, არამედ, როგორც მკვლევარი ტრიფონ რუხაძე<sup>1</sup> შენიშნავს, მრავალ ადგილს ცვლის, განაევრცობს და გარკვეულწილად ტექსტის ახალ ვარიანტს ქმნის, ანუ იგი არა მხოლოდ მთარგმნელი, არამედ რუსული ვარიანტის ავტორიცაა; ამგვარად, ნაწარმოების ავტორის სახელი — ღილარგეთი წიგნის თავფურცელზე თავად მგნატიევის ლიტერატურულ მისტიფიკაციად უნდა მივიჩნიოთ.<sup>2</sup>

1799 წელს პეტერბურგში გამოიცა აგრეთვე “ახალგაზრდა თავადის ამილახორის გეორგიანული ამბავი, ამ მხარის მოკლე მიმოხილვასთან ერთად, რომელსაც უსიმი, ანატოლიელი ვაჭარი, სხვადასხვა ამბებთან ერთად თავის ამხანაგებს უამბობს”. მისი ავტორია თავადი პლექსანდრე ამილახვარი (1750-1802), რომელიც 1765 წელს მეფე პრეკლე II-ის წინააღმდეგ ფეოდალთა მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, მაგრამ საპყრობილედან გაქცევა მოახერხა და რუსეთს შეაფარა თავი. ნიჭიერი და განათლებული თავადი ამილახვარი თავის თავგადასავალს საქართველოს ისტორიის ფონზე გადმოსცემს და მის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს; ეტყობა, რომ იცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიის მთავარ წყაროს — “ქართლის ცხოვრებას”, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება რჩება მისი ნაწარმოებიდან.

1778 და 1794 წლებში პეტერბურგში გამოქვეყნდა ფრანგი აბატის — შოზეფ დე ლა პორტის (1714-1779) ნაშრომის თარგმანი — “მსოფლიო მეგზური, ანუ ძველი და ახალი მსოფლიოს, ესე იგი მსოფლიოს ოთხსავე მხარის დღემდე ცნობილი ყველა ქვეყნის აღწერა”,<sup>3</sup> რომელიც შემდგომაც არაერთგზის გამოიცა. მისი დაკვირვებები საქართველოზე ხან უცნაურია (“ბოლხეთი დღეს კიდევ უფრო ველური მხარეა, ვიდრე არგონავტების დროს იყო”),<sup>4</sup> ხანაც — მიკერძოებული (“საოცარია აქაური ქალების სილამაზე; ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ეს იზიდავს მოგზაურს ამ მხარეში”), ზოგჯერ კი უფრო ობიექტურია, როდესაც, მაგალითად, პრეკლე II-ის გარეგნობას აღწერს, რომელსაც, ეტყობა, იცნობდა ან ნანახი ჰყავდა (“საშუალო სიმაღლისაა, შავგვრემანია, მოგრძო სახე აქვს დიდრონი თვალებით, მოკლე წვერს ატარებს, გაწაფული მხედარია და მეტად გამჭირიანი გონება აქვს”). ასევე საგულისხმოა მისი მოსაზრებები საქართველოს ისტორიაზე; არ იშურებს აგრეთვე საქებარ სიტყვებს ობილისის მიმართ, რომელიც “დიდი არაა, მაგრამ ლამაზია”.

პოლკოვნიკი სტეფან ბურნაშევი (1743-1824), რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1783 წლის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ საქართველოში განლაგებულ რუსეთის პირველ შენაერთებს მეთაურობდა, განათლებული და უაღრესად დაკვირვებული პიროვნება იყო; ძავკასიაში ყოფნისას მხოლოდ სავალდებულო სამხედრო საქმიანობით არ შემოფარგლულა, იგი იმდენად მოუხიბლავს აქაურ უცხო და თვითმყოფად გარემოს, რომ რამდენიმე ეთნოგრაფიუ-

ლი და პოლიტიკურ-ისტორიული ნაშრომიც კი დაწერა, რომლებიც მოგვიანებით, 1793-1794 წლებში, ტურსკში გამოსცა, სადაც გუბერნატორად მსახურობდა.<sup>5</sup> ღღესდღეობით დაკარგული ნარკვევის გარდა, რომლის შესახებაც მოწმობს ცნობა ჟურნალ “რუსკი ზრიტელ”-ში (1828, № 11/12), პოლკოვნიკ ბურნაშევს რამდენიმე სხვა წიგნიც ეკუთვნის, მათ შორის — ყაბარდოელთა ეთნოგრაფიული მიმოხილვა (“მთიელი ხალხების აღწერა”, ტურსკი 1794) და კიდევ უფრო საყურადღებო ნაშრომი, ყოველ შემთხვევაში ჩვენი საკვლევი საკითხის თვალსაზრისით — “საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და ქახეთის სამეფოთა აღწერა, შესრულებული ობილისში 1786 წელს მის უდიდებულესობა ქართლ-ქახეთის მეფის — ირაკლი ოთხეულის ძის კარზე მყოფი პოლკოვნიკისა და კავალერის ბურნაშევის მიერ” (ტურსკი, 1793). მისი თანამდებობის წყალობით პოლკოვნიკ ბურნაშევს საშუალება ჰქონდა ღრმად გასცნობოდა ქართლ-ქახეთის სამეფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ვითარებას, მმართველობას, სამეფო კარსა და ოჯახს, მათ შორის — ირაკლი II-ს. ერთი სიტყვით, მისი ცნობები ერთგვარი მოზაიკის კენჭებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მთელი სიცხადით წარმოვიდგინოთ იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება. მართლაც, ბურნაშევი მიმოიხილავს საქართველოს სხვადასხვა მხარეს, მათ შორის — მესაქონლეობას (“რაც, ლეკების თარეშის გამო არაა განვითარებული”);<sup>6</sup> ბუნებრივი წიაღისეულის სიმდიდრეს (ისევე როგორც რამდენიმე წლის შემდეგ გეოლოგმა მუსინ-პუშკინმა განაცხადა, ბურ-

ნაშევსაც მიაჩნდა, რომ საქართველო მდიდარი იყო ოქრო-  
თი და ვერცხლით, თუმცა, მისი აზრით, ქართველ ოქრომჭ-  
ედლებს არ ეხერხებოდათ ამ ძვირფასი ლითონების და-  
მუშავება) და ვაჭრობას (აბრეშუმში და ბამბა ინდოეთიდან  
და სპარსეთიდან შემოაქვთო ქარავანებით); საუბრობს სარ-  
წმუნოებაზეც (“ქართველები ღვთისმშსახურებას ბერძნულ-  
მართლმადიდებლური წესით აღასრულებენ, თუმცა არ არიან  
ძალიან ღვთისმოსავნი”); ბარდა ამისა, აღნიშნავს, რომ ობი-  
ლისში კათოლიკური აღმსარებლობის ოცდაათამდე სომხ-  
ური ოჯახია; მათთვის წირვა-ლოცვას რომიდან ჩამოსული  
პატრები აღასრულებენ და რაც საგულისხმოა, ისინი ექი-  
მობასაც ეწევიან. სწორედ ამ საქმიანობის გამო მათ მკიდრო  
ურთიერთობა აქვთ საქართველოს სამეფო კარის ექიმებთან;  
ობილისში მაჰმადიანებს სამი მეჩეთი აქვთ; აქაური ქურთები  
წარმართები არიან); ეხება პოლიტიკურ სტრუქტურასაც  
(მეფე გადაწყვეტილებებს თავის დივანთან, ანუ საბჭოსთან  
თათბირის შემდეგ ღებულობს), ჯარის მდგომარეობას  
(“ზარბაზნებს ხარებით ეზიდებიან და... მართალია, ისინი  
არაა კარგ მდგომარეობაში, მაგრამ მტერს მაინც შიშს  
გვრის”), დედაქალაქის თავდაცვას (“ობილისი გარშემორ-  
ტყმულია გალავნით, რომლის საგუშაგო კოშკურების წინ  
არ არის დაცვითი თხრილები, რაც ზოგჯერ ცუდ სამსახ-  
ურს უწევს ქალაქის თავდაცვითუნარიანობას, მაგრამ ვი-  
ნაიდან საქართველოს მტრებს, ოსმალოების გარდა, არტილე-  
რია არ გააჩნიათ, ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეო-  
ბა საიმედოდ არის დაცული”), გვაწვდის საგულისხმო  
ცნობებს ქრეკლე II-ის პიროვნებაზე (“შაღრესად

გონერი ადამიანია, საოცრად მომთმენი და ზედმიწევნით ღვთისმოსავი, დღეში ორ საათს მაინც ლოცულობს; მეტად გამრჩეა, ძალიან ცოტა სძინავს და თითქმის მთელი ღამე მუშაობს”), საქართველოს ურთიერთობაზე სახანოებთან, ომერეთის სამეფოს მდგომარეობაზე და კიდევ მრავალ სხვა საკითხზე.

1802 წელს, ანუ რუსეთთან ქართლ-ქახეთის სამეფოს შეერთებისთანავე, პეტერბურგში გამოიცა ალბათ ყველაზე უფრო დოკუმენტირებული წიგნი საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე: “საქართველოს ისტორიული სურათი პოლიტიკური, საეკლესიო და სწავლა-განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით”. მისი ავტორია რუსი მეცნიერი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767-1837), რომელმაც უმთავრესად იმ წლებში, როდესაც პეტერბურგის პლეჩანდრე ნეველის სასულიერო აკადემიის რექტორად მუშაობდა, საქართველოზე დიდძალი მასალა და ცნობები შეაგროვა, რაც შემდგომ გამოიყენა კიდევ თავის ნაშრომში. ბარდა ამისა, როგორც თვითონ აღნიშნავს,<sup>7</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის შეცნობაში მას დიდად დაეხმარა საუბრები საღამოობით მასთან სტუმრად მყოფ არქიეპისკოპოს პარლაამ პრისთავთან (რომელიც 1811 წელს საქართველოს ეკლესიის პირველი ეგზარქოსი გახდა) და სხვა ქართველ თავადებთან (თუმცა მათი ვინაობა არაა დადგენილი).<sup>8</sup> ბოლხოვიტინოვის წიგნი წმინდა ისტორიულ-კულტუროლოგიური გამოკვლევაა, რომელიც ეძღვნება ქართულ სარწმუნოებასა და ეკლესიას, დამწერლობასა და ენას, განათლების მდგომარეობას, მატრიანეებს, პოეზიასა

და მუსიკას, მაგრამ მასში უგულვებელყოფილია პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლხოვიტინოვის წიგნი ორი საუკუნის წინ გამოიცა და მასში არაერთ მცდარ მოსაზრებასა და ფაქტობრივ შეცდომას ვხვდებით, იგი დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ მნიშვნელობას. ამასთანავე არაა გამორიცხული, რომ თავისი დიდი გატაცება ქართული კულტურით ბოლხოვიტინოვმა მრავალ რუს მწერალს გაუზიარა, რომლებმაც სულ რამდენიმე წლის შემდეგ თავიანთი ყურადღება მიაპყრეს ბავკასიას.

2. 1783 წლის ტრაქტატით, რომლითაც ქართლ-თახეთის სამეფომ რუსეთის იმპერიის მფარველობა მიიღო, პრეკლე II-ს სურდა ქვეყნის დაცვა იმ მუდმივი საფრთხისაგან, რომელსაც ორი მძლავრი მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფო წარმოადგენდა: ერთი მხრივ, ოსმალეთის იმპერია, ხოლო მეორე მხრივ — სპარსეთი. 1762 წელს ქართლ-თახეთის ტახტზე ასვლის დროს პრეკლეს საფრთხეს უპირველესად ოსმალეთის იმპერია უქმნიდა, 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა სპარსეთის საფრთხე. მრავალი წლის განმავლობაში პლა-მაჰმად-ჰაჯარის მთელი ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე თავიდან მოეცილებინა სპარსეთის მმართველი დინასტიის — ზენდების საგვარეულოს წევრები. როდესაც 1794 წელს ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი — ლუთფ-ალი-ხანი შეიპყრო და მოკლა, იგი მთელი ქვეყნის ერთპიროვნული

ბატონი გახდა. როგორც კი ქვეყნის შიგნით ძალაუფლება განიმტკიცა, “თვით მისი ღროისა და ქვეყნის სტანდარტებითაც კი მეტისმეტად სასტიკმა, ეჭვიანმა და სისხლისმემღმა”<sup>9</sup> ალა-შაჰმად-ხანმა გადაწყვიტა, აღედგინა სპარსეთის გავლენა იმ ქვეყნებში, უპირველესად — ქართლ-თახეთში, რომლებიც თავის კანონიერ მოხარკეებად მიაჩნდა. პრეკლეს ნათლად ესმოდა, თუ რა საფრთხეს უქადდა მის ქვეყანას ალა-შაჰმად-ხანის ტახტზე ასვლა. ამიტომაც, ვიდრე ეს უკანასკნელი თავის მეტოქე ზენდებს საბოლოოდ დაამარცხებდა, 1793 წლის მარტს პეტერბურგში მყოფ თავის ვაჟს მირიანს მისწერა, ეკატერინესათვის მისი ფავორიტის, გრაფ პლატონ ზუბოვის საშუალებით ეცნობებინა იმ საშიშროებაზე, რასაც ქართლ-თახეთს ალა-შაჰმად-ხანის გამარჯვება უქადდა და მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად ქართული ჯარისათვის საარტილერიო აღჭურვილობა ეთხოვა.<sup>10</sup> მირიან ბატონიშვილმა წერილობით მიმართა გრაფ პლატონ ზუბოვსა და იმპერატორ ეკატერინეს და ფორმალურად დადებითი პასუხი მიიღო. მართლაც, 1793 წლის 30 მაისს სამხედრო საბჭოს სხდომაზე განიხილეს პრეკლეს თხოვნა, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართლ-თახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდა და თავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდალს, გენერალ ბუდოვიჩს უბრძანეს, ყოველი ღონე ეხმარა სამეფოს დასაცავად.<sup>11</sup> როგორც უკვე ითქვა, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით პრეკლე მხოლოდ ერთი შეხედვით თუ იქნებოდა კმაყოფილი, ვინაიდან არ გაკეთებულა ის ერთად-

ერთი რამ, რასაც მისი სამეფოს გადარჩენა შეეძლო, კერძოდ, არ გაცემულა ბრძანება ძავკასიის საფორტიფიკაციო ხაზიდან სამხედრო შენაერთების საქართველოში გაგზავნის შესახებ.

1794 წლის დამლევს სრულიად აშკარად გამოიკვეთა ქართლ-ძახეთში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის საფრთხე. ამ დროიდან მოყოლებული პრეკლე ზედიზედ უგზავნის წერილებს ქეატერინეს (1795-ის 17 იანვარს), ვიცე-კანცლერს ივანე ოსტერმანს (1795-ის 27 იანვარს), საგარეო საქმეთა ძოლეგის წევრს — გრაფ ალექსანდრე ბეზბოროდკოს (1795-ის 27 იანვარს), რომლებშიც არათუ დაჟინებით სთხოვს, არამედ ლამის ევედრება სასწრაფოდ აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება საქართველოს გადასარჩენად. ამავე დროს პრეკლემ გადაწყვიტა ბარსევან შავჭავაძის გაგზავნა პეტერბურგში საგარეო საქმეთა ძოლეგისათვის განკუთვნილი დიპლომატიური ნოტით, რომელშიც, საქართველოს საზღვარზე შექმნილი სახიფათო მდგომარეობის აღწერის შემდეგ, რუსეთის მიერ 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, მისთვის 5 ან 6 ქვეითი პოლკის გამოგზავნას ითხოვდა.<sup>12</sup> მაგრამ ძავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალს გენერალ ბუდოვიჩს ასეთი საფრთხე არარეალურად მიაჩნდა; მართალია, იცოდა აღა-მაჰმად-ხანის მტრული განზრახვის შესახებ, მაგრამ მაინც მიაჩნდა, რომ აზერბაიჯანის ხანები სპარსელებს მდგარ წინააღმდეგობას გაუწევდნენ; როგორც მთავარი შტაბისადმი გაგზავნილ 1795 წლის 7 მაისის რაპორტში აცხადებდა, დარწმუნებ-



ული იყო, რომ “საქართველოს გარდუვალი საფრთხე არ ემუქრებოდა”.<sup>13</sup> 1795 წლის 6 ივნისს პრეკლეს მეუღლე, დედოფალი დარეჯანიც წერილობით ემუდარებოდა დახმარებას იმპერატორ ეკატერინეს. მოკლედ, სასოწარკვეთილი ქართველები გამუდმებით ითხოვდნენ შველას მაშინ, როდესაც რუსეთის პოლიტიკური და უფრო მეტად — სამხედრო ხელმძღვანელობა არ მალავდა გულგრილობას მათი თხოვნისადმი. მართლაც, ბრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც პირადად მოუხდა აღა-შაჰმად-ხანთან შეხება და კარგად ესმოდა რამდენად საშიში იყო იგი, პეტერბურგის მმართველ წრეებში აღარავინ იყო, ვინც შეძლებდა რეალურად შეეფასებინა ის საფრთხე, რომელსაც აღა-შაჰმად-ხანი მთელ ამ მხარეს უქადდა.<sup>14</sup>

1795 წლის ზაფხულს აღა-შაჰმად-ხანი თავისი ჯარით ძავკასიისაკენ გამოემართა, სწრაფად დაეუფლა ბაქოს, მერე ბანჯას, შემდეგ შუშასა და პრევანს. იქაურმა ხანებმა თავდაპირველად სცადეს ერთგვარი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე არჩიეს, დანებებოდნენ და მისთვის ერთგულება შეეფიცათ. სპარსელების წარმატებამ პრეკლე საგონებელში ჩააგდო არა მხოლოდ იმიტომ, რომ შუშისა და პრევენის სახანოები ტრადიციულად მისი ვასალები იყვნენ, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ აღა-შაჰმად-ხანი თავისი ჯარით ქართლ-თახეთის საზღვარზე იყო მომდგარი და მას უთუოდ ველარაფერი შეაჩერებდა. ცნობამ, რომ სპარსეთის მრავალრიცხოვანი ჯარი სულ მალე საქართველოში შემოიჭრებოდა, თავზარი დასცა ქართვე-

ელ თავად-აზნაურთა მრავალ ოჯახს, რომლებმაც სასწრაფოდ დატოვეს ოსტინისი. დედოფალი ღარეჯან-იც კი გაეცალა იქაურობას. მხოლოდ მხცოვანი მეფე პრეკლე სათავეში ედგა თავის ჯარს და ტახტის მტკიცე ბურჯად რჩებოდა. ალა მაჰმად-ხანს მორჩილებისა და ერთგულების ფიცზე უარი შეუთვალა და გადაწყვიტა სპარსელების უზარმაზარ ჯარს (ალა-მაჰმად-ხანმა კავკასიური ლაშქრობა დაახლოებით 60.000 მეომრით დაიწყო) ოსტინისის კართან — ბრწყინისთან შებრძოლებოდა თავისი მოკრძალებული ძალებით, დაახლოებით 2.700 მეომრით, რომლებსაც კიდევ 2.000 მებრძოლი დაემატა ბაბუამისის დასახმარებლად ჩამოსული იმერეთის მეფის — სოლომონ II-ის მეთაურობით. 10 სექტემბერს ქართველები შეებრძოლნენ სპარსელებს და კიდევ დაამარცხეს მისი მოწინავე ნაწილი, მაგრამ დღის განმავლობაში ბრწყინისთან ბრძოლაში სპარსელთა უდიდესი ნაწილი ჩაერთო. 11 სექტემბერს გამთენიისას გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. ქართველები გმირული შემართებით იბრძოდნენ და სამჯერ უკუაგდეს სპარსელები. 75 წელს მიღწეული პრეკლე მთელი დღე ლომივით იბრძოდა, მაგრამ საღამოს ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ბრძოლის ველს გასცლოდნენ და დედაქალაქი მტრისათვის დაეთმო. 12 სექტემბერს სპარსელების ჯარი ქალაქში შემოიჭრა, გადაბუგა და ააოხრა იგი, ხელთ იგდო სამეფო ხაზინა და ძვირფასეულობა, რაც კი სასახლეებსა და ეკლესიებში მოიპოვებოდა. 15.000 კაცი დაატყვევეს, რომ-

ლებიც, ობილისის ერთკვირიანი რბევა-აოხრების შემდეგ თან წაიყვანეს და მულანის ვაკისაკენ გაეშურნენ.

1795 წლის 13 სექტემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც ქართველთა ჯარი დამარცხდა და საქართველოს დედაქალაქს მტერი დაეუფლა, რუსეთის მთავარი შტაბისადმი გაგზავნილ მოხსენებაში გენერალი ბუდოვიჩი აღარ მალავდა, რომ პლა-მაჰმად-ხანის კავკასიური ლაშქრობის წარმატების შედეგად “საქართველოს შესაძლოა გარკვეული საფრთხე შექმნოდა”.<sup>15</sup> ასეთსავე შეშფოთებას გამოთქვამდა იმავე დღეს გრაფ პლატონ ზუბოვისადმი გაგზავნილ წერილში. მეორე დღეს, 14 სექტემბერს, პრეკლემ საქართველოს სამხედრო ბზის პირას მდებარე დაბა პნანურიდან, სადაც თავი შეაფარა, ბუდოვიჩს წერილობით აცნობა სპარსეთის ჯართან ბრძოლის შედეგისა და ობილისის აოხრების შესახებ.<sup>16</sup>

როგორც გულგატეხილი და პლა-მაჰმად-ხანის შესაძლო დაბრუნებით შეშფოთებული მეფე პრეკლე 1796 წლის 8 იანვრის წერილში მოახსენებდა ეკატერინეს, ძრწანისთან გამარჯვებისა და ობილისის დარბევის შემდეგ სპარსეთის ჯარმა სასწრაფოდ დატოვა ქართლ-თახეთის სამეფო და გამოსაზამთრებლად საქართველოს საზღვრიდან სამასიოდე ვერსის დაშორებით, მულანის ვაკეზე დაბანაკდა. რუსეთის სახელმწიფო საბჭო 1795 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ გენერალ ბუდოვიჩს ჯერ კიდევ 4 სექტემბერს დაევალა, ყოველივე ელონა რუსეთის მფარველობაში მყოფი ხალხებისა და ქვეყნების დასაცავად იმ საფრთხისაგან, რომელსაც

მათ პლა-მაჰმად-ხანი უქადდა. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს ეს განკარგულება, რომელიც გენერალმა ბუდოვიჩმა მხოლოდ 1795 წლის 1 ოქტომბერს, ანუ სპარსელების მიერ ობილისის აოხრებიდან თვრამეტი დღის შემდეგ მიიღო, არსებითად წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან არ შეიცავდა მკაფიოდ გაცემულ ბრძანებას ჯარის გაგზავნაზე საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლების გულგრილობა და ის გარემოება, რომ გენერალმა ბუდოვიჩმა არ შეისმინა საქართველოს სამეფო ოჯახისა და მისი დესპანების მხრიდან დახმარების ხვეწნა-მუდარა, რაც, ორ ქვეყანას შორის დადებული ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, რუსეთს ყურად უნდა ეღო, ამ ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის მზაკვრულ გათვლაზე მეტყველებს. მათი აზრით, რუსეთმა პლა-მაჰმად-ხანს განზრახ მისცა შართლ-ბახეთის სამეფოს აოხრების საშუალება, რათა შემდგომ მისი ანექსია გაადვილებოდა, რაც მოგვიანებით ასეც მოხდა. ჩვენ გვიჭირს ამგვარი თვალსაზრისის გაზიარება, თუნდაც იმის გამო, რომ ისტორიულად არაერთი უფრო დამაჯერებელი ახსნა არსებობს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც ვნახეთ, ბრიგოლ პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ რუსეთს საქართველო აღარ მიაჩნდა მისი უმთავრესი სტრატეგიული ინტერესებისათვის საჭირო ქვეყნად; პეტერბურგის პოლიტიკური წრეები მას უდავოდ მეორეხარისხოვან მნიშ-

ვნელობას ანიჭებდნენ და, სამაგიეროდ, გაფაციცებით აღევნებდნენ თვალყურს იმ მშფოთვარე მოვლენებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციას მოჰყვა. სხვათა შორის, რუსეთმა ისარგებლა ამ რევოლუციით და ბოლო მოუღო პოლონეთის სახელმწიფოს (პოლონეთის ე. წ. მესამე დანაწილება), რომლისგანაც ლიტვა და ტურლანდია შემოიმტკიცა. მოკლედ, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს იმდენად ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე, რომ არც კი მალავდნენ თავიანთ გულგრილობას ყოველივე იმისადმი, რაც ქვეყნის საზღვრების სამხრეთ-აღმოსავლეთით ხდებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებულ მოსაზრებას მზაკვრული გათვლის შესახებ ეწინააღმდეგება რუსეთის ხელისუფლების მიერ უმაღლვე წამოწყებული სამხედრო ოპერაციები. რუსეთის იმპერიამ, როგორც ძლევამოსილი სახელმწიფო, თავს დამცირებულად გრძნობდა იმის გამო, რომ ვერ შეძლო მის მფარველობაში მყოფი ქვეყნების დაცვა. ამიტომაც არა მხოლოდ უმაღლესი საზღვარსა და საქართველოში ერთი საჯარისო შენაერთი, რომელიც იქ 1795 წლის დეკემბერში ჩავიდა, არამედ კვლავ მიუბრუნდა პეტრე I-ისა და ბრიგოლ პოტიომკინის პროექტს და დიდი სამხედრო-პოლიტიკური გეგმა შეიმუშავა, რომელიც ინდოეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე თავისი კონტროლის დასამყარებლად აზერბაიჯანისა და სპარსეთის ტასპიისპირა მხარის ანექსიას ითვალისწინებდა. ამ შორსგამიზნული გეგმის თაოსნები ძმები

პლატონ და მალერიან ზუბოვები იყვნენ. 1796 წლის 19 თებერვალს მკატერინემ მალერიან ზუბოვს 30.000 კაციანი საექსპედიციო შენაერთის მეთაურობა მიანდო იმპერიის სამხრეთის საზღვრების დასაცავად, სპარსელების მიერ შევიწროებული კავკასიელი ხალხების გასათავისუფლებლად და თვით სპარსეთში წესრიგის დასამყარებლად. ღვალება სპარსეთში წესრიგის დასამყარებლად განპირობებული იყო იმით, რომ როგორც 1722 წლის სპარსული ლაშქრობისას პეტრე დიდმა განაცხადა, ჩემი მიზანი სპარსელების არა დამარცხება, არამედ — ამბოხებულების დასჯააო, ასევე მკატერინესაც, რომელიც არცნობდა აღა-მაჰმად-ხანს სპარსეთის შაჰად, მისი დასჯა სურდა იმ თავგასულობისათვის, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქვეყნებში შექრა გაბედა.<sup>17</sup>

სამხედრო გეგმის თანახმად, ჯარის ერთ ნაწილს ტავკასიის მიწა-წყალი უნდა დაეცვა, ხოლო მეორე ნაწილს მალერიან ზუბოვის უშუალო ხელმძღვანელობით ტასპისპირეთი უნდა დაეკავებინა და ბოლოს სპარსეთში შეჭრილიყო. 1796 წლის 2 აპრილს ზუბოვი შიზლარიდან სამხრეთისაკენ დაიძრა და ამ გზაზე განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ვინაიდან მრავალი ადგილობრივი ხანი რუსეთის ჯარს უბრძოლველად დანებდა. მეტიც, ბაქოში, ღარუბანდსა და ბანჯაში გენერალ ზუბოვს როგორც გამათავისუფლებელს, ისე ხვდებოდნენ. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა, რომელსაც მტრულ ტერიტორიაზე რუსეთის ძალებთან შეტაკების არავითარი სურვილი არ ჰქონდა, რამდენიმე თვით ადრე დატოვა მულანის ვაკე

და სპარსეთის სიღრმეში შევიდა, საიდანაც ოსმალეთის იმპერიასთან ერთად ანტირუსული სამხედრო კოალიციის შექმნას შეუდგა და პრეკლეს დაემუქრა, რომ, თუ რუსეთთან კავშირს არ გაწყვეტ, “რუსებისა და ქართველების სისხლის ზღვას დავაყენებო”.<sup>18</sup> 1796 წლის ზაფხულის დამლევს, წარმატებული წინსვლის შემდეგ, პალერიან ზუბოვი მდინარე არაქსს მიაღგა, რომლის გადალახვის შემდეგ სპარსეთში აღმოჩნდებოდა. როგორ განვითარდებოდა რუსეთის შეტევა მომდევნო წელს, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, ვინაიდან 1796 წლის 6 ნოემბერს მკატერინე II გარდაიცვალა და რუსეთის ტახტზე მისი ვაჟი პავლე ავიდა, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომის დროიდანვე არ იზიარებდა დედამისის პოლიტიკას ოსმალეთის, შირიმისა და ტავკასიის მიმართ. მიაჩნდა, რომ იმპერიის გაფართოებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთით საომარ მოქმედებებზე მეტად მოლაპარაკებისა და მოკავშირეების შექმნის პოლიტიკა იყო საჭირო. ამიტომ ტახტზე ასვლისთანავე სამხედრო შენაერთს ზუბოვის მეთაურობით დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნება უბრძანა.<sup>19</sup> რუსი ჯარისკაცები დაბრუნდნენ კიდევ ტავკასიის საფორტიფიკაციო ხაზს იქით, რომელსაც პავლე რუსეთის სამხრეთ საზღვრად თვლიდა, გენერალი ზუბოვი გენერალ ბუდოვიჩით შეცვალეს, რომელიც მეორედ გახდა ტავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალი. პალერიან ზუბოვს, რომელიც 1796 წლის გაზაფხულზე “ღარუბანდის დამპყრობლად” და “ახალ პლეჩსანდრე მაკედონელად” შერაცხეს, ახლა ლამის მატყუარად აცხადებდნენ, რომელმაც წარ-

მოუდგენლად გააზვიადა თავისი წარმატებები და, მეტიც, სრულიად შემთხვევით გადაურჩა განადგურებას.<sup>20</sup> იმ იშვიათ ადამიანთა შორის, რომლებმაც იგი ჯერ განადიდეს, მერე კი არ აპყვნენ ამ ცილისწამებას, ღერჟავინი იყო, რომელმაც 1796 წელს ზუბოვის ხოტბა შეასხა ოდაში “ღარუბანდის აღების გამო”, ხოლო მისი განსაცდელის ჟამს, ეყო გამბედაობა, კვლავ შეექო იგი ზემოდნიშნულ ოდაში “ბრატ ზუბოვის სპარსეთიდან დაბრუნების გამო”.

მას შემდეგ, რაც იმპერატორმა პავლემ ზუბოვის მეთაურობით სამხედრო შენაერთის სამშობლოში გაწვევა გადაწყვიტა, ეტყობა, გენერალ ბუდოვიჩის რჩევით, ბრძანება გასცა, ძართლ-ძახეთიდანაც გაეყვანათ იქ დაბანაკებული რუსეთის ჯარი. ამჯერადაც ამაო აღმოჩნდა მეფე პრეკლეს, დედოფალ ღარეჯანის, რუსეთის სამეფო კარზე საქართველოს სრულფლებიანი ელჩის ბარსევან ჭავჭავაძის, პრეკლეს ვაჟის მირიანის პროტესტი, წერილობით მიმართვა და ხვეწნა-ვედრება.<sup>21</sup>

1797 წლის ივნისში ეკატერინეს მიერ საქართველოს დასაცავად გაგზავნილი ყველა რუსული სამხედრო შენაერთი ძავკასიის საფორტიფიკაციო ხაზს იქით დაბრუნდა. ზუბოვის საექსპედიციო კორპუსისა და ძართლ-ძახეთში განთავსებული რუსეთის ჯარის გაყვანისთანავე, როგორც მოსალოდნელი იყო, აღა-მაჰმად-ხანი თავისი ჯარით ძავკასიის ხელახლა დასაპყრობად დაიძრა. შუშის სახანოს სწრაფად დაუფლების შემდეგ მზად იყო საქართველოში შემოჭრილიყო, როდესაც 1797 წლის ივლისში იგი მოკლეს. სარდლის გარდაცვალებისთანავე სპარსეთის ჯარი დაიშალა და



ამდენად ქართლ-ძახეთი მოსალოდნელ საფრთხეს გადაურჩა. პრეკლე ნათლად აცნობიერებდა, რომ როგორც კი პლა-მაჰმად-ხანის ძმისწული და მემკვიდრე — ბაბა-ხანი ტახტზე მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს, აუცილებლად შეუდგებოდა საქართველოს მიმართ მტრული გეგმის განხორციელებას; ამიტომაც თავის სრულუფლებიან ელჩს — ბარსევან შავჭავაძეს დაავალა, დაუყოვნებლივ ეკითხა რუსეთის ახალი იმპერატორისათვის, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს უნდა ჰქონოდა თუ არა რუსეთის დანმარების იმედი, როგორც ამას 1783 წლის ტრაქტატი ითვალისწინებდ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა არაერთგზის მიმართა საგარეო საქმეთა ძოლეგიას და არაერთხელ მოახსენა ძოლეგიის მაღალი თანამდებობის პირებს იმ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც საქართველოს კვლავ ემუქრებოდა, მის მცდელობას კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

1798 წლის 11 იანვარს მეფე პრეკლე II გარდაიცვალა და ქვეყანა დარჩა მეტოქე დასებად დაყოფილი ოჯახის ხელში, სპარსეთის მუდმივი საფრთხის ვითარებაში და ისეთი მოკავშირის იმედზე, როგორიც რუსეთი იყო, რომელიც, როგორც ვნახეთ, სულაც არ აპირებდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3. პრეკლეს გარდაცვალების შემდეგ ქართლ-ძახეთის ტახტზე მისი უფროსი ძე მეორე ქორწინებიდან — ბიორგი XII ავიდა.<sup>22</sup> პრეკლეს რიგით მესამე ცოლმა, ანუ ბიორგის დედინაცვალმა — დედოფალმა ღარეჯანმა თავის დროზე

მოახერხა და 1794 წელს მხცოვან პრეკლეს ხელი მოაწერინა ტახტის მემკვიდრეობითობის განწესებაზე, რომლის თანახმად, მემკვიდრეობა პირველ შობილობის ხაზით აღარ გაგრძელდებოდა, ანუ ბიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე არა მისი უფროსი ძე, არამედ დედოფალ ღარეჯანის უფროსი ვაჟი იულონი ავიდოდა. ბიორგის არასოდეს უცვნია ეს განწესება, რადგანაც თელიდა, რომ იგი პრეკლეს მოტყუებით გამოგლიჯლეს ხელიდან<sup>23</sup> და გამეფებისთანავე ძალ-ღონე არ დაიშურა მის გასაუქმებლად. მაგრამ ვინაიდან ბიორგის სამეფო ოჯახის მხოლოდ ერთი ნაწილი უჭერდა მხარს და არ ჰქონდა საკმარისი გავლენა მიზნის მისაღწევად, მან ქართლ-აახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში გადამწყვეტი ხმის მქონე ერთადერთ ზემდგომ და გარეშე ინსტანციას — რუსეთის იმპერატორს მიმართა. 1798 წლის ოქტომბერს იმპერატორ პავლესადმი გაგზავნილ წერილში, 1783 წლის ტრაქტატის მესამე მუხლის შესაბამისად, ბიორგი XII იმპერატორს თხოვდა მეფედ ოფიციალური ხელდასხმის ნიშნებს და გარანტიას, რომ გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე მისი ვაჟი — ღავითი იქნებოდა. 1799 წლის 18 აპრილს პავლემ დააკმაყოფილა ბიორგის თხოვნა, გაუგზავნა ინვესტიტურის ნიშნები და დაპირდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-აახეთის მეფედ ღავითს ცნობდა.<sup>24</sup> იმპერატორის ამგვარი გადაწყვეტილება მიუღებელი იყო დედოფალ ღარეჯანისათვის, რომელიც არაერთგზის შეეცადა დაესაბუთებინა საქართველოში რუსეთის სრულუფლებიან მინისტრ პოვალენსკისათვის, რომ მის შვილებს უსამართლოდ ექცეოდნენ. მაგრამ როდესაც დარწმუნდა,

რომ რუსმა მინისტრმა ვერ შეაცვლევინა აზრი იმპერატორს, 1800 წლის 25 აგვისტოს თვითონ გაუგზვნა წერილი, რომელშიც მეფე პრეკლეს განწესების აღდგენას ემუდარებოდა, მაგრამ პავლემ არც ამჯერად შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.<sup>25</sup>

ბიორგი XII-ის თხოვნა მისი მემკვიდრის დანიშვნის თაობაზე და პავლესაგან მიღებული თანხმობა არსებითად ეწინააღმდეგებოდა 1783 წლის ტრაქტატის როგორც ცალკეულ პირობებს, ასევე მის ზოგად სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის საკითხი ქართლ-ქახეთის სამეფოს საშინაო საქმედ არის მიჩნეული. ერთი სიტყვით, როგორც ბიორგიმ, ასევე პავლემ (პირველმა — ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არასაკმარისი გავლენის გამო, ხოლო მეორემ — აშკარა იმპერიული კადნიერების გამო) თვითნებურად დაარღვიეს ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

საშინაოზე უფრო რთული იყო ქვეყნის გარედან მომდინარე პრობლემები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა დვთისმოსავი, ჭამა-სმის მოყვარული, ჩასუქებული, წყალმანკით დაავადებული და დავრდომილი მეფე ბიორგი, რომელიც დღეში სამ საათზე მეტს ვერ მუშაობდა.<sup>26</sup> ოსმალეთის მიერ წაქეზებულმა ლეკებმა მთელი სიმწვავით განაახლეს ქახეთში რბევა და თარეში. ამასობაში სპარსეთში შათალი-შაჰის სახელით გამეფებულ ბაბა-ხანი ქართლ-ქახეთის სამეფოს დაპყრობით ემუქრებოდა, თუ ბიორგი მას ერთგულებას არ შეჰფიცავდა და შვილს არ გაუგზავნიდა მძევლად.<sup>27</sup> ამგვარი დრამა-

ტული ვითარებიდან თავის დასაღწევად ბიორგი XII-მ ერთადერთი გამოსავალი იმაში ნახა, რომ უფრო დაჟინებით ეთხოვა დახმარება რუსეთისათვის.

1798 წლის 16 დეკემბერს თავადმა ბარსევან ჭავჭავაძემ ბიორგი მეფის სახელით საგარეო საქმეთა ძოლეგიას დიპლომატიური ნოტა წარუდგინა, რომელშიც მეფე, სხვა რამესთან ერთად, ქართლ-ძახეთის სამეფოს დასაცავად 3000 რუსი ჯარისკაცის გამოგზავნას ითხოვდა.

შოველივე ეს იმ დროს ხდება, როდესაც მკროპაში მიმდინარე მოვლენების შედეგად პავლე რადიკალურად იცვლიდა თავის პოზიციას და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ რუსეთს ხელი უნდა აეღო ჩაურევლობის პოზიციაზე. მას ძლიერ აშფოთებდა საფრანგეთის რევოლუციის წარმატება და ნაპოლეონის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ. 1798 წლის ივლისში საფრანგეთის ჯარების შეჭრამ ეგვიპტეში და ნაპოლეონის სწრაფვამ ანატოლიისა და სპარსეთისაკენ რუსეთის იმპერატორი დაარწმუნეს არა მხოლოდ საფრანგეთის წინააღმდეგ ოსმალეთთან თანამშრომლობის საჭიროებაში,<sup>28</sup> არამედ უპირველესად იმაშიც, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართლ-ძახეთის სამეფოს ხელახალ დაკავებას რუსეთის ჰეგემონიისათვის შავი ზღვისა და ტასპისპირა ქვეყნებში.<sup>29</sup>

რამდენიმე დღის შემდეგ საგარეო საქმეთა ძოლეგიამ იმპერატორს რეკომენდაციები წარუდგინა, რომლებშიც არსებითად გაზიარებული იყო ბიორგი მეფის სხვადასხვა მოთხოვნები.

ოვნა, ხოლო რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას დაავალა, სასწრაფოდ განეცხადებინა სპარსეთის შაჰისათვის, რომ 1783 წლის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ ქართლ-ქახეთის სამეფო აღარ განეკუთვნებოდა სპარსეთის გავლენის სფეროს. 1799 წლის 11 თებერვალს საგარეო საქმეთა ძოღეგიამ ოფიციალურად უპასუხა თავად ბარსევან შავკავაძეს, რომ რუსეთის საექსპედიციო კორპუსი უკვე მოემართებოდა ქართლ-ქახეთის სამეფოსაკენ, ქართული ჯარისათვის ნათხოვნ ქვემეხებსაც შეძლებისდაგვარად სწრაფად მისცემდნენ და ბოლოს — სპარსეთის შაჰს დიპლომატიური ნოტიოთ მოახსენებდნენ, რომ რუსეთი არ მოითმენდა მუქარას მის მფარველობაში მყოფი ქვეყნების მიმართ. რუსული შენაერთის გაგზავნისთანავე ქართლ-ქახეთის სამეფო კარზე რუსეთის სრულუფლებიან მინისტრად პეტრე ძოვალენსკი დანიშნეს, რომელსაც გამგზავრებამდე ისეთი ინსტრუქციები მისცეს, როგორსაც, ღვეიდ ლანგის თქმით,<sup>30</sup> ჩვეულებრივ არა სრულუფლებიან ელჩს, არამედ მეფისნაცვალს აძლევენქმას თვალყური უნდა ედევნებინა დედოფლის ინტრიგებისათვის, უნდა აელაგმა შეტაკებები ოსმალეთის იმპერიის საზღვართან, ხელი უნდა შეეწყო თავკასიაში ვაჭრობის განვითარებისათვის, ყოველივე უნდა ელონა ამ მხარეში სპარსეთის პოზიციების განმტკიცების აღსაკვეთად და თავკასიის მუსულმანი სახანოების რუსეთის ორბიტაში მოსაქცევად.

ძოვალენსკიმ, რომელიც უბადლო ინტრიგანი იყო, ძაღღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლების შუაგულში შეედწია და მალე ლამის

ერთგვარი ვიცე-კანცლერი გახდა, რომელიც მეფის მიმოწერასაც კი აკონტროლებდა. პარადოქსული ფაქტია, როდესაც სუვერენულ სახელმწიფოში აკრედიტებული სრულუფლებიანი ელჩი და მინისტრი ამ ქვეყნის ხელისუფლებაში იმავდროულად გავლენიანი პირი ხდება, თუმცა ძოვალენსკის აღზევებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ მას წინააღმდეგობას არ უწევდა ბიორგი XII, რომელიც ძღვევამოსილი რუსეთის იმპერიის წარმომადგენლის გვერდით თავს დაცულად გრძნობდა სამეფო ოჯახის ერთი ნაწილის, კერძოდ, დედოფლისა და მისი შვილების გაუთავებელი ინტრიგებისაგან.

ამ დასში ღარეჯანის ვაჟი ალექსანდრე იმთავითვე ანტირუსულ გზას დაადგა და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მუსულმანი ჯარების სამსახურშიც კი ჩადგა მისი ნახევარძმის ბიორგის წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ, როდესაც დედოფალი ღარეჯანი და მისი სხვა შვილები პრეკლეს მიერ ხელმოწერილი ტრაქტატის ერთგულნი რჩებოდნენ და, შესაბამისად, თანახმა იყვნენ, თუ ქვეყანას რუსეთის ჯარი დაიცავდა. ამ ორი დასის გარდა (ალექსანდრეს პრომუსულმანური ორიენტაციის ჩათვლით), ქართულ პოლიტიკურ სივრცეში იყო თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი, რომელსაც მიაჩნდა, რომ დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრთა შორის ძირს უთხრიდა ქართულ სახელმწიფოს და ამიტომ ქართლ-თახეთის სამეფოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან ქვეყნის სიმტკიცის საწინდარი იქნებოდა. ეს დასი მცირერიცხოვანი იყო, თუმცა მან ნამდვილი მეხუთე კოლონის როლი შესრულა, როდესაც იგი რუსეთის იმპერიას დასჭირდა.<sup>31</sup>

ახალი სამეულიც — მეორე როსტოპჩინის, ნიკიტა პანინისა და ღიმიტრი ტატიშჩევის შემადგენლობით, რომელიც ახლა რუსეთის საგარეო პოლიტიკას წარმართავდა და ღიმიტრი ბრიტანეთის წინააღმდეგ მოქმედებისათვის საჭიროდ თვლიდა საფრანგეთთან დაახლოებას, ძავეკასიას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც იმპერიის სამხრეთის საზღვრების დაცვის, ასევე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების კონტროლის თვალსაზრისით. ამ სამეულისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ იმპერატორ პავლეს მხარდაჭერის მიუხედავად, ბიორგი XII-ს არ ჰქონდა სათანადო გავლენა ქართლ-თახეთის სამეფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად, სადაც ურთიერთობა სხვადასხვა დასებს შორის დღითიდღე იძაბებოდა. როდესაც 1800 წლის გაზაფხულზე შათალი-ხანი თავისი ჯარით აზერბაიჯანში შეიჭრა, საიდანაც ქართლ-თახეთის სამეფოში გალაშქრებას აპირებდა, ბიორგის ნახევარძმამ, პრეკლესა და ღარეჯანის ძე პლექსანდრემ შაჰს მიაშურა, რომელსაც რუსებისაგან ქართლ-თახეთის სამეფოს გათავისუფლება და ტახტის დასაკავებლად თანადგომა სთხოვა. ზოგადად შათალი-ხანმა მას კიდევაც დაუჭირა მხარი, მაგრამ ქართლ-თახეთის სამეფოში შეჭრა ვერ გაბედა, შესაძლოა იმის შიშით, რომ რუსეთის საექსპედიციო კორპუსთან მოუწევდა შეტაკება. ბიორგის ჯართან საომრად და ქართლ-თახეთის სამეფოს “გასათავისუფლებლად” პლექსანდრემ შეძლო კავშირის შეკვრა ავარიის განმგებელთან — ომარ-ხანთან და ჩრდილოეთ ძავეკასიის სხვა მუსულმან ბე-

ლადებთან. ქართველ ხალხსაც მოუწოდა, კეთილგანწყობით შეხვედროდა მუსულმან ჯარს, რომელსაც არავითარი მტრული განზრახვა არ აქვს, უბრალოდ, ქართლ-ძახეთის სამეფოს “გათავისუფლებას” და ტახტზე პლექსანდრეს კანონიერი უფლების დაცვა ისახავსო მიზნად. ამასობაში ობილისში ვითარება სამეფო ოჯახში სულ უფრო მწვავედებოდა. ღედოფალ ღარეჯანის ინტრიგებისაგან თავის დასაღწევად ბიორგიმ თავისი სასახლის მკაცრი მეთვალყურეობა რუს ჯარისკაცებს მიანდო, რითაც ქრეკლეს სხვა შვილების — იულონის, ვახტანგისა და შარნაოზის გულისწყრომა გამოიწვია. მათ დედის გასათავისუფლებლად მცირეოდენი ჯარით სასწრაფოდ ობილისისაკენ გამოილაშქრეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

პლექსანდრემ და ომარ-ხანმა დაახლოებით თორმეტათასიანი ჯარი შეკრიბეს და ქართლ-ძახეთის სამეფოში შემოიჭრნენ. 1800 წლის 7 ნოემბერს ძახეთში მდინარე იორთან გამართულ ბრძოლაში რუსულ-ქართულ ჯართან გენერალ ლაზარევის მეთაურობით მათ სამარცხვინო დამარცხება იწვნიეს. ომარი მთებში გაიქცა, სადაც ჭრილობებისაგან გარდაიცვალა,<sup>32</sup> ხოლო პლექსანდრემ შუშის ხანთან შეაფარა თავი.

ამ გამარჯვების მიუხედავად, ბიორგი XII-სა და მის მრჩევლებს უკვე კარგად ესმოდათ, რომ 1783 წლის ტრაქტატი აღარ იყო საკმარისი ქართული სახელმწიფოს ერთიანობის შესანარჩუნებლად, რომელსაც შიგნიდან რღვევის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ



დაიწყეს ფიქრი რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების ახალ ფორმებზე. მართლაც, ჯერ კიდევ 1799 წლის 7 სექტემბერს ბიორგიმ თავის წარმომადგენლებს პეტერბურგში — ბარსევან შავჭავაძეს, ბიორგი ბვალისშვილსა და რევაზ შალავანდიშვილს შემდეგი დავალება მისცა:

„მსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებითა მსხვერპლებითა, და დაუღვეით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიტგან დაიდვას სამეფო ძართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პროვინციანი სარგებლობენ.

შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისას, რათა ჟამსა მისგან საქართველოსა სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიღებისასა, განამზნოს პუნქტსა ამას შინა თხოვილი ჩემი ყოვლად უმოწყალესითა აღთქმითა წერილითა ვითარმედ: სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს [ე. ი. არ გააუქმოს] მეფენი, გარნა ოდენ სამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე, ვითარცა წინაპარნი ჩემნი.<sup>33</sup>


1800 წლის დამდეგს ქვეყნის დაშლის საფრთხისაგან თავის დასაღწევად ძართლ-ბახეთის სამეფო კარის წინაშე იმდენად მწვავედ დადგა რუსეთთან კავშირის ახალი ფორმის ძიების საკითხი, რომ აპრილის თვეში ბიორგი მეფემ გადაწყვიტა, ხელახლა გაეგზავნა პეტერბურგში თავისი სამი წარმომადგენლი — ბარსევან შავჭავაძე, ბიორგი ბვალ-

იშვილი და რევაზ ზალავანდიშვილი, რომლებსაც რუსეთის საგარეო საქმეთა ძოღეგის ხელმძღვანელობასთან განსახილველად ექვსმუხლიანი დიპლომატიური ნოტა გაატანა.<sup>34</sup> ეს ნოტა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართველი ელჩების მოლაპარაკებას ძოღეგის პირველ მრჩეველ გრაფ ოედორე როსტოპჩინთან, არსებითად მათ მიერვე 1799 წლის 7 სექტემბერს წამოყენებულ მოთხოვნებს იმეორებდა, კერძოდ, ქართლ-ძახეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომი უნდა გამხდარიყო; მაგრამ თავის სახელმწიფოში მეფის ტიტული და ძალაუფლება უნდა შეენარჩუნებინა. მოლაპარაკება მხარეებს შორის 1800 წლის 24 ივნისს დაიწყო, როდესაც საგარეო საქმეთა ძოღეგის დიპლომატიური ნოტა წარუდგინეს, და იმავე წლის ნოემბრამდე გაგრძელდა. ხანგრძლივი და ინტენსიური მოლაპარაკების შემდეგ შემუშავებულ იქნა ამ ნოტის ერთობ ვრცელი და დეტალური 16-მუხლიანი (მას შემდგომ “სათხოვარი პუნქტები” ეწოდა). რედაქცია, რომელიც ბიორგი XII-ის სრულუფლებიანმა ელჩმა ბარსევან ჭავჭავაძემ იმპერატორის თანხმობის მისაღებად 17 ნოემბერს ოფიციალურად წარუდგინა საგარეო საქმეთა ძოღეგის. 19 ნოემბერს იმპერატორმა პავლემ მოიწონა დიპლომატიური ნოტა და 23 ნოემბერს გრაფმა როსტოპჩინმა იგი ორი ელჩის — ავალიშვილისა და ზალავანდიშვილის ხელით მეფე ბიორგის გაუგზავნა, რომლის საბოლოო თანხმობის მიღების შემდეგ პეტერბურგში “ორმხრივი საიმპერატორო აქტით” მისი რატიფიცირება მოხდებოდა.<sup>35</sup> ნოტას თან ახლდა გრაფ როსტოპჩი-

ნის წერილი მეფე ბიორგისადმი; მასში მეორდებოდა ის, რაც ნათქვამი იყო ნოტის შესავალ ნაწილში, კერძოდ: რუსეთის იმპერატორის კეთილგანწყობა საქართველოს სამეფოსადმი, მეფის მიერ ხელმოწერილი დიპლომატიური ნოტის პეტერბურგში სასწრაფოდ გამოგზავნისა და საიმპერატორო კარზე საქართველოს სამი სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნის საჭიროება, რის შემდეგაც მოხდებოდა ნოტის საბოლოო დამტკიცება “ორმხრივი საიმპერატორო აქტით”.<sup>36</sup> ქვემოთ მოგვაქვს ბიორგი XII-ისადმი გაგზავნილი დიპლომატიური ნოტის ტექსტი:

1800 წლის 19 ნოემბერს მისმა იმპერატორულმა უდიდებულესობამ ყოვლად უმოწყალესად დაამტკიცა მისი უდიდებულესობის, ქართლისა და ქახეთის მეფის სრულუფლებიანი რწმუნებულების — თავადების ბარსევან ჭავჭავაძის, ბიორგი ავალოვისა და პლიზბარ [Елеазар] ფალავანდოვის მიერ მისი მაღალი სამინისტროსადმი მეფის დავალებით წარდგენილი ქვემოთ ნოტის ყველა მუხლი; ეს მუხლები, რომლებსაც ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა პოლევის პირველმა მრჩეველმა, გრაფმა როსტოპჩინმა და ზემოხსენებულმა ორმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა — თავადმა ბიორგი ავალოვმა და პლიზბარ ფალავანდოვმა, ეგზავნება მის უდიდებულესობა [ქართლ-ქახეთის] მეფეს, რათა თუკი კვლავაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ერთხელ და სამუდამოდ მიიღოს სრულიად რუსეთის მაღალი საიმპერატორო კარის ქვეშევრდომობა და მფარველობა ყველა იმ უფლებითა და სარგოთი, რომლითაც მისი იმპერატორული უდიდებულესობის ქვეშევრდომნი სარგებლობენ, ამ მაღალერთმთავრული წყალობის მისაღებად მისმა უდიდებულესობამ მეფემ მის უდიდე-

TEFLIS  
*Die Hauptstadt in Georgien.*



*თბილისი XVIII საუკუნეში (მ. ბურნეფორის გრავეურა)*

ბულესობა იმპერატორს ხსენებული პირების ხელითვე უნდა გამოუგზავნოს სამადლობელო სიგელი და როგორც თავისი, ასევე მთელი სამეფოს სახელით უნდა დანიშნოს სრულუფლებიან ელჩებად სამი რწმუნებული, რომელთა დაბრუნებისას მისი ყველა თხოვნის საფუძველზე ორმხრივი საიმპერატორო აქტი გაფორმდება.

“მის უდიდებულესობას, მეფესა და უფალს ჩვენსას, ჯერ კიდევ მისი მშობლის, მეფე პრეკლეს სიცოცხლეში, ვიდრე თვითონ ტახტის მემკვიდრე იყო, მის ერთგულ პირებთან ერთად ჩაფიქრებული ჰქონდა და დღემდე არ შეუცვლია აზრი, სრული დაქვემდებარებითა და ქვეშევრდომობით სამუდამოდ ჩაებარებინა საიდუმლოდ თავისი თავი და თავისი სამეფო სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფისათვის და ყოველ საკითხში ელიარებინა მორჩილება და დამოკიდებულება.

მისი ნეტარხსენებული მშობლის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი მეფე კვლავაც ამ აზრზე რჩებოდა, მაგრამ ჯერ არ ამყლავნებდა, ვინაიდან საიმპერატორო უმადლეს კარზე მყოფი თავისი მინისტრისაგან, თავად შავჭავაძისაგან ყოველადუმოწყალეს პასუხს ელოდა; მან კიდევაც გამოგზავნა შიკრიკის ხელით წერილები, რომლებშიც თავადი შავჭავაძე იტყობინებოდა, რომ საჭირო იყო, რათა მის უდიდებულესობა მეფეს წერილობით დაედასტურებინა თავისი ადრინდელი სურვილი; მაგრამ მისმა უდიდებულესობა მეფემ უპირველესად საჭიროდ ჩათვალა, ასულიყო სამემკვიდრეო სამეფო ტახტზე, ელიარებინა მისი იმპერატორული უდიდებულესობა, როგორც უმადლესი მბრძანებელი, შემდეგ მისი იმპერატორული უდიდებულესობის სახელზე თავისი ხსენებული მინისტრისათვის სასწრაფოდ გაეგზავნა მიმართვა, რომელშიც როგორც კანონიერი მემკვიდრე, ითხოვდა მეფედ დამტკიცებას და სამეფო ინვესტიტურის ნიშნებს, და წესის შესაბამისად, საქვეყნოდ გამოცხადებას,

რათა იგი კანონიერ ხელმწიფე მეფედ ეცნოთ. ღიდი და ლვითთ რჩეული მონარქისა და მართლმადიდებლობის მფარველისაგან მან კიდევაც მიიღო [მეფედ] დამტკიცება და სამეფო ნიშნები სამეფო კარზე იმყამად მივლინებული მინისტრის — ძოვალენსკის ხელით, ხოლო უმაღლეს ძარზე მისი მშობლის [ძრეკლეს] მინისტრი, თავადი შავჭავაძე კი მივლინებულ იქნა [მეფესთან] სიგელითა და ტახტზე ასვლის მოლოცვით”.

“ღიდი ხელმწიფისაგან ამ მაღალერთმთავრული წყალობისა და მფარველობის მიღებისთანავე მეფემ მხურვალე ლოცვა აღუვლინა უზენაესს, ჩვენ სამნი საგანგებო რწმუნებულეზად დაგვნიშნა და გამოგვეზავნა უმაღლეს ძარზე, რათა, ჯერ ერთი, მისი იმპერატორული უდიდებულესობის წმინდა ფერხთ ვმთხვეოდით, მისი ერისათვის ბოძებული მაღალი იმპერატორული წყალობის გამო მეფის ყოვლად უქვეშევრდომესი მაღლიერება მოგვეხსენებინა და, მეორეც, მიგვემართა შემდეგი თხოვნით:

1. მის უდიდებულესობას ბიორგის, მეფეს ძართლისა, ძახეთისა და სხვათა, ხელმწიფეს ჩვენსას, თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და ერს სურთ, ერთხელ და სამუდამოდ მიიღონ სრულიად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა, თავს ვალად იღებენ წმინდად დაიცვან ყველა ის ვალდებულება, რომლებსაც რუსეთის ქვეშევრდომნი იცავენ, არ დაარღვიონ რუსეთის არც ერთი კანონი და განკარგულება, რამდენადაც ეს ამ სამეფოს ძალებით იქნება შესაძლებელი, და აღიარონ სრულიად რუსეთის იმპერატორი თავიანთ ბუნებრივ ხელმწიფედ და ოვითმპყრობლად;

2. [მეფე ბიორგი] ყოვლად ქვეშევრდომულად ითხოვს, რათა [იმპერატორისათვის] სამეფოს გადაცემის

[вручение] შემდეგაც თავად იგი, და მის შემდეგ მისი მემკვიდრეებიც, მეფის ტიტულით დარჩნენ, ვინაიდან ნებაყოფლობით მიიღო პირადად და თავისი სამეფოსათვის სრულიად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა, და მეფეებს თავიანთ სამეფოში ჰქონდეთ უმთავრესი მართვა-გამგებლობა. ჰოვლად უმაღლესი კარის მიერ დადგენილი კანონების შესაბამისად, თავიანთი მხრივ კი ისინი საგანგებო მითითების გარეშე არ შემოიღებენ ახალ კანონებს;

3. თავის უდავო და ჰემმარტი კანონიერების დასამტკიცებლად და ქვეშევრდომული ერთგულების ნიშნად მისი უდიდებულესობა მეფე თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ყოვლად უმოწყალესად ითხოვს, დაენიშნოს ხელფასი და სარჩო და ებოძოს სოფლები რუსეთში. მისი უდიდებულესობა მეფე, როგორც ქვეშევრდომი, საქართველოს სამეფოს შემოსავალს სრულ განკარგულებაში გადასცემს მის იმპერატორულ უდიდებულესობას, რათა ისე მოიხმაროს, როგორც მიზანშეწონილად ჩათვლის: ჯარის შესანახად და სხვა საჭიროებისათვის, რომლებიც აქ პირველ ხანებში შეიქმნება, მაგალითად ადგილობრივ მიწათმოქმედებში მათი ხელმწიფე იმპერატორისადმი წრფელი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გასაღვივებლად, ბეგარის გადახდისას ჰოვლად უმოწყალესად მისცეს მათ შეღავათი, რამდენი წლითაც ამას საჭიროდ ჩათვლის;

4. სრულიად რუსეთის ქვეშევრდომობაში მეფისა და მისი სამეფოს მიღების პირველ ხანებში მეზობელი ცუდმოარულებისაგან დასაცავად საჭირო იქნება ამ მხარეში განთავსდეს 6.000-კაციანი ჯარი, რომელიც იქ უნდა იდგეს, სადაც ამას მეთაურები ჩათვლიან საჭიროდ; ჯარს არტილერია და სხვა სათანადო შეიარაღება დასჭირდება;

5. საქართველოში არსებული ყველა ციხესიმაგრე და გამაგრებული ადგილი რუსეთის ჯარებმა და მათმა მეთაურებმა უნდა დაიკავონ და თუ ამას ჩვენი იმპერატორი მოისურვებს, მათ დაემატოს ზოგიერთი ადგილობრივი მოხელე ქართველ დიდებულთაგან და მათთან ერთად გარკვეული რაოდენობის სხვა ხალხიც;

6. ბამოგზავნონ ფორტიფიკაციის მცოდნეები და ყოვლად უმოწყალესად ებრძანოს მათ ახალი ციხესიმაგრეების აგება და ძველების აღდგენა, სადაც ამას მიზანშეწონილად ჩათვლიან; მუშახელად, სათანადო ანაზღაურების შემთხვევაში, შესაძლებელია იქნება ქართველი და სხვა [ეროვნების] კეთილშობილთ მიერ დაქირავებულთა გამოყენება;

7. პრაორაზროვნად გაიცეს უმაღლესი ბრძანება, რომ იმპერიაში მოქმედი წესების შესაბამისად, როგორც დიდებულებს, ასევე სხვებს უფლება აქვთ ჩადგნენ იმპერიის მაღალ საიმპერატორო სამსახურში და თავიანთ სამეფოს ემსახურონ საყარაულო ადგილების სადარაჯოდ და დასცავად ადრინდელი ხელფასითა და აღჭურვილობით და ვინაიდან შეუჩვევლები არიან, პირველ ხანებში წახალისების მიზნით სასურველი იქნება, გამოცხადდეს, რომ მათი სამოსელი ეროვნული იქნება;

8. საქართველოში არსებული ვერცხლის, ოჭროსა და სხვა ლითონების უამრავი საბადოს ასამოქმედებლად, რომლებიც დასურულია ურჯულოებისა და მტრულად განწყობილი მეზობლების გამო, ხელი შეეწყოს ამ საქმის მცოდნეთა გამოგზავნას, ხოლო ამ საქმისათვის საჭირო მუშახელი სამეფოში მრავლად მოიძებნება, და მათ თვიური ან წლიური ხელფასი უნდა დაენიშნოთ;



9. მეფე ითხოვს, რათა ადგილობრივი ზარაფხანის სიმძლავრე გაიზარდოს ან ისევ ასე დარჩეს, რათა ამ სამეფოში წარმოებული ან მეზობელ ქვეყნებში შექნილი და შემოტანილი ლითონებისაგან ამჟამინდელი ყალიბის მიხედვით კვლავ მოჭრას ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის ფული შემდეგი ნიშნებით: პირველ მხარეს იმპერატორის ინიციალები რუსულ ენაზე, ხოლო მეორე მხარეს – საქართველოს სამეფოს გერბი ქართული წარწერით;

10. პირველ ხანებში, ვიდრე ყველაფერი მოეწყობა და სრული წესრიგი დამყარდება, სიფრთხილისათვის და ძრახვის თავიდან ასაცილებლად ამ მხარეში განლაგებული ზემოხსენებული ჯაროსათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე შესყიდულ იქნას ადგილობრივ მოქმედი საბაზრო ფასით, ხოლო სათანადო განაწილი შედგეს სრულუფლებიან პირებთან ერთად;

11. ისევე როგორც მეფე პრეკლეს დროს, როდესაც იგი მეგობრობითი ტრაქტატით შევიდა სრულიად რუსეთის იმპერიის მფარველობაში, თუ რომელიმე მეზობელი ქვეყანა რაიმე მიზეზით გაბედავს მისი [ქართლ-ქახეთის სამეფოს] საზღვრების ხელყოფას, სამხედრო მეთაურებს განკარგულება უნდა მიეცეს ქართველებთან ერთად აღკვეთონ ასეთი თვითნებობა. ამ კეთილსათნო საქმის დამთავრებისთანავე მეფე არ დააყოვნებს, დაწვრილებით აღწეროს, თუ სანამდე ვრცელდებოდა წარსულში საქართველოს სამეფოს საზღვრები;

12. უძველესი დროიდან მოყოლებული მეზობელი აზერბაიჯანის სახანოები, მათ შორის – ბანჯისა და პრევენის, ყოველთვის ერთგულად მორჩილებდნენ ქართველ მეფეებს და მტრებისაგან იცავდნენ მათ და ეს დღემდე გრძელდება. ქართველი მეფეებისადმი ერთგულების ნიშნად ისინი მეფეს ყოველწლიურ ხარკს უხდიან ან ძღვენს უგზავნიან; არაიშვიათად მეფეთა მტრებთან ბრძოლებშიც მიუღიათ მონაწილეობა; ახლა, როგორც კი

ღიადი იმპერიის ურყევი მფარველობის ამბავს შეიტყობენ, თავი-  
ანთი სიკეთისა და სარგებლობისათვის დიდ წყალობად ჩათვ-  
ლიან საქართველოს სამეფოს შევრდომილებას; განჩინება მათ  
შესახებ მიღებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეფესთან  
საიმპერატორო კარის მიერ დანიშნული პირი ჩამოვა, რომელიც  
მეფესთან მოთათბირების შემდეგ სათანადო განაწესს შეიმუშავებს,  
მაგრამ მის ჩამოსვლამდე და ხსენებული განაწესის შემუშავე-  
ბამდე, თუ საჭირო იქნება, ამ ხანებსა და მათ თანასწორებს  
მეფემ გაუწიოს დახმარება მეზობლებისაგან თავის დასაცავად  
თუნდაც მხოლოდ ქართული ჯარით;

13. არა მხოლოდ ზემოხსენებული, არამედ საქართველოს მომ-  
იჯნავე სპარსეთის სახანოებიც, როგორც კი ხელმწიფის ამგვარი  
წყალობის ამბავს შეიტყობენ, ქართველების საშუალებით თავინთი  
ხალხისათვის ასეთივე მფარველობის მიღებას მოისურვებენ;

14. საქართველოში რუსეთის ჯარის სარდლის საშუალებით ოს-  
მალეთისა და ახალციხის ფაშას ეცნობოს, თავი შეიკავოს ოს-  
მალეთის პორტას სამფლობელოებიდან საქართველოს  
საზღვრებში ლეკების გატარებისა და შეფარებისაგან და არ  
მისცეს ლეკებს მის [პორტას] მიწა-წყალზე ყოფნის უფლება;

15. საქართველოს მეფის ყველა ქვეშევრდომს, როგორც თავა-  
დაზნაურობას, სამღვდელოებას, ვაჭრებს, ასევე სხვა ხელოსან  
ერს იგივე უფლებები აქვთ, რაც რუსეთის სხვა ქვეშევრდომებს  
და ისინიც იმავე კანონებს ემორჩილებიან;

16. შინაიდან ჩვევად არ გვაქვს ერის სულადობის აღწერა,  
არ შეგვიძლია გაცნობოთ რამდენს სულს შეადგენენ მთელს  
სამეფოში თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, ვაჭრები, ხე-  
ლოსნები და გლეხები; მაგრამ იქედან გაგზავნილ მოხელეს მე-

ფის ხელშეწყობით შეუძლია ჩაატაროს სულადობის ზუსტი აღწერა და ხელმწიფე იმპერატორისათვის წარდგენა.

თუ ჩვენი მეფის ნება-სურვილით ჩვენს მიერ წარდგენილ პუნქტებზე საჭირო გახდება რაიმეს დამატება, მას შემდეგ, რაც მაღალი ძარიდან [შესაბამის დოკუმენტს] ადგილზე [ქართველი მეფის კარზე] მიიღებენ, იგი როგორც ბრძანება, უსიტყვოდ, უყოყმანოდ დამტკიცდება. ამჟამად კი ჩვენი სამეფოსაგან შორს ყოფნის გამო უმნიშვნელო წვრილმანებს ვერ გავიხსენებთ”.<sup>37</sup>

საგულისხმოა, რომ 1783 წლის ტრაქტატთან შედარებით, სადაც პირველი II მოხსენიებულია ტიტულით “его светлость” (“უგანათლებულესობა მისი”, რაც, როგორც უკვე ითქვა, არა მეფეთა, არამედ თავადთა ტიტულია), დიპლომატიურ ნოტაში მეფე ბიორგი მოიხსენიება როგორც “его величество” (“მისი უდიდებულესობა”), რაც, თუმცადა პატარა ასოებითაა დაწერილი, მაშინ, როდესაც პავლეს ტიტული — “მისი იმპერატორული უდიდებულესობა” — მთავრულით არის დაწერილი, რათა გრაფიკულადაც ხაზგასმული ყოფილიყო უდავო სხვაობა იმპერატორ პავლესა და მეფე ბიორგის შორის. მაგრამ უფრო საყურადღებოა ის ახალი ურთიერთობა, რომელიც შართლ-ძახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის უნდა დამყარებულიყო. ძეგოდ, ბიორგის მიაჩნდა, რომ ეს ურთიერთობა ისეთივე იქნებოდა, როგორიც საქართველოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სეფიანთა სპარსეთთან ჰქონდა, როდესაც საქართველოს მონარქი საკუთარი ხალხისათვის მეფე იყო, ხოლო შაჰისათვის —

ვალდი (მეფისნაცვალი), ანუ ისეთი ურთიერთობა, რაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ახალციხის ფაშასა და ოსმალეთის იმპერიას შორის; სხვაგვარად, იგულისხმებოდა სახელმწიფოთა შორის ისეთი ურთიერთობა, როდესაც პატარა ქვეყანა უფრო დიდ და მძლავრ ქვეყანას უერთდებოდა, მაგრამ დიდი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში სამეფო სახლს და გარკვეულ შიდა ავტონომიურობას ინარჩუნებდა. ამგვარი ურთიერთობა არსებობდა ინდოეთის რაჯებსა და ბრიტანეთის იმპერიას შორის; მეტიც, მოგვიანებით მმართველობის სწორედ ასეთი ფორმა საერთაშორისო წესად იქცა კოლონიურ ქვეყნებში.

სასურველია, აქვე გავიხსენოთ, რომ დაქვემდებარების სწორედ ასეთი “ლიბერალური” ფორმა აირჩია პავლეს მემკვიდრემ ალექსანდრემ შინეთისათვის, რომელიც 1809 წლიდან რუსეთის დიდი სამთავრო გახდა და ფართო პოლიტიკური ავტონომიით სარგებლობდა 1917 წლამდე, როდესაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. ასევე, 1815 წელს ვენის კონგრესის მოთხოვნით, იმპერატორი ალექსანდრე I დათანხმდა, პოლონეთის ტერიტორიაზე, თუმცაღა მის მცირე ნაწილზე, პოლონეთის სამეფო შექმნილიყო, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სუვერენიტეტს ცნობდა, შეძლო კონსტიტუციის შემუშავება და გარკვეული ავტონომიურობის შენარჩუნება. მაგრამ თუ ალექსანდრეს ხან ლიბერალობა და ხან კონსერვატიულობა შესაძლებელს ხდიდა რუსეთის იმპერიაში სხვადასხვაგვარ მიდგომას ეროვნული საკითხ-

ისადმი, ამ მხრივ პავლეს მიდგომა სრულიად სხვაგვარი — ავტორიტარული და არატოლერანტული იყო.

როგორც ითქვა, ქართველი დესპანების მიერ წარღ-  
გენილი დიპლომატიური ნოტის განხილვა დაახლოე-  
ბით ექვს თვეს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში  
იმპერატორ პავლეს გამუდმებით მუხლობრივად მოახ-  
სენებდნენ შეთანხმების მსვლელობის შესახებ. ძერძოდ,  
მან იცოდა, რომ ქართველებს ბაგრატიონთა დინასტიის  
შენარჩუნების გარანტიას აძლევდა. 1800 წლის 15 ნოემ-  
ბერს, ზემოაღნიშნული დიპლომატიური ნოტის მო-  
წონებამდე ოთხი დღით ადრე მან მოულოდნელად  
ტავკასიის საფორტიფიკაციო ხაზის სარდალსა და, მაშას-  
ადამე, ქართლ-ქახეთში დისლოცირებულ რუსულ ჯარე-  
ბზე პასუხისმგებელს — გენერალ ტარლ ტნორინგს შემ-  
დეგი განკარგულება გაუგზავნა:

საქართველოს მეფე ბიორგი პრეკლეს ძემ, იმ საფრთხის  
გათვალისწინებით, რომელიც მის სამეფოს როგორც გარეშე  
ძალების, ასევე, და შესაძლოა კიდევ უფრო მეტად, მის ოჯახში  
ტახტის მემკვიდრეობის გამო წარმოქმნილი უთანხმოების  
შედეგად ემუქრება, თავის საელჩოს დაავალა, გამოგვიცხ-  
ადოს ჩვენ, რომ სურს, ქართული მიწები უშუალოდ ჩვენს  
ქვეშევრდომობაში იხილოს. ვითვალისწინებთ რა ამ საქ-  
მის მნიშვნელობას როგორც ამ ქვეყნისათვის, ასევე ჩვენი  
საზღვრების უსაფრთხოებისათვის, გავალბებთ, დაუ-  
ოვნებლივ მოგვახსენოთ, თქვენს განკარგულებაში მყოფი  
ჯარებიდან რამდენის გამოყოფა არის შესაძლებელი  
საქართველოს დასაკავებლად, რომ შემდგომ იქ უკვე  
მყოფ ჯართან ერთად დარჩეს, მაგრამ ისე, რომ არ შესუს-

ტდეს კორდონი მთიელი ხალხების წინააღმდეგ. მეფის ჯან-მრთელობის გაუარესება გვაფიქრებინებს, რომ უნდა მოველოდეთ მის გარდაცვალებას; ამიტომაც, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ იქ ჩვენი სახელით განკარგულება, რათა ჩვენი ნება-სურვილის გამოცხადებამდე არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს საქართველოს ტახტის მემკვიდრის დასახელება. ამ საკითხს აქ განვიხილავთ და სულ მალე აქმყოფი ქართველი სრულუფლებიანი ელჩები ქართველი მეფისა და ერის სახელით წარმოგვიდგენენ სიგელს ჩვენს ქვეშევრდომობაში ყოფნისა და ჩვენი კანონმდებლობის აღიარების თხოვნით.

ღავშთები თქვენი კეთილმოწყალე პავლე.

ამ განკარგულებიდან ცხადად ჩანს, რომ რუსეთის იმპერატორს განზრახული ჰქონდა, იარაღით დაეპყრო შართლ-ტახეთის სამეფო და არ დაეშვა ბიორგი XII-ის მემკვიდრის გამეფება. როგორც ზემოთ ითქვა, 1799 წლის 18 აპრილს იმპერატორმა პავლემ ბიორგი XII-ს აღუთქვა, რომ ტახტის მემკვიდრედ მის ძეს — ღავითს ცნობდა. მაგრამ 1800 წლის 15 ნოემბერს, ადრე ნაკისრი ვალდებულებებისა და იმ გარანტიებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ქართველებს მათი დიპლომატიური ნოტის მოწონებით ოთხი დღის შემდეგ მისცემდა, მან სრულიად საპირისპირო ბრძანება გასცა. პეტრე ბუტკოვი, რომელმაც, ალექსანდრე ცაგარელის მსგავსად, 1722-1803 წლებში შართლ-ტახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების დიდი ნაწილი გამოსცა, აღნიშნავს, რომ გენერალ

ტნორინგისადმი გაგზავნილი საიმპერატორო განკარგულების გარდა გრაფმა როსტოპჩინმაც, რომელმაც იცოდა ზემოაღნიშნული განკარგულების შესახებ, გენერალ ტნორინგს წერილი გაუგზავნა სათანადო მითითებებით საქართველოს ანექსირებისათვის, მაგრამ როდის უნდა მომხდარიყო ეს, ამას ბუტკოვი არ აზუსტებს. ამ წერილში როსტოპჩინი იმასვე იმეორებდა, რაც იმპერატორს ჰქონდა ნაბრძანები: ბიორგი XII-ის სიკვდილის შემთხვევაში ქართველებს არ უნდა მისცემოდათ ტახტზე მისი მემკვიდრის აყვანის საშუალება და რომ საქართველოს სამეფოს დასაპყრობად ქართლ-ტახეთში განლაგებული რუსეთის საჯარისო ნაწილები სრულიად საკმარისი იყო.<sup>38</sup>

როდესაც ქართველი დესპანები, ავალიშვილი და შალავანდიშვილი, პეტერბურგიდან გამოემგზავრნენ ისე, რომ ცხადია, ჯერ არაფერი იცოდნენ იმპერატორის მიერ 15 ნოემბერს გენერალ ტნორინგისადმი გაცემული განკარგულებისა და შემდგომ როსტოპჩინის მიერ გაგზავნილი წერილის შესახებ, და თან მოჰქონდათ დიპლომატიური ნოტა, რომელიც, როგორც კი მას მეფე მოიწონებდა და ქართლ-ტახეთის ელჩები რუსეთის დედაქალაქში დაბრუნდებოდნენ, რატიფიცირებული უნდა ყოფილიყო “ორმხრივი საიმპერატორო აქტით”, ამ დროს ქართლ-ტახეთის სამეფოს ბედი პეტერბურგში უკვე გადაწყვეტილი იყო. დეკემბრის პირველ ნახევარში გენერალ ტნორინგისადმი გაცემული ბრძანების შესასრულებლად იმპერატორმა პავლემ ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციებს წერილობით აცნობა, რომ განზრახული ჰქონდა

ქართლ-ბახეთის სამეფოს გადაქცევა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად. შესაძლოა, რუსეთის იმპერატორს ამ გადაწყვეტილებებისაკენ ცნობილი გეოლოგის — გრაფ პპოლონ მუსინ-პუშკინის მოხსენებითმა ბარათმაც უბიძგა; 1799 წელს მან თვით იმპერატორისაგან მიიღო ნებართვა, გამგზავრებულიყო საქართველოში კვლევა-ძიების ჩასატარებლად. შინ დაბრუნებულმა მუსინ-პუშკინმა საქართველო დაახასიათა, როგორც სასარგებლო წიაღისეულით უაღრესად მდიდარი ქვეყანა; მას შესაძლებლად მიაჩნდა ამ წიაღისეულის გამოყენება და აგრეთვე ვაჭრობის განვითარება სპარსეთთან და ინდოეთთან.

თუ იმპერატორი, შესაძლოა, აღწერის მიხედვით, პოტენციურად მდიდარი ქვეყნის შეერთებამ მოხიბლა, მას უთუოდ ისიც დააფიქრებდა, რომ შინაგანად დაშლილი საქართველო საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს. მართლაც, პეტერბურგში მოდიოდა გენერალ ლაზარევის (1800 წლის აგვისტოს ბოვალენსკის სამშობლოში გაწვევის შემდეგ რუსეთის ჯარის სარდალი ქართლ-ბახეთის სამეფოში — ლაზარევი სამეფო კარზე რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლადაც დაინიშნა) ცნობები სამეფო ოჯახის დასებს შორის არსებულ უთანხმოებაზე, რაც ბიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, შესაძლოა, აშკარა სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო; ეს კი საბედისწერო იქნებოდა ქართული სახელმწიფოსათვის, რომელიც მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების ადვილი საკბილო გახდებოდა, რის შედეგადაც რუსეთის სამხრეთის საზღვრებს სერიოზული საფრთხე დაემუქრე-



ბოდა. ღანამდვილებით არაა ცნობილი ის მიზეზები, რა-  
 მაც რუსეთის იმპერატორი საქართველოს ანექსიის მი-  
 ზანშეწონილობაში დაარწმუნა. ისლა დაგვრჩენია, აღვნიშ-  
 ნოთ, რომ 1800 წლის 17 დეკემბერს მოწვეულ იქნა სახ-  
 ელმწიფო საბჭოს სხდომა დადგენილების მისაღებად  
 ქართლ-ქახეთის სამეფოს ანექსიისა და მის რუსეთის  
 იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად გამოცხადების შესახ-  
 ებ. საბჭოს არაერთი წევრის საპირისპიროდ, რომელთაც  
 მიაჩნდათ, რომ ქართლ-ქახეთის შეერთება რუსეთთან 19  
 ნოემბრის დიპლომატიურ ნოტაში ჩამოყალიბებულ  
 პირობებს უნდა დაფუძნებოდა, გრაფმა როსტოპჩინმა  
 განაცხადა, რომ იმპერატორს ეს საკითხი უკვე გადაწ-  
 ყვეტილი ჰქონდა. სახელმწიფო საბჭოს ისლა დარჩენოდა,  
 რომ დაუყოვნებლივ მხარი დაეჭირა იმპერატორის გადა-  
 წყვეტილებისათვის.<sup>39</sup> 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერა-  
 ტორმა პავლემ ხელი მოაწერა ანექსიის მანიფესტს,  
 რომელიც პეტერბურგში მხოლოდ ერთი თვის დაყოვნებით,  
 ბიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 18  
 იანვარს გამოქვეყნდა, ობილისში კი — 16-17 თებერვალს.<sup>40</sup>  
 მანიფესტი იუწყებოდა, რომ ქართლ-ქახეთის მეფე ბიორგი  
 XII-მ, რომელსაც აღარ ძალუძდა თავისი ქვეყნის დაცვა  
 მაჰმადიანი მტრებისაგან, მისი აღსასრულის მოახლოების  
 ჟამს თავისთვის და სამეფოსათვის რუსეთის იმპერიის  
 ქვეშევრდომობა ითხოვა. იმპერატორმა დააკმაყოფილა  
 მისი თხოვნა, ქართლ-ქახეთის სამეფო სამუდამოდ შეუერთა  
 რუსეთს და ქართველ ქვეშევრდომებს აღუთქვა, რომ  
 ცნობდა იმ “უფლებებს, პრივილეგიებსა და ქონებას”,<sup>41</sup>

რაც მათ ქართლ-თახეთის სამეფოში ჰქონდათ. მაგრამ იმის ხსენებაც კი არ იყო, თუ როგორი იქნებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის როლი ანექსიის შემდეგ.

პილრე მომაკვლავი მეფე ბიორგი ობილისში მოუთმენლად ელოდა პეტერბურგიდან თავისი წარმომადგენლების ჩამოსვლას, რომელთაც მის დიპლომატიურ ნოტაზე იმპერატორის პასუხი უნდა ჩამოეტანათ, მან არც კი იცოდა, რომ საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. არც თავისი ელჩების ნახვა დასცალდა: 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც ისინი ჯერ ბავკასიის მთებში მდებარე ციხესიმაგრე ვლადიკავკაზშიც კი არ იყვნენ ჩასული.

ბიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ როგორც მისი შვილი ლავითი, რომელსაც ქართველი დიდებულების ერთი ნაწილი უჭერდა მხარს, ასევე ლავითის ნახევარძმა იულონი, რომელსაც დიდებულთა მეორე ნაწილი უჭერდა მხარს, თავიანთ თავს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აცხადებდნენ. მაგრამ გენერალმა ლაზარევმა, გენერალ პნორინგისაგან 1800 წლის 2 დეკემბერს მიღებული მითითებების შესაბამისად, განაცხადა, რომ ქართლ-თახეთის ტახტზე მემკვიდრე ჯერჯერობით არ ავიდოდა. ამ გადაწყვეტილებამ იულონისა და მისი ძმების აშკარა ამბოხი გამოიწვია. გენერალ ლაზარევის ბრძანებით მათ ეკრძალებოდათ დედაქალაქიდან გასვლა, მაგრამ ისინი იმერეთში გაიქცნენ, სადაც სცადეს ჯარის შეგროვება ტახტზე იულონის ასაყვანად. მათ მიერ შეგროვილი ჯარი იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ, ცხადია, რუსეთის ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა; ასე რომ, მათი მცდელობა ამაო გამოდგა.

იმპერატორმა პავლემ ისე გადაწყვიტა ქართლ-ქახეთის სამეფოს ანექსია, რომ მოფიქრებულად კი არ ჰქონდა, როგორი იქნებოდა ახალი პროვინციის მმართველობის ფორმა. შესაბამისი განკარგულების უქონლობის პირობებში გენერალმა ლაზარევმა ბატონიშვილ ღავითს ერთგვარად უფლება “უბოძა”, დროებით ემართა სახელმწიფო როგორც რეგენტს. მაგრამ ეს მმართველობა მოულოდნელად შეწყდა 1801 წლის 12 მარტს, როდესაც პავლე მოკლეს და ტახტზე მისი ვაჟი ალექსანდრე ავიდა. როგორც კი ამ ამბავმა ობილისამდე მოაღწია, ღავითმა და მისმა დედინაცვალმა ღარეჯანმა ახალ იმპერატორსაც მიმართეს თხოვნით, მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-ქახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრეობითობაზე. ორივე თავისი კანონიერი უფლების დაცვას მოითხოვდა. მათ არგუმენტებს რუსეთის კარზე კარგად იცნობდნენ: ღავითი იმპერატორ პავლეს გადაწყვეტილებას იმუშებდა, რომლის ძალითაც იგი მამამისის, ბიორგი XII-ის, კანონიერ მემკვიდრედ იყო აღიარებული; ხოლო დედოფალი ღარეჯანი პრეკლე II-ის იმ გადაწყვეტილების შესრულებას ითხოვდა, რომლის თანახმად, ბიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ძმა იულიონი უნდა ასულიყო. ამასობაში აპრილში საქართველოს სამმა სრულუფლებიანმა დესპანმა პეტერბურგში დიპლომატიური ნოტა წარადგინა, რაც ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ყოველმომცველი პროექტი იყო. რაც მთავარია, ისინი აჩქარებდნენ ალექსანდრეს, თვითონ დაესახელებინა საქართვე-

ლოს სამეფო ოჯახის ერთ-ერთი წევრი საიმპერიო გუბერნატორად საქართველოს მეფის ტიტულით.<sup>42</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართველი დიპლომატები ცდილობდნენ, ახალ იმპერატორ ალექსანდრეს 16-მუხლიანი დიპლომატიური ნოტით ეხელმძღვანელა და ხელი აეღო საქართველოს ანექსიის იმპერიულ განზრახვაზე. აღსანიშნავია, რომ თუ ტახტის მემკვიდრის შერჩევის საკითხზე უთანხმოების მიუხედავად, მთელი სამეფო ოჯახი და ქართველი თავადაზნაურობა თანახმა იყო, რომ ქართლ-აახეთის ტახტზე ბაგრატიონების ოჯახის წევრი ასულიყო, 16-მუხლიანი დიპლომატიური ნოტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას განსაკუთრებით ღავითი და მისი მიმდევრები უჭერდნენ მხარს, ხოლო დედოფალი ღარეჯანი და მისი შვილები კი, სრულიად არარეალისტურად, არც მეტი, არც ნაკლები, 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის მფარველობის ფორმის თავდაპირველი სახით აღდგენაზე ოცნებობდნენ.<sup>43</sup>

საქართველოდან მომდინარე მრავალი თხოვნისა და იმის გათვალისწინებით, რასაც მისი მრჩევლები კარნახობდნენ, ალექსანდრემ სახელმწიფო საბჭოს დაავალა ქართლ-აახეთის სამეფოს ანექსიის საკითხის განხილვა, იქ შექმნილი ვითარების შესწავლა და წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა. მართლაც, თავის დროზე სახელმწიფო საბჭოს არაერთი წევრი ანექსირების წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდგომ მორჩილად აღასრულეს იმპერატორ პავლეს ნება-სურვილი. 1801 წლის 11 და 15 აპრილს სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე განხ-

ილულ იქნა ქართლ-ქახეთში შექმნილი ვითარება, კერძოდ, მისი მოგვარების სამი შესაძლებლობა, რომელთაგან რუსეთისათვის თავისი შედეგით არც ერთი არ იყო უნაკლო და რომლებიც ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. თავის დროზე პრეკლესა და პკატერინეს მიერ დადებული ტრაქტატის შესაბამისად, შეენარჩუნებინათ ჯარის კონტიგენტი საქართველოში მისი უსაფრთხოებისათვის. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება ეკონომიკურად წამგებიანი, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით საშიში იქნებოდა ქავკასიაში რუსეთის საფორტიფიკაციო ხაზიდან საქართველოში განლაგებულ ბაზებამდე სიშორისა და საკომუნიკაციო გზების უვარგისობის გამო; 2. ბედის ანაბარა მიეტოვებინათ ქართლ-ქახეთი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამ სამეფოს ოსმალეთი და სპარსეთი დაეპატრონებოდნენ, რის შედეგადაც, რუსეთის სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყანა, შესაძლოა, მძლავრი მუსულმანური სახელმწიფო გამხდარიყო; 3. ქართლ-ქახეთის სამეფო რუსეთის იმპერიასთან შეეერთებინათ. მაგრამ ეს საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებასა და სამეფო ოჯახის უფლებების შელახვას ნიშნავდა.


სახელმწიფო საბჭომ, რომელმაც ვერ შეძლო მკაფიო თვალსაზრისის შემუშავება, გადაწყვიტა ადგილზე გამოეკვლია საქმის ვითარება და საქართველოში გენერალის ძნორინგი მიავლინა, რათა გაერკვია ორი საკითხი: “შეძლო თუ არა ქართლ-ქახეთის სამეფოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა?” და “რუსეთის იმპერიასთან შეერთება შეესაბამებოდა თუ არა ქართველი ერის

ნებას?” მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარია კიდევ სხვა რა ინფორმაცია უნდა მოეპოვებინა გენერალ ტნორინგს, რაც უკვე არ ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს, ფაქტი ისაა, რომ პლექსანდრემ ეს მითითებები ჩამოაყალიბა თავის განკარგულებაში, რომლითაც გენერალ ტნორინგს აგრეთვე დაავალა, დაეწყო ახალი პროვინციის ადმინისტრაციის შექმნა. ეს კი თავისთავად იმას გულისხმობდა, რომ იმპერატორი არც ერთ ბატონიშვილს არ ცნობდა ძართლ-ძახეთის ტახტის მემკვიდრედ.

ბადაწყვეტილების მიღება საქართველოს შესაძლო ანექსირების საკითხზე, რომელიც ახალმა იმპერატორმა წამოაყენა, იმის გამოც გაჭიანურდა, რომ სახელმწიფო საბჭოში აშკარა უთანხმოება სუფევდა: საბჭოს უმრავლესობას ანექსიის მომხრეები შეადგენდნენ ძმების — პლატონ და ვალერიან ზუბოვებისა და აგრეთვე ძავკასიის ისეთი “ექსპერტების” მეთაურობით, როგორებიც იყვნენ გრაფი მუსინ-პუშკინი, გენერალი ტნორინგი და პეტრე ტოვალენსკი, ხოლო ეკატერინეს “ძველი გვარდია”, მათ შორის ყველაზე ცნობილი პიროვნებები — გრაფები პლექსანდრე და სიმონ შორონცოვები, ახალგაზრდა ლიბერალები ვიქტორ ტოჩუბეი, ნიკოლოზ ნოვოსილცევი და პოლონელი ადამ ჩარტორიციკი, ასე ვთქვათ, “იზოლაციონისტები” და რუსეთის იმპერიის მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობის მოწინააღმდეგენი იყვნენ.

გენერალი ტნორინგი ობილისში 1801 წლის 22 მაისს ჩავიდა და მაშინვე გადააყენა ბატონიშვილი ღავითი საქართველოს რეგენტობიდან და გენერალ ლაზარევს

დაუქვემდებარა ქართველ დიდებულთაგან შექმნილი ხელისუფლება, რომლის ყველა წევრს, ცხადია, პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა. მისთვის მიცემული დავალებების შესასრულებლად გენერალი ძნორინგი იმთავითვე შეუდგა ადგილობრივ თავად-აზნაურებთან, დიდგვაროვან ოჯახებთან და სოფლის თავკაცებთან დაკავშირებას და მათი აზრის გაცნობას. საქართველოში სულ რაღაც ოცდაორი დღე დაჰყო და შემდეგ პეტერბურგში დაბრუნდა. პოლიტიკურად და დიპლომატიურად გამოუცდელ გენერალს, მით უმეტეს, თუ ვარაუდობდა, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს შეერთების შემთხვევაში ქართლ-ქახეთის განმგებლად ალბათ მას დანიშნავდნენ, არ შეეძლო არ განეცხადებინა, რომ ქართლ-ქახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ვერ იარსებებდა და, მაშასადამე, ისურვებდა, რომ განხორციელებულიყო იმპერატორ პავლეს ნება-სურვილი ამ ქვეყნის ანექსიის შესახებ, რაც, მისი აზრით, ქართველი თავადაზნაურობისა და ხალხის საერთო სურვილი იყო. სინამდვილეში კი, გლებთა და თავად-აზნაურთა მრავალრიცხოვანი აჯანყებები, რომლებმაც 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცხადებული ანექსიის შემდეგ მთელ ქვეყანაში იფეთქეს, და სხვადასხვა შეთქმულებები, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია ქართველი ოფიცრებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ რუსი დეკაბრისტებისა და ევროპელი კარბონარიების ლოზუნგთა ყაიდაზე ჩაფიქრებული და მომზადებული 1832 წლის შეთქმულება, დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ გენერალ ძნორინგის დასკვნა სრულიად უმართებულო და არსებითად



თბილისი, 1796 (ბეტლოვის გრავიურა)



პოლიტიკური და პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახევნი.<sup>44</sup>

ივლისის შუა რიცხვებში პლექსანდრეს გენერალ-ბნორინგის მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს, რომელიც, ვიდრე სახელმწიფო საბჭოს გადასცემდა, თავის ზოგიერთ მრჩეველს წააკითხა და მათი აზრის მოსმენა მოისურვა. მოხსენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ, 1801 წლის 24 ივლისს ცნობილმა ლიბერალმა, გრაფმა პლექსანდრე მორონცოვმა და პლექსანდრეს მიერ შექმნილი საიდუმლო კომიტეტის წევრმა პიეტორ ტოჩუბეიმ იმპერატორს მემორანდუმი წარუდგინეს, რომელშიც არ გაიზიარეს გენერალ-ბნორინგის არგუმენტები და განაცხადეს, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა ბნორინგის მტკიცება, რომ თითქოს საქართველოს სახელმწიფო დაშლის პირას იმყოფებოდა. ბარდა ამისა, მათი აზრით, სამეფო ოჯახსა და ქართველ თავად-აზნაურთა შორის პრორუსული და ანტირუსული დასების არსებობა ეწინააღმდეგებოდა ბნორინგისავე დასკვნას, რომლის თანახმად, ქართველებს ერთსულოვნად სურდათ რუსეთთან შეერთება; შესაბამისად, ისინი დაასკვნიდნენ, რომ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკატერინეს მიერ 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატით გათვალისწინებული საქართველოს იურიდიული სტატუსი არ უნდა შეცვლილიყო. მორონცოვი და ტოჩუბეი გენერალ-ბნორინგის დასკვნის უარყოფითი შეფასებით არ შემოფარგლულან. მათ აგრეთვე გააკრიტიკეს გეოლოგ მუსინ-პუშკინის მოხსენება; მათი აზრით, საქართველო სულაც არ იყო წიალი-

სეულოთ ისეთი მდიდარი ქვეყანა, როგორც მოხსენებაში იხატებოდა. შირიმისა და ძავკასიის მიმართ ეკატერინეს პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე ისინი დაასკვნდნენ, რომ ახალ იმპერატორს საგარეო პოლიტიკაში სწორედ ეკატერინეს მიერ აღებული გეზი უნდა დაესახა ნიმუშად (მაგრამ ავიწყდებოდათ შემდეგი გარემოება: როგორც კი ეკატერინე დარწმუნდა, რომ იმპერიის უსაფრთხოებისათვის შირიმს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, უყოყმანოდ დაიპყრო და რუსეთს შეუერთა); კერძოდ, მათი აზრით, რუსეთის იმპერატორს ბაგრატიონთა დინასტიის დამხობის არავითარი უფლება არ ჰქონდა და შესაბამისად, საქართველოს 1783 წელს ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატით გათვალისწინებული სტატუსი უნდა შენარჩუნებოდა.<sup>45</sup>

ცნობილია, რომ მისი მეფობის დასაწყისში პლექსანდრეს ახასიათებენ როგორც ლიბერალურ იდეებზე აღზრდილ იმპერატორს, რომელსაც მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა გაეტარებინა. ცნობილია ისიც, რომ შემდეგ მოვლენები სრულიად სხვაგვარად წარიმართა, თუმცა საგარეო პოლიტიკაში ლიბერალების რჩევებისადმი მან იმთავითვე უმეტესწილად გულგრილობა, ხოლო კონსერვატორთა მლიქვნელობის მიმართ — კეთილგანწყობა გამოიჩინა. საქართველოს საკითხშიც მან სათანადოდ არ აწონ-დაწონა შორონცოვისა და ძოჩუბეის მემორანდუმი და 1801 წლის 28 ივლისს, უმეტესწილად ძმები ზუბოვების გავლენით, სახელმწიფო საბჭოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გენერალ ძნორინგის მოხ-

სენებითი ბარათი გადასცა. აღსანიშნავია, რომ პლექსანდრე მორონცოვისა და პეტრე ზავადოვსკის გარდა, სახელმწიფო საბჭო იმავე პირთაგან შედგებოდა, რომლებმაც იმპერატორ პავლეს მხარი დაუჭირეს საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების საკითხში; ამდენად, არც იყო დიდად მოსალოდნელი, რომ ამჯერად ისინი სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ვიდრე რვა თვის წინ. ოთხ იმპერატორი პლექსანდრე ანექსიის საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიცვლიდა აზრს სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობა. მაგრამ იმპერატორი კვლავ დიდ ანგარიშს უწევდა ანექსიის მომხრე ძავეკასიის “ექსპერტების” თვალთახედვას და არ იზიარებდა მორონცოვისა და ძოჩუბების თვალსაზრისს ეკატერინეს საგარეო პოლიტიკის გაგრძელების საჭიროებაზე. 1801 წლის 8 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გენერალ ძნორინგის მოხსენებითი ბარათის განხილვისას მორონცოვი და ძოჩუბეი იმპერატორისადმი წარდგენილ მემორანდუმში ჩამოყალიბებული არგუმენტებით იცავდნენ თავიანთ ზემოხსენებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ რუსეთს საქართველოსთან 1783 წელს ხელმოწერილი ტრაქტატის პირობები უნდა შეესრულებინა, რაც საკმარისი იქნებოდა ამ ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე მიზანშეწონილად თვლიდნენ ძართლ-ძახეთის სამეფოს ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის დამტკიცებას. მათგან განსხვავებით, მალერიან ზუბოვმა უმრავლესობის სახ-

ელით გენერალ ძნორინგის მოხსენებით ბარათში. წარმოდგენილი დასკვნა დაიცვა. საბოლოოდ, სახელმწიფო საბჭომ იმპერატორს ურჩია საქართველო რუსეთისათვის შეერთებინა, რათა ეს კავკასიური ქვეყანა გადაერჩინათ განადგურებისაგან, რაც შიდა ომებსა და გარშემორტყმული მტრების აგრესიას მოჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, იმპერატორი პლეჰსანდრე სახელმწიფო საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შემდეგაც არ მალავდა ერთგვარ ყოყმანს და იმდენად, რომ გადაწყვიტა, საქართველოს საკითხი საიდუმლო საბჭოსაც განეხილა, რომლის სხდომა 13 აგვისტოს გაიმართა. ბრაფებმა მორონცოვმა და ტოჩუბეიმ ამ სხდომაზეც დაიცვეს თავიანთი მოსაზრება, ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ არ იყო მთლად სარწმუნო და დამაჯერებელი გენერალ ძნორინგის მოხსენებაში გამოთქმული თვალსაზრისი, თითქოს ქართველებს რუსეთთან შეერთება სურდათ და რომ ეს პოლიტიკური ნაბიჯი იმპერიის ინტერესებსაც შეესაბამებოდა. ტოჩუბეიმ ასევე გააკრიტიკა მუსინ-პუშკინის მოხსენება, რომელმაც, მისი აზრით, გააზვიადა მონაცემები საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის შესახებ.

სხდომის დასასრულს საიდუმლო საბჭომ სახელმწიფო საბჭოს დასკვნების საპირისპირო რეკომენდაციები შეიმუშავა, ანუ სრულიად აშკარად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ანექსიისადმი. მაგრამ თუ მანამდე იმპერატორი ყოყმანობდა, ამჯერად სახელმწიფო საბჭოს რეკომენდაციები გაიზიარა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ანექსია ამ პატარა ერთმორწმუნე ქვეყანას

სამეფო ოჯახის დასებს შორის მოსალოდნელი სამოქალაქო ომისა და ოსმალოების, სპარსელებისა და ლეკების მიერ სრული განადგურებისაგან იხსნიდა. ამის გარდა, მიაჩნდა, რომ ანექსიის გამოცხადებით აღასრულებდა იმას, რაც ძნორინგის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, არა თავადაზნაურთა მოკრძალებული ნაწილის, არამედ მთელი ქართველი ხალხის სურვილი იყო. ღა ბოლოს, იმპერატორს მართებულად მიაჩნდა მუსინ-პუშკინის ანგარიში და დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ანექსია რუსეთისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად მომგებიანი იქნებოდა. როდესაც საქართველოს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, ლიბერალიზმის დიადი იდეებით შთაგონებულმა ალექსანდრემ ყველაზე კონსერვატიული პოლიტიკის გზა აირჩია, რაც, ღვეიდ ღანგის თქმით, ცხადად მეტყველებს მისი ხასიათის ორსახოვნებაზე.<sup>46</sup>

1801 წლის 12 სექტემბერს მეფედ კურთხევის გამო მოსკოვში ყოფნისას იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაქვეყნა მანიფესტი ძართლ-ბახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ.<sup>47</sup> მანიფესტში, რომელიც უთუოდ პლატონ ზუბოვის მიერ იყო შედგენილი, შეფასებული იყო რუსეთის ისტორიული როლი ერთმორწმუნე საქართველოს სამეფოს დაცვის საქმეში იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც ალა-შაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მკატერინემ უმაღვე გაგზავნა იქ სამხედრო შენაერთი და ამით საქართველოს სამეფო განადგურებისაგან იხსნა (ბუნებრივია, მანიფესტი ღუმილით უვლიდა გვერდს იმ ფაქტს, რომ ალა-შაჰმად-ხანმა იმიტომ შეძლო ამ კავკასი-

ური ქვეყნის დარბევა, რომ რუსეთმა არ შეასრულა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი); მასში მიჩნეული იყო, რომ საქართველოდან რუსეთის ჯარების მოულოდნელმა გაყვანამ (რაც, როგორც ვიცით, იმპერატორ პავლეს სურვილით მოხდა) გარდა იმისა, რომ ქართველებს იმედი გაუშტყუნა, ურჯულოებს შართლ-ძახეთის სამეფოზე ახალი თავდასხმების საშუალება მისცა; ამდენად, მუსულმანების შემოსევებისა და სამეფო ოჯახში არსებული ქიშპობის შედეგად საქართველოს განადგურების საფრთხე დაემუქრა. მანიფესტი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ ქართველებს რუსეთისათვის არაერთგზის მიუმართავთ დახმარების თხოვით, მეტიც, ამჯერად რუსეთის ხელისუფლების მფარველობის მიღება მათ “საზეიმოდ და ერთსულოვნად”<sup>48</sup> მოითხოვენ. ტახტზე ახლადასულ პლექსანდრეს იმპერატორ პავლეს 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტის საფუძველზე საქართველო რუსეთთან შეერთებული დახვდაო. პლექსანდრეს ის საკითხიც განუხილავს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს სამეფოს მიმართ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მფარველობის პირობების აღდგენა, მაგრამ ამ დროს საქართველოში ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ მხოლოდ ძლიერი ხელი თუ იხსნიდა მას უფსკრულში გადაჩეხვისაგან:

“პრა ძალთა შემატებისათვის, არც ანგარებისათვის, არც მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მფარველობისა და მარ-

თვის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოს-  
ნება და ადამიანობა გვეკარნახობს ჩვენ საღვთო  
მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა  
ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად და-  
ვამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა,  
რომელიც შეძლებს მართლმსაჯულების გამტკი-  
ცებას, უზრუნველყოფს პიროვნებისა და მისი  
ქონების ხელშეუხებლობას და კანონისმიერი  
უფლებების დაცვას” – აცხადებდა პლექსანდრე.

ამგვარად, იმპერატორმა პლექსანდრემ საქართვე-  
ლოს შეერთება რუსეთთან იმიტომ დაამტკიცა და გენ-  
ერალ ბნორინგს ახალი ხელისუფლების შექმნა იმიტომ  
დაავალა, რომ ქართველების “მხურვალე იმედი” არ  
გაეცრუებინა.

რუსეთში მყოფ ქართველ დიპლომატებს არა თუ  
არ მოთათბირებინან, არამედ არც კი აცნობეს, რომ სახ-  
ელმწიფო საბჭო საქართველოს შესაძლო ანექსირების  
საკითხს განიხილავდა. მეტიც, 12 სექტემბრის მანიფეს-  
ტის შინაარსის შესახებ ოფიციალური წყაროებიდანაც  
კი არ შეუტყვიათ. ღაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშ-  
ნოს, რომ თუ კონსერვატორი იმპერატორი პავლე სა-  
გარეო საქმეთა ძოღეგის საშუალებით ყოველთვის  
ეთათბირებოდა საქართველოს წარმომადგენლებს რუსე-  
თის ინიციატივებზე ქართლ-ქახეთის მიმართ (თუმცაღა  
ბოლოს გადაწყვეტილება ანექსიის შესახებ მათთან შეუ-  
თანხმებლად მიიღო), ლიბერალმა პლექსანდრემ  
საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე მამამისის არალ-

იბერალური გადაწყვეტილება ისე გაიზიარა, რომ საქართველოს დესპანების აზრი, თუნდაც ფორმალურად, ერთხელაც კი არ მოუსმენია; პირიქით, მათ დასამცირებლად ყოველთვის ფარულად მოქმედებდა. საქართველოს სრულუფლებიანი დესპანები — ბიორგი პვალიშვილი, რევაზ შალავანდიშვილი და ბარსევან ჭავჭავაძე ვიცე-კანცლერ პლექსანდრე ტურაკინისადმი 1801 წლის 6 ნოემბრით დათარიღებულ წერილში თუმცა დიპლომატიურად, მაგრამ მთელი სიმძაფრით გამოხატავდნენ თავიანთ გაწბილებას იმის გამო, თურა გზით შეიერთა რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-ქახეთის სამეფო:

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მიღება<sup>49</sup> [რუსეთის იმპერიაში] გამოცხადდა, მანიფესტი ამის შესახებ შედგენილია და დამტკიცებული, ჩვენ კი არაფერი გვაცნობეს, — არც საქართველოს შეერთება, არც მანიფესტის შედგენა, ვიდრე ყოველივე ეს არ დამთავრდა... ჩვენ ამის გამო, — ნუ ინებებთ განრისხებას, — ნაწყენი ვართ და მეტიც, თავს უბედურად ვგრძნობთ, ვინაიდან თქვენთვის სხვებზე უკეთ იყო ცნობილი ჩვენი მოხსენებები, მოლაპარაკების პირობები და მონდომება, ხოლო ახლა, [საქართველოს] ამგვარი შეერთების შედეგად, ორივე სამეფოში პატივისცემა და ნდობა დავკარგეთ.<sup>50</sup>

თავის წუხილს, რომ არა ვთქვათ დიდ გულისტკივილს იმპერატორ პლექსანდრეს ძალმომრეობის გამო უფრო შეუფარავად ამჟღავნებს თავადი ბარსევან ჭავჭავაძე მეუღლისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც აღნიშნავს, რომ



რუსებმა მეფე ბიორგის მიერ წამოყენებული არც ერთი მოთხოვნა არ შეასრულეს, და ქართველების უმრავლესობის დარდსა და ნალველს ასეთი სიტყვებით აჯამებს: “[რუსებმა] გააუქმეს ჩვენი სამეფო... არასოდეს არც ერთი ქვეყანა არ დაუმცირებიათ ისე, როგორც საქართველო”,<sup>51</sup> და ამას წერს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ შეძლებდა რუსეთის იმპერატორის დარწმუნებას, საქართველოს სამეფო ტახტზე კვლავ აეყვანა მეფე ბაგრატიონთა დინასტიიდან.<sup>52</sup>

როგორც ისტორიკოსი ნიკოლოზ ბვოზდევნი ადნიშნავს, გრაფები შორონცოვი და ძოჩუბეი თავიანთ მემორანდუმში იმპერატორ პლექსანდრეს ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ერთპიროვნული შეერთება და ბაგრატიონთა ოჯახისათვის ტახტის წართმევა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არალეგიტიმური ქმედება იქნებოდა. მაგრამ იმპერატორმა, როგორც ვნახეთ, ყურად არ იღო ეს შეფონება, თუმცა, საქართველოს ანექსიისა და ბაგრატიონების ტახტის გაუქმებისთანავე რამოდენიმე პირს დიპლომატიური წრეებიდან დაავალა, რუსეთის სამეფო კარისადმი საქართველოს მეფეების მიერ გაგზავნილ წერილებსა და სხვა დოკუმენტებში მისი გადაწყვეტილების გამართლება ეძიათ. იმის დასამტკიცებლად, რომ პლექსანდრეს მიერ გადადგმული ნაბიჯი სამართლებრივი იყო, რუსეთის გვირგვინოსნებისადმი საქართველოს ხელისუფალთა ერთგულებისა და ლოიალურობის დამადასტურებელი განცხადებები, რომლებსაც მანამდე რუსეთის სამეფო კარი

ყურად არ იღებდა ან დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, ხელახლა გამოამზებურეს და ისე წარმოადგინეს, თითქოს მათში ლაპარაკი იყო არა დახმარების თხოვნაზე, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს მიწა-წყლის მიღების დაჟინებულ და გამუდმებულ ხვეწნა-მუდარაზე.<sup>53</sup> როგორც ჩვენც არაერთგზის აღვნიშნეთ, პატარა სამეფოებად დანაწევრებული საქართველოს მესვეურებს ერთმორწმუნე ძლევაგამოსილი რუსეთისათვის არაერთხელ უთხოვიათ დახმარება, სულ ცოტა, XVI საუკუნის ბოლოდან მაინც. მაგრამ არც ერთ მათგანს არასოდეს გამოუთქვამს ტახტზე უარის თქმისა და თავისი სამეფოს რუსეთთან შეერთების სურვილი. მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ დახმარების მიმართვებზე ააგო მთელი პროპაგანდისტული სქემა, რომლითაც “უტყუარად” ამტკიცებდა, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით განხორციელდა და, მეტიც, საუკუნეების წინ დაწყებული პროცესის ბუნებრივ დაგვირგვინებას წარმოადგენდა.<sup>54</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთმა დიდი პროპაგანდისტული სამუშაო ჩაატარა, რათა დასავლეთის სახელმწიფოების, ხოლო მოგვიანებით, მრავალი ისტორიკოსის წინაშეც თავისი ძალმომრეობა გაემართლებინა და პატარა ქვეყნის — საქართველოს სამეფოს ნამდვილი პოზიცია მიეჩქმალა. პრადა, როგორც ვნახეთ, ფაქტების დამახინჯების პროცესი უკვე იმპერატორ პავლეს მიერ ხელმოწერილი მანიფესტით დაიწყო და პლექსანდრეს მანიფესტში განმეორდა, რომელშიც იმპერატორი ამტკიცებდა, რომ რუსეთმა

საქართველოს შეერთებით კეთილშობილური ნაბიჯი გადადგა, რითაც ქართველების დაჟინებული თხოვნა შეასრულა.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-თახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა; მოგვიანებით, სულ რამდენიმე წელიწადში, იგივე ბედი ეწია დასავლეთ საქართველოს მცირე სამთავროებსაც, რომლებმაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, უარი თქვეს თავიანთ უფლება-უპირატესობაზე და რუსეთის იმპერიის უზენაესობა აღიარეს. მხოლოდ იმერეთის მეფე სოლომონ II-მ არ მოიხარა ქედი რუსეთის წინაშე და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ამაოდ: 1810 წელს იგი შეიპყრეს და ტყვედ ჩაიყვანეს ობილისში მაშინ, როდესაც მისი სამეფო რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. ამგვარად, 1810 წელს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველო, რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა. თავკასიის მთებისა და იქ მცხოვრები ხალხების დასამორჩილებლად რუს გენერლებს კიდევ ხანგრძლივი ომი და დიდი მსხვერპლის გაღება დასჭირდათ. სწორედ ამის გამო რუსეთში XIX საუკუნის სულ ცოტა რამოდენიმე ათეული წლის მანძილზე თავკასია ფრონტის წინა ხაზად ითვლებოდა, სადაც ცარიზმი თავისი რეჟიმის მოწინააღმდეგე ლიბერალებს აგზავნიდა საბრძოლველად. ცხადია, გადასახლების უმთავრეს ადგილად, სადაც ყველაზე მძიმე სასჯელს იხდიდნენ, კვლავაც ციმბირი ითვლებოდა, მაგრამ თავკასიამაც მოიპოვა „თბილი ციმბირის“ სახელი. თავკასიაში გადასახლებული მრავალი რუსი მოაზროვნე მოხიბლა ამ მხარემ, მოაჯადოვა მისი ბუნების

სილამაზემ, მათი ყურადღება მიიქცია იქაური ადათ-წესების ეგზოტიკურობამ. თავიანთ ნაწარმოებებში მათ ფართოდ გაუღეს კარი ადგილობრივი ზეპირსიტყვიერების სიუჟეტებსა და სხვა მასალას.

უნდა აღინიშნოს, რომ რომანტიზმის ეპოქიდან მოყოლებული რუსულ მწერლობაში თავი იჩინა ტავკასიის საინტერესო სახეცვალებამ; რუსმა მწერლებმა ამ მხარეში, მის თოვლიან მთებსა და მცხუნვარე ველებში, ამაყ ხალხებსა და უცნობ ენებში, უძველეს თქმულებებსა და მძლავრად ფესვგადგმულ ტრადიციებში აღმოსავლეთის მითოსს მიაკვლიეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ რომანტიკოსებისათვის, ხოლო მოგვიანებით ასევე მრავალი სხვა რუსი მწერლისათვის აქ, სამხრეთში იწყებოდა აღმოსავლეთი, აღმოსავლეთის სათავე აქ ეგულებოდათ. ამ თავისებურების ასახსნელად ვერ გამოგვადგება მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ცნება, ანუ ის შუასაუკუნეობრივი თვალსაზრისი, რომლის თანახმად, მართლმადიდებლური აღმოსავლეთი სწორედ ტავკასიიდან ციმბირამდე არსებულ სივრცეს გულისხმობდა; პეტრე ლიდის შემდგომი დროიდან ეს ცნება მხოლოდ საეკლესიო წრეებში იხმარებოდა და, ცხადია, მას არ იცნობდნენ საერო და მაღალი საზოგადოების ცხოვრების წესის მიმდევარი რუსი მწერლები. ამ მხრივ ვერ დაგვეხმარება ვერც რუსული გეოგრაფიული რუკების სპეციფიკური ორიენტაცია აღმოსავლეთის ან, უფრო იშვიათად — სამხრეთის მიმართულებით, რაც გაბატონებული იყო მოსკოველ კარტოგრაფებს შორის XVII საუკუნის ბოლომდე.<sup>55</sup>

ზემოაღნიშნული თავისებურების უკეთ ასახსნელად რუსებისა და ევროპელების ცნობიერებაში უკვე დამკვიდრებულ გეოგრაფიულ წარმოდგენებს უნდა მივმართოთ. მართლაც, იმდროინდელ ყოველ განათლებულ ადამიანს მიაჩნდა, რომ ევროპას აზიისაგან ტავკასიის მთაგრეხილი ჰყოფდა და, შესაბამისად, საქართველო აზიაში ეგულებოდათ. ამას მოწმობს პუშკინიც, რომელიც 1829 წელს ტავკასიის მთების გავლით ოზილისისაკენ მგზავრობისას წერდა: “ზადასვლა ევროპიდან აზიაში სულ უფრო საგრძნობი ხდება”.<sup>56</sup> იმავე პუშკინს თავის ერთ ცნობილ ლექსში სწორედ ტავკასიაში ეგულება “აზიის ხრიოკი სივრცეები”.<sup>57</sup>

ასეთივე შეხედულება ჰქონდა ამ საკითხზე არაერთ დასავლელ მოგზაურს, როგორც ამაში მათი დღიურები გვარწმუნებს. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე იულიუს ფონ ტლაპროტი 1807-1808 წლებში ტავკასიაში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა წინასიტყვაობაში აცხადებდა: “ტავკასია, რომელიც ძველი მსოფლიოს ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ და შეუსწავლელ მხარეებს განეკუთვნება, თავისი თოვლიანი მწვერვალებით ევროპას აზიისაგან ყოფს”.<sup>58</sup>

ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამს გერმანელი აგრონომი ბ.პ. პლექსანდრე პეტჰოლდტი 1863-1864 წლებში ტავკასიის სოფლის მეურნეობაზე მისი მივლინების ანგარიშში:

მინც ძავეკასიაში მგზავრობას გადაწყვეტს, უპირველესად ის უნდა ახსოვდეს, რომ ძავეკასია არა ევროპაში, არამედ აზიაში მდებარეობს...; რომ ადათ-წესები იმ ხალხებისა, რომლებსაც აქ შეხვდება და რომლებიც მასზე უდავოდ მოახდენენ შთაბეჭდილებას, არსებითად განსხვავდება ევროპულისაგან.<sup>59</sup>

ამგვარად, იმდროინდელი პეტერბურგელისა თუ მოსკოველისათვის (ისევე როგორც დასავლელი მოგზაურებისათვის) რუსეთის იმპერიის ახლად შემოერთებულ სამხრეთის მხარეებში უამრავი არარუსი და არასლავი ხალხების უჩვეულო და თავისებური ტრადიციები, ენები და ადათ-წესები, ან უფრო სწორად, მათი განსხვავებული ცხოვრების წესი აღმოსავლეთის ყველაზე უშორეს და მივარდნილ მხარეებში მცხოვრები ხალხების ეგზოტიკურობით ხასიათდებოდა და ამ ხალხებივით უჩვეულო და იდუმალი იყო.

თუ კარგად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ უკვე აღრეულ ევროპულ რომანტიზმში, უპირველესად — ბაირონის შემოქმედებაში — თავს იჩენს მისწრაფება, ზუსტი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, საზოგადოდ აღმოსავლურად ჩაეთვალიათ ნებისმიერი ქვეყანა, ხალხი და ადათ-წესები, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებული გემოვნებით დანერგილი ეგზოტიკურობის უდავოდ არამყარ ნორმებს შეესაბამებოდა; ბაირონმა თავის პოემებში მკითხველი ისეთ ქვეყნებში შეიყვანა, რომლებიც, მართალია, მეტწილად ევროპის სამხრეთში მდებარეობენ ან, ყოველ

შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთს არ სცილდებიან, მაგრამ ემოციური თვალსაზრისით, უცნაურ, განსხვავებულ, ეგზოტიკურ, ანუ, ერთი სიტყვით, აღმოსავლურ ქვეყნებად აღიქმებიან.

ამიტომაც, როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს იარაღით დაპყრობისა და ანექსიის შემდეგ რუსმა მწერლებმა ქართული თუ კავკასიური თემა აღმოაჩინეს, იგი აღმოსავლურ თემად გაიაზრეს. XIX საუკუნის ათიან წლებში რუსულ პრესაში აქა-იქ მოკრძალებით გაეღვებინ შემდეგ, ოციან წლებში იგი თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს ყველა პოლიტიკურ და ლიტერატურულ ჟურნალში, სადაც გამუდმებით ქვეყნდება ოფიცრების, მოგზაურების, მწერლების, პოეტების, სხვადასხვა მოხელის სამოგზაურო ჩანაწერები, შთაბეჭდილებები, მოგონებები, მოთხრობები, ანგარიშები, დღიურები, ესკიზები, ლექსები; რომელთა თემაა ბავკასია, მისი ბუნება, ხალხები, ენები, სამხედრო სტრატეგია, ადათ-წესები, ტრადიციები. ერთი სიტყვით, იმპერიის სამხრეთის ახალმა პროვინციამ რუს მოგზაურთა ყურადღება მიიპყრო, მკითხველთა ინტერესი გამოიწვია და, რაც მთავარია, მთელი XIX და XX საუკუნეების მანძილზე მრავალი ნიჭიერი რუსი პოეტისა და პროზაიკოსის შთაგონების წყაროდ იქცა. მათ ნაწარმოებებში ამბის განვითარებამ ბავკასიაში ხშირად საუცხოო შედეგი გამოიღო.

თუ ანექსიის შემდეგ ახალი სამყაროს — ბავკასიისა და განსაკუთრებით — საქართველოს აღმოჩენა რუს ინტელიგენციას ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას

აღუძრავდა, ქართველ ინტელიგენციას დიდი ხნის მანძილზე არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, თუ რამდენად ხელსაყრელი აღმოჩნდა საქართველოსათვის პრეკლე II-ის გადაწყვეტილება, 1783 წელს ხელი მოეწერა რუსეთთან მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატზე, რომელიც, მრავალი ქართველი მოაზროვნის თანახმად, იმთავითვე შეიცავდა შეერთების წინაპირობას. რუსეთის მიერ საქართველოს გაუთვალისწინებელი ანექსია, რითაც რუსეთმა უტიფრად გათელა ფეხქვეშ საქართველოს სამეფო კარის, თავადაზნაურობისა და მთელი ერის თხოვნა და იმედი, როგორც სახალხო აჯანყებებისა და სამხედრო პირთა შეთქმულებების მიზეზად იქცა, ასევე XIX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე ქართველი მოაზროვნეების ცხარე განსჯა-განხილვის საგანს წარტმოადგენდა. პირთი ნაწილის აზრით, პრეკლემ მცირე ბოროტება არჩია იმდენად, რამდენადაც 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამ საბოლოო ჯამში ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობა გადაარჩინა; მეორე ნაწილი კი ამტკიცებდა, რომ რუსეთი, ერთმორწმუნეობის მიუხედავად, საქართველოსათვის ისეთივე საშიში მტერი იყო, როგორც — სპარსეთი ან — ოსმალეთი. ამდენად, მეგობრობის ტრაქტატის დადების ნაცვლად, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა ანექსიამდე მიიყვანა და მისი ღირსება ფეხქვეშ გათელა, უკეთესი იქნებოდა, პრეკლეს მრავალრიცხოვან მტრებთან გამუდმებით ეწია ურთიერთობის კომპრომისული პოლიტიკის ფორმები. ალბათ, ამ კამათში ყველაზე ორიგინალური წვლილი ღიდ



პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს მიუძღვის, რომელიც 1839 წელს, სულ რაღაც ოცდაორი წლის ასაკში დაწერილ პოემაში “ბედი ქართლისა” ერთმანეთს უპირისპირებს ზემოაღნიშნულ ორ თვალსაზრისს, რაც ორ პიროვნებას შორის დიალოგის სახითაა წარმოდგენილი. ერთ მხარეს არის დამარცხებული და მაჰმადიანი მტრებისათვის წინააღმდეგობის უნარს მოკლებული ქართული ჯარის შემყურე მხცოვანი მეფე პრეკლე II (ისტორიული თვალსაზრისით, ეს ამბავი 1795 წელს ძრწანისის ბრძოლაში ქართველების სასტიკი დამარცხების შემდეგ არის წარმოდგენილი), რომელიც საქართველოს გადასარჩენად საჭიროდ მიიჩნევს თავისი სამეფოს ბედი ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიის მფარველობას მიანდოს. მეორე მხარეს არის მისი მსაჯული სოლომონ ლიონიძე, რომელიც არაა გამოგონილი პერსონაჟი; იგი ნამდვილად იყო პრეკლე II-ის კარის მსაჯული, რომელიც ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახელით მეფის არჩევანს თავის არგუმენტებს უპირისპირებს.

პრეკლე აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილებას ქართველთა სიკეთისათვის იღებს, მაგრამ მსაჯული შეახსენებს, რომ ქართველები დიდად განსხვავდებიან რუსებისაგან და თავს უბედურად იგრძნობენ, თუ თავისუფლებას დაკარგავენ და რუსეთის იმპერატორის გვირგვინს დაემორჩილებიან. ამ ორ პერსონაჟს შორის გამართული ვრცელი, მწყობრად ჩამოყალიბებული სჯა-კამათი ზოგჯერ საკმაოდ ცხარეცაა, თუმცა ახალგაზრდა ბარათაშვილი თავის პოემაში თავშეკავებულ, რაციონალურ, მიუკერ-

ძობელ მიდგომას ინარჩუნებს და არ ამჟღავნებს თავის პოზიციას ქრეკლე II-ის არჩევანის არც სასარგებლოდ და არც — წინააღმდეგ. მაგრამ იმ მგზნებარებაში, რომლითაც გამსჭვალულია სოლომონ მსაჯულის სიტყვები ქრეკლე მეფის არგუმენტების საპირისპიროდ, მის მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისში (“მაგრამ შენ, მეფევე, ვინ მოგცა ნება — / სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, / მისდევდე შენსა გულისკვეთებას / და უთრგუნვიდე თავისუფლებას?”)<sup>60</sup> და ნატიფ ირონიაში, რომლითაც სოლომონი თავის მეუღლეს ახალი დედაქალაქის, პეტერბურგის ოქროს გალიაში ქართველი დიდებულების ცხოვრების პერსპექტივას აღუწერს (“ზელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად, / და დედოფალსა დედისა ნაცვლად; / არ მოგაკლდებათ თავისუფლება, / განცხრომილება, ფუფუნეულება / მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!”)<sup>61</sup> აშკარად იგრძნობა, რომ პოეტი მსაჯულის თვალსაზრისს იზიარებს, თუმცა ამას ღიად არ აცხადებს. ბარათაშვილის მიერ გამოვლენილ თავშეკავებაში შესაძლოა ტანჯვით მოპოვებული გულგრილობა დავინახოთ; მაგრამ, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ წინაშეა განსჯაზე დამყარებული შეგუება ბედთან, იძულებული მორჩილება განგების წინაშე, რომელიც, ღრმად მორწმუნე პოეტის აზრით, ლვთის ნებაა და რომლის მიზნები კაცთათვის ამოუცნობია.

მერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს საქართველოსადმი ბარათაშვილის უზადო სიყვარულში ბზარის გაჩენის, უეცარი გაცხარებისა თუ აღგზნების შედეგია. იგი თავის სამ-

შობლოში განვითარებულ უარყოფით მოვლენებს გარდუვალ და რწმენით მისაღებ განსაცდელად მიიჩნევს. მეტიც, ზოგჯერ იმასაც ახერხებს, რომ ამ მოვლენებს გონების თვალთ შებედოს, რაც ხშირად ზედმეტი სიფრთხილისა და, ამდენად, ინერტულობისა და უმოქმედობისაკენ უბიძგებს. მიუხედავად ამისა, ლექსში “საფლავი მეფის ირაკლისა”, რომელიც “ბედი ქართლისას” შექმნიდან სამი წლის შემდეგ დაიწერა და ამ პოემის თავისებურ ეპილოგს წარმოადგენს, ბარათაშვილი აღარ ამჟღავნებს ყოყმანს, ორჭოფობას, აღარ უპირისპირდება პრორუსულ არჩევანს, პირიქით, ემხრობა და იზიარებს პრეკლეს გადაწყვეტილებას (“აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძამაგსა / და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!”),<sup>62</sup> თუმცა ამას ყოველგვარი ენთუზიაზმის ან თუნდაც მცირეოდენი სიხარულის გარეშე აკეთებს; უბრალოდ, ერთთავად თავშეკავებულად დებულობს მომხდარს. აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი მიხეილ ბარათაშვილს ეძღვნება (თანხვედრა პოეტის გვართან სრულიად შემთხვევითია), რომელიც 1724 წელს ვახტანგ VI-ის ამაღლასთან ერთად რუსეთში გადასახლებული ერთ-ერთი ოჯახის შთამომავალი იყო და რომლის გვარი რუსულ ყაიდზე — ბარატაევ — გადაკეთდა. იგი რუსეთში დაიბადა 1784 წელს, იყო ისტორიკოსი და ნუმისმატი, რომელიც 1826 წელს — ეს ფაქტი ჩვენთვის ერთობ საგულისხმოა — 1825 წლის დეკაბრისტების შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა მოგვიანებით მთლიანად მოუხსნეს ეს ბრალდება. შესაძლოა ამ პატრიოტს

გულისხმობს პოეტი, როდესაც თავისი ლექსის მესამე სტროფში ამბობს, რომ უამთ-ვითარებით გარდახვეწილ საქართველოს შვილების “ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული / უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული”.<sup>63</sup> როგორც ჩანს, ბარათაშვილს მიაჩნდა, რომ გადახვეწილ ქართველებს დესპოტურ რუსეთის იმპერიაში არა მხოლოდ თავიანთი ამბოხი და თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთება უნდა დაემკვიდრებინათ, არამედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როგორც იმავე მესამე სტროფში აცხადებს, აქ “განათლება” უნდა მოეტანათ. ამგვარად, ჩვენი აზრით, ბარათაშვილი ხატოვნად ასახავს და მხარს უჭერს საქართველოსა და რუსეთს შორის არა პოლიტიკურ, არამედ კულტურულ კავშირს. შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ სიტყვაში “განათლება”, მისი ვრცელი, შეუზღუდავი შინაარსიდან გამომდინარე, ბარათაშვილი გულისხმობს თავისი ქვეყნის კულტურულ კავშირს არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ აგრეთვე დიდ ევროპულ კულტურასთან, თუმცა თვით ლექსში ამ მოსაზრების დამადასტურებელი მყარი არგუმენტები არ გვევლება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავიზიარებთ იმ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად პოეტი საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურულ და არა პოლიტიკურ კავშირს მიესალმებოდა, იმ თეზისაგან განსხვავებით, რომელსაც იგი ამ ლექსში იცავს, მესამე სტროფში აშკარად უპირისპირდება პირეკლეს მიერ რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატის დადების გადაწყვეტილებას და ამდენად, სულ

მცირე, თავისი ქვეყნის მფარველობის მინდობას დესპოტიური რუსეთისათვის. ასეა თუ ისე, საბოლოოდ მაინც სადავოდ არ მიგვაჩნია, რომ ლექსში “საფლავი მეფის ირაკლისა” პოეტი ძირითადად მხარს უჭერს მხცოვან მეფე პრეკლეს მიერ მიღებულ პრორუსულ გადაწყვეტილებას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მესამე სტროფის გამოკლებით, რომელიც უმეტესწილად წინააღმდეგობრივი და რამდენადმე ბუნდოვანია. ამ სტროფის ასახსნელად უნდა შევნიშნოთ, რომ 1842 წელს ბარათაშვილმა დაწერა კიდევ ერთი ლექსი — “სუმბული და მწირი”, სადაც მშობლიურ მიწას მოცილებულ და “დიდ-მშვენიერ” სახლში დატყვევებულ სუმბულს (აქ პოეტი კიდევ ერთხელ მიმართავს ოქროს გალიის სახეს, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, “ბედი ქართლისა”-ში გამოიყენა), რომელსაც ცივ ნიავსაც არ აკარებენ, აღარა აქვს უწინდელი “ფეროვნება”. ამ ყვავილში შესაძლოა, დავინახოთ მეტაფორა საქართველოსი, რომელსაც, მართალია, ვეღარ ერჩიან მუსულმანი მტრები, მაგრამ რუსეთის იმპერიაში თუ სული არ ეხუთება, თავს დაჩაგრულად გრძნობს და ჭკნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც “საფლავი მეფის ირაკლისა”, ასევე “სუმბული და მწირი” შესაძლებელია ჩავთვალოთ “ბედი ქართლისა”-ს ორ ნამდვილ ეპილოგად, თუმცა მათგან ურთიერთსაწინააღმდეგოდ დასკვნა გამომდინარეობს.

ქოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოს ანექსია 1801 წელს პატარა ქვეყნის მიმართ დიდი ქვეყნის შეუწყნარებელი ძალმომრეობის გამოვლინება იყო.

მაგრამ ალბათ სწორი იქნება თუ აქვე დავსძენთ, რომ ამ ქმედებაზე პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ან მხოლოდ მეტნაკლებად კონსერვატორ იმპერატორს (პავლე I-ს) ან მხოლოდ მეტნაკლებად ლიბერალურად განწყობილ იმპერატორს (პლექსანდრე I-ს), რადგანაც რუსეთის თვით ყველაზე უფრო ლიბერალურ წრეებსაც კი მიაჩნდათ, რომ საქართველო და ზოგადად, ბავკასიის ქვეყნები ბედის ანაბარა არ უნდა მიეტოვებინათ, ვინაიდან მარტონი ვერ გაუმკლავდებოდნენ ძლიერ მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებს, რომლებიც მათ დაიპყრობდნენ, რის შედეგადაც რუსეთის სამხრეთ საზღვრებს ოსმალეთის ან სპარსეთის მრავალრიცხოვანი ჯარების მუდმივი საფრთხე დაემუქრებოდაო. როგორც ვნახეთ, გრაფებს — პლექსანდრე შორონცოვსა და მიქტორ ძოჩუბეისაც კი, მიუხედავად იმისა, რომ “იზოლაციონიზმის” მომხრენი იყვნენ, თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ საქართველოს ბედის ამარა მიტოვება და იქიდან რუსეთის ჯარის გაყვანა; უბრალოდ, მათი აზრით, საქართველოზე რუსეთის სრული კონტროლისათვის 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაც სრულიად საკმარისი იყო, რაც ამავე დროს შესაძლებელს გახდიდა საერთაშორისო სამართლის, ანუ ხალხთა სამართლის ნორმების დაცვას და რაც ანექსიის შემთხვევაში შეილახებოდა.

საუკუნის მეოთხედის შემდეგ რუსეთის იმპერიის დამპყრობლური მისწრაფება თვით დეკაბრისტებმაც კი გაიზიარეს, რომლებიც, როგორც ცნობილია, რუსეთის სა-

ზოგადოების ყველაზე უფრო ლიბერალურ და დემოკრატიულ ნაწილს განეკუთვნებოდნენ. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, რარიგ მოურიდებლად დააყენა რუსეთის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ მეზობლად მცხოვრები არარუსი ხალხების ტერიტორიული უფლებების საკითხი თავის “რუსულ სამართალში” თვით პავლე პესტელმა (თუმცა იგივე შეიძლებოდა გვეთქვა მრავალ სხვა რუს მოღვაწეზე) — დეკაბრისტების ერთ-ერთმა მეთაურმა, ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოვლენილი სიმამაცისა და გულადობისათვის მრავალგზის დაჯილდოებულმა, არაერთი საიდუმლო საზოგადოების წევრმა, სამხრეთის საზოგადოების დამფუძნებელმა. ამ არსებითად რესპუბლიკურ პოლიტიკურ-კონსტიტუციურ პროგრამაში, რომელიც ცარიზმის დამარცხების შემთხვევაში დროებითი ხელისუფლებისათვის უნდა შეეთავაზებინა განსახილველად, პესტელი აღნიშნავდა მრავალეროვანი სახელმწიფოს საზღვრების დადგენის სირთულეს და ყურადღებას ამახვილებდა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც წარმოიშვებოდა, ერთი მხრივ, დიდ სახელმწიფოებში შემავალ და თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე ზოგიერთ მცირე ერსა, და მეორე მხრივ, ისეთი მძლავრი ქვეყნის ინტერესებს შორის, როგორიც იყო რუსეთი, რომელსაც საიმედოდ უნდა ჰქონოდა დაცული საზღვრები და იმავდროულად უნდა აღეკვეთა ამ პატარა ქვეყნების დაპყრობა სხვა დიდი, განსაკუთრებით — მაჰმადიანი სახელმწიფოების მიერ, რითაც ისინი უფრო გაძლიერდებოდნენ და კიდევ უფრო საშიში გახდებოდნენ

რუსეთისათვის. პესტელი აცხადებდა, რომ დამოუკიდებლობის უფლება მხოლოდ იმ ქვეყნებს უნდა ჰქონოდათ, რომლებიც მის შენარჩუნებას შეძლებდნენ, სხვა შემთხვევაში მათთვისვე აჯობებდა რუსეთთან შეერთება, რომელიც მათაც დაიცავდა და თავის საზღვრებსაც განიმტკიცებდა.<sup>64</sup> ბერძოდ, პესტელი ამტკიცებდა, რომ კავკასიელ ხალხებს არ შეეძლოთ თავის დაცვა მძლავრი მეზობელი ქვეყნებისაგან — ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთისაგან, და ამდენად ყველა მათგანი რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილებინა, რითაც მთელს ამ მხარეში მშვიდობას უზრუნველყოფდა.<sup>65</sup>

ამგვარად, XIX საუკუნის პირველი ათეული წლების რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში როგორც იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხებისადმი, ასევე მოსაზღვრე მცირე ქვეყნებისადმი დამპყრობლური და იმპერიული დამოკიდებულება იყო გაბატონებული. ეს ითქმის როგორც ცარიტულ და სხვა კონსერვატიულ, ასევე ლიბერალურ თუ ლამის რევოლუციურ წრეებზე დეკაბრისტების ჩათვლით. შეიძლება დავსძინოთ, რომ დაპყრობა-ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობის ამგვარ იდეას მხურვალედ იზიარებდნენ როგორც ჯარში მომსახურე მოაზროვნეები, ასევე რუსული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის — მრავალი ლიბერალურად განწყობილი მწერალი, პუშკინის ჩათვლით, რომელმაც თავისი ზემოხსენებული პოემის — “ბავკასიის ტყვე” — ეპილოგში ხოტბაც კი შეასხა რუსი გენერლების კოლონიალისტურ ომს ბავკასიაში. მართალია, ზოგიერთი მოაზროვნე არ



თანაუგრძნობდა პუშკინის აღტაცებას რუსი ჯარის ძალადობით (“*„მ, პოტლიარევსკი,“<sup>66</sup> ბავკასიის შოლტო! / სადაც კი გაჩნდი ელვად და მეხად, / იქ შენი მისვლა შავი ჭირივით, / აცამტვერებდა და სპობდა ტომებს!”*)<sup>67</sup> და აკრიტიკებდა მას ხელისუფლების წინაშე მლიქვნელობისა და ქედის მოხრისათვის (პოეტი და კრიტიკოსი პეტრე ვიაზემსკი, სხვათა შორის, პუშკინის მეგობარი, მას იმაში ადანაშაულებდა, რომ “სისხლით შებღალა თავისი პოემის ბოლო სტრიქონები”),<sup>68</sup> მაგრამ ასეთი ადამიანები იშვიათობას წარმოადგენდნენ და, ცხადია, ისინი ვერ აღუდგებოდნენ წინ რუსეთის საზოგადოებაში გამეფებულ საერთო სულისკვეთებას.

ჩვენს ნაშრომში, ყველა ხელმისაწვდომი წყაროს ანალიზის საფუძველზე, შევეცადეთ გვეჩვენებინა მოვლენათა განვითარების რთული გზა ჯერ 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ტრაქტატამდე, შემდეგ კი – რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიამდე. ბერძოდ, რუსეთის ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისის გაცნობისას ნათელვყავით, რომ დიდი რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ბიორგი XII-მ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პირობებით ითხოვა, რომლებიც, სხვათა შორის, რატიფიცირებული იყო პავლე I-ის დიპლომატიური ნოტიო და რომლებიც უპირველესად ითვალისწინებდა საქართველოს ტახტზე ბაგრატიონებთა დინასტიის შენარჩუნებასა და ამ ქვეყნის მართვა-განმგებლობას ამავე დინასტიის მიერ. ამასთანავე, შესაძლებლად

მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ისტორიული ფაქტების ობიექტურ მიზეზებზე მეტად საქართველოს ბედი ალბათ რუსეთში გაბატონებულმა მძლავრმა იმპერიულმა სულსკვეთებამ განაპირობა. ბიორგი XII-მ დიდ ერთმორწმუნე რუსეთს მიანდო თავისი სამეფოს პრობლემების მოგვარება, მაგრამ ვერ გაითვალისწინა თავისი ძლევამოსილი მეზობლის ჰეგემონისტური მისწრაფებები, რომელმაც შემდგომ მთელი სამხრეთ ტავკასია დაიპყრო და, ამავე დროს თავისი ჯარები აღმოსავლეთ აზიისკენაც დაძრა, სადაც XIX საუკუნის განმავლობაში დიდ ტერიტორიულ წარმატებას მიაღწია.

<sup>1</sup> ტ. რუხაძე, *ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს)*, თბილისი 1960, გვ. 136-146.

<sup>2</sup> იქვე გვ. 144. აგრეთვე: პ. ბეახარია, *ბარამულანდამანი, წიგნში: ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან*, I, თბილისი 1995, გვ. 145-169. ტ. რუხაძის აზრით, მენატაშვილისეულ ვარიანტში ზოგიერთი ელემენტი აღებულია აგრეთვე სპარსულიდან კლასიკური 16-მარცვლიანი რუსთველური საზომით თარგმნილი პოემიდან "ზარამგულიჯანიანი".

<sup>3</sup> ფრანგული თხზულების *Le voyageur françois, ou La connoissance de l'ancien et du nouveau monde, mis au jour par m. l'abbé Delaporte*

ტომების გამოქვეყნება 1772 წელს დაიწყო და რამდენიმე წლის შემდეგ უკვე თარგმნილი იყო რუსულად.

<sup>4</sup> *Всемирный путешественник, или познание старого и нового света, то есть описание всех по сие время известных земель в четырех частях света, изданное Господином Аббатом де ла Порт, Санкт-Петербург 1816, გვ. 85.* ჰველა შემდგომი ციტატა, თუ სხვა წყარო არაა მითითებული, აღებულია ამ წიგნიდან.

<sup>5</sup> როგორც ჩანს, მისი წინაპარი იყო ბურნაშ-ბირეი, მენგლი-ბირეის ძე, შირიმის ხანი, რომელმაც XVI საუკუნეში ერთგულება აღუთქვა მეფე ივანე IV-ს. შდრ.: ბ. ბ. ბერულავა, *იქვე*, გვ. 132-133.

<sup>6</sup> *Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное пребывающим при его высочестве царе карталинском и кахетинском Ираклии Теймуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786, Курск 1793, გვ. 4.* ჰველა დამოწმებული ციტატა აღებულია ამ წიგნიდან, თუ სხვა წყარო არაა მითითებული.

<sup>7</sup> С. С. Лекишвили, *Евгений Болховитинов и вопросы древнегрузинской культуры и истории*, წიგნში: *Памятники культуры. Новые открытия*, Ежегодник 1983, Ленинград 1985, გვ. 33.

<sup>8</sup> *იქვე*, გვ. 33-34.

<sup>9</sup> P. Avery, G. Hambly, C. Melville (eds.), *The Cambridge History of Iran*, 7, Cambridge 1991, გვ. 329.

<sup>10</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 76-77.

<sup>11</sup> *იქვე*, გვ. 80-81.

- <sup>12</sup> *იქვე*, გვ. 89-91.
- <sup>13</sup> *იქვე*, გვ. 85-89.
- <sup>14</sup> N.K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 69.
- <sup>15</sup> A. A. Цагарели, *იქვე*, გვ. 101.
- <sup>16</sup> *იქვე*, გვ. 104-105.
- <sup>17</sup> З. Авалов, *იქვე*, გვ. 161.
- <sup>18</sup> D. M. Lang, *იქვე*, გვ. 223.
- <sup>19</sup> R. E. McGrew, *Paul I of Russia 1754-1801*, Oxford 1992, გვ. 282-283.
- <sup>20</sup> N.K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 75.
- <sup>21</sup> A. A. Цагарели, *იქვე*, გვ. 160-169.
- <sup>22</sup> ბიორგი XII სიცოცხლეში ბიორგი XIII-დ მოიხსენიებოდა, ვინაიდან საქართველოს ისტორია იცნობს ქართლის მეფე ბიორგი XI-ს, რომელიც ორჯერ გამეფდა: პირველად – 1676 წელს, იმ დრომდე, ვიდრე მას ძახეთის მეფე პრეკლე I გააძევებდა; მეორედ – დაუხწრებლად, 1703-1709 წლებში, როდესაც სპარსეთის ჯარში მსახურობდა. ამ ბოლო დროს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციით, ბიორგი XII-დ პრეკლე II-ის შვილი მოიხსენიება.
- <sup>23</sup> პრეკლე II-ს თავისი ძის – ბიორგის წინაშე ამ განწესების გამო თითქოს თავი უმართლებია და უთქვამს, მასზე ხელის მოწერა ღარეჯანმა მაიძულაო, და დაპირებია, გავაუქმებო, მაგრამ ველარ მოასწრო,

ვინაიდან ამ ამბის შემდეგ მალე გარდაიცვალა. შდრ. Н. Дубровин, *Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России*, Санкт-Петербург 1897, გვ. 53-54.

<sup>24</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 204-205.

<sup>25</sup> А. Берже (под ред.), *Акты собранные Кавказской Археографической комиссией*, I, Тифлис 1866, გვ. 200-203.

<sup>26</sup> მ. ლუმბაძე, *ქართლ-ქახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება*, წიგნში: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, იქვე, გვ. 807.

<sup>27</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 181-182.

<sup>28</sup> R. E. McGrew, *იქვე*, გვ. 283.

<sup>29</sup> Б. В. Виноградов, *Кавказ в политике Государя Павла I (1796-1801 гг.)*, Армавир-Славянск-на-Кубани 1999, გვ. 32. ბგრეთვე: В. В. Дегоев, *Внешняя политика Павла I: патология или преемственность?* წიგნში: *Старый Кирибей, Павловский гобелен*, Москва 2001, გვ. 62-63.

<sup>30</sup> D. M. Lang, *იქვე*, გვ. 230.

<sup>31</sup> И. Джавахов, *Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке*, Санкт-Петербург 1906, გვ. 10.

<sup>32</sup> П.Г. Бутков, *იქვე*, часть III, Санкт-Петербург 1869, გვ. 326.

<sup>33</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 287. რუსი ისტორიკოსები 1801 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთების გასამართლებლად, ჩვეულებრივ

ბიორგი XII-ის თხოვნის მხოლოდ პირველ ნაწილს იმოწმებენ (“უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი... მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა”), მაგრამ არ მოჰყავთ წერილის მეორე ნაწილი, სადაც პავლეს ქართველი მეფე საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის დამტკიცების წერილობით გარანტიას თხოვდა. მოკლედ, რუსული ისტორიოგრაფია ამ საკითხის გაშუქებისას ყოველთვის შეგნებულად ამახინჯებდა ოფიციალურ დოკუმენტებს იმ ერთადერთი მიზნით, რათა დაემტკიცებინა, რომ რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსიით საერთაშორისო სამართალი კი არ დაარღვია, არამედ, უბრალოდ, ბიორგი XII-ის მკაფიოდ გამოთქმული თხოვნა აღასრულა. შდრ.: Н. Дубровин, *Закавказье от 1803-1806 года*, Санкт-Петербург 1866, გვ. 1-30. მათგან განსხვავებით, ქართველი ისტორიკოსები სოციალიზმის მძიმე წლებშიც კი ბედავდნენ თხოვნის მეორე ნაწილის ციტირებას. შდრ.: მ. ღუმბაძე, *ქართლ-ძაგეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება*, იქვე, გვ. 810.

<sup>34</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 292-294.

<sup>35</sup> როგორც ჩანს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებსა და რუსებს შორის იმგვარი გაუგებრობა მომხდარიყო, რომელზეც მოგვიტხრობს მ. ხოდარკოვსკი [M. Khodarkovsky] თავის წიგნში *Russia's Steppe Frontier. The Making of a Colonial Empire, 1500-1800*, Bloomington and Indianapolis 2002, გვ. 51-56. ამერიკელი მეცნიერის აზრით, რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები და სტეპების ხალხები ან შირიმის თათრები სხვადასხვაგვარად იაზრებდნენ მათ მიერ ხელმოწერილ სამშვიდობო თუ სამხედრო ხელშეკრულებებს. ტერძოდ, რუსებს მიაჩნდათ, რომ ამ დოკუმენტებით არაქრისტიანი ხალხებისაგან მორჩილების ოფიციალური პირობა მიიღეს, მაშინ, როდესაც სტეპების ხალხებსათვის ეს ხელშეკრულებები სულაც არ მოასწავებდა დამოუკიდებლობის დაკარგვას. მართი

და იგივე იურიდიული დოკუმენტის სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას ისეთი პარადოქსული სახეც შეეძლო მიეღო, რომ ზოგჯერ სახანოების დიპლომატიური წარმომადგენლები მოსკოვში ჩასვლისას გაოცებულები რჩებოდნენ, როდესაც ხედავდნენ, რომ რუსი სახელმწიფო მოხელეები მათ ხანს არა დამოუკიდებელი ქვეყნის მესვეურად, არამედ რუსეთის მეფის ქვეშევრდომად თვლიდნენ. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ანალოგიური გაუგებრობა მომხდარიყო საქართველოსა და რუსეთს შორის. Oუ გავითვალისწინებთ საუკუნეების განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ კულტურულ ურთიერთობას, რაზეც ვრცლად გვქონდა საუბარი ჩვენს ნაშრომში, წარმოუდგენელია ვივარაუდოთ, თითქოს, ერთი მხრივ, ქართველებს ეგონათ, რომ რუსეთის იმპერიაში, რუსეთის იმპერატორის უზენაესობის აღიარების პირობებში რაიმე სახით თავიანთი სამეფოს დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ, მეორე მხრივ, გრაფ როსტოპჩინს კი, პირიქით, მიაჩნდა, რომ თექვსმეტმუხლიანი დიპლომატიური ნოტა რუსეთის მიერ ქართლ-თახეთის სამეფოს ანექსიას ნიშნავდა. ასეთი ვარაუდი გაუმართლებელია იმის გამოც, რომ საკვლევი დოკუმენტი არანაირად არ იძლევა ორაზროვნად გააზრების საბაბს, საქართველოს წარმომადგენლებს კი ასევე შეუძლებელია რუსული ენის არცოდნა დავწამოთ. ალბათ გამორიცხული არ არის სხვაგვარი ჰიპოთეზებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, ანექსიის მოულოდნელი გადაწყვეტილება მაინც პირადად იმპერატორმა პავლემ მიიღო, ხოლო მოგვიანებით, როგორც ვნახავთ, შესაბამისად მოიქცნენ რუსეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც.

<sup>36</sup> П. Г. Бутков, *იქვე*, часть III, გვ. 327-328.

<sup>37</sup> А. Берже, *იქვე*, გვ. 179-181. რუსი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებმაც იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება ბიორგი XII-ის თხოვნით მოხდა, ოფიციალური დოკუმენტები დამალეს და, შესაბამისად, უაღრესად ტენ-

დენციურად გააშუქეს ისტორიული ფაქტები, ქართველი ისტორიკოსები ყოველთვის იმოწმებდნენ ბიორგი XII-ის თხოვნასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიდანაც ადვილია ჰეშმარიტების დადგენა. მაგ., М. В. Хелтуплишвили, *Вступление Грузии в состав Российской империи*, Кутаис 1901. ანექსიის საკითხს თავს არიდებს ჩვეულებრივ სკრუპულოზური ევგენი ბოლხოვიტინოვი, რომელიც თავის ზემოხსენებულ ნაშრომში (*Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии*, გვ. 43-44) ამ საკითხზე მსჯელობას სახელდახელოდ ამთავრებს იმით, რომ ანექსიის შესახებ ხელისუფლების თვალსაზრისს იმეორებს, რომელიც შემდგომ რუსმა ისტორიკოსებმა გაითავისეს და რომლის თანახმად, როდესაც ბიორგი XII-მ თავისი აღსასრულის მოახლოება იგრძნო, დიდებულებისა და ხალხის თანხმობით, რუსეთის ტახტის ჰეშმეგრდომობა ითხოვა; მაგრამ გაკვრითაც კი არ არის ნახსენები ქართველ მეფის მიერ წამოყენებული სათანადო პირობები.

<sup>38</sup> П. Г. Бутков, *იქვე*, часть III, გვ. 326.

<sup>39</sup> სახელმწიფო საბჭოს იმ დღის სხდომის ოქმში ზედმიწევნით ზუსტად არის ჩამოთვლილი ყოველი ხიფათი, რაც ქართლ-თახეთის სამეფოს ემუქრებოდა (დაქუცმაცება, მოსაზღვრე მუსულმანი ჰეყენების თავდასხმა და ბავკასიის მთიელი მაჰმადიანი ტომების თარეში და, შესაბამისად, საფრთხე რუსეთის იმპერიის სამხრეთის საზღვრებისათვის), რომლის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ იქნა მიჩნეული საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან. *Архив Государственного Совета*, II, 1796-1801, Санкт-Петербург 1888, გვ. 881-882.

<sup>40</sup> П. Г. Бутков, *იქვე*, часть III, გვ. 326. მანიფესტის თარგმანისათვის იხ. ღზნაროიი.



<sup>41</sup> П. Г. Бутков, *იქვე*, *часть II*, გვ. 466-467.

<sup>42</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 226-240.

<sup>43</sup> Б. В. Виноградов, *იქვე*, გვ. 96.

<sup>44</sup> შეშმარიტად სახალხო აჯანყებებმა იფეთქეს 1804 წელს – მთიულეთში, 1810 წელს – იმერეთში, 1811-1812 წლებში – ტახეთში, 1819-1820 წლებში – იმერეთსა და ბურიაში, რომლებიც სისხლში ჩაახშო რუსეთის ჯარმა. შდრ.: ღ. ბოგოლაძე, *ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ოცეულში*, წიგნში: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, *იქვე*, გვ. 915-936. იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი, *იქვე*, გვ. 325-491.

<sup>45</sup> З. Авалов, *იქვე*, გვ. 229-233.

<sup>46</sup> D. M. Lang, *იქვე*, გვ. 250. იხ. აგრეთვე M. Atkin, *The Pragmatic Diplomacy of Paul I: Russia's Relations with Asia, 1796-1801*, ჟრნ.: "Slavic Review", 1979, 38/2, გვ. 60-74; მისივე, *Russian Expansion in the Caucasus to 1813*, წიგნში: M. Rywkin (ed.), *Russian Colonial Expansion to 1917*, London and New York 1988, გვ. 139-187 და А. В. Фадеев, *Россия и Кавказ первой трети XIX века*, Москва 1960, გვ. 106-109.

<sup>47</sup> მანიფესტის თარგმანისათვის იხ. ღანბრთი.

<sup>48</sup> А. Берже, *იქვე*, გვ. 432-433. უკელა შემდგომი ციტატა აღებულია აქედან, თუ სხვა წყარო არაა მითითებული.

<sup>49</sup> ბასაგები დიპლომატიური მოსაზრებით, სამი ქართველი დესპანი რუსეთის იმპერიასთან საქართველოს არა "შეერთებაზე", არამედ მასში "მიღებაზე" [принятие-ზე] ლაპარაკობს.

<sup>50</sup> А. А. Цагарели, *იქვე*, გვ. 300-301.

<sup>51</sup> *Письмо кн. Соломона Тарханова к кн. Цицианову от 1-го июня 1803 года*, წიგნში: А. Берже (под ред.), *Акты собранные Кавказской Археографической комиссией*, II, Тифлис 1868, გვ. 304.

<sup>52</sup> *იქვე*, გვ. 305.

<sup>53</sup> N.K. Gvosdev, *იქვე*, გვ. 96-97.

<sup>54</sup> *იქვე*. რუსულ ისტორიოგრაფიაში დღემდე საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, საქართველოს ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ, თუ აუცილებელი არაა, ყოველ შემთხვევაში – სასიკეთო მაინც იყო. ამ ბოლო დროს რუს ისტორიკოსებს ანექსიის გასამართლებელ არგუმენტად აღარ მოჰყავთ საქართველოს დაცვა სამეფო ოჯახში არსებული დაპირისპირებისა თუ მეზობელი მუსულმანი ქვეყნების მიერ დაპყრობის საფრთხისაგან; სამაგიეროდ, აცხადებენ, რომ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, სახელმწიფო მექანიზმი ველარ იფუნქციონირებდა, თუ რუსეთი, ბიორგი XII-ის თხოვნის შესაბამისად, საქართველოში ადმინისტრაციული ფუნქციის განგრძობაზე მემკვიდრეობით უფლებას შეინარჩუნებდა. იხ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის ნაშრომი – *Национальные окраины Российской Империи. Становление и развитие системы управления*, Москва 1997, გვ. 248. აღსანიშნავია, რომ სოციალიზმის ეპოქაში ყველაზე სერიოზული ქართველი ისტორიკოსებიც კი ვერ ახერხებდნენ, არ აღენიშნათ ის “პროგრესული” მნიშვნელობა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა. იხ. ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის*. შტრ.: “შნათობი”, ნ, 1954, გვ. 130.

<sup>55</sup> P. Licini, *La Moscovia rappresentata*, Milano 1988, გვ. 19.

<sup>56</sup> А. С. Пушкин, *Путешествие в Арзрут во время похода 1829*, წიგნში: *Полное собрание сочинений в десяти томах*, VI, Москва-Ленинград 1949, გვ. 643.

<sup>57</sup> А. С. Пушкин, *Я видел Азии бесплодные пределы...* წიგნში: А. С. Пушкин, *იქვე*, II, გვ. 12.

<sup>58</sup> J. von Klaproth, *Reise nach Ossetien*, წიგნში: J. Breuste, B. Malich (Hrsg.), *Reisen im Kaukasus*, Leipzig 1987, გვ. 17.

<sup>59</sup> G. P. A. Petzholdt, *Die Art und Weise des Reisens im Kaukasus*, წიგნში: J. Breuste, B. Malich (Hrsg.), *იქვე*, გვ. 117.

<sup>60</sup> ნ. ბარათაშვილი, *ბედი ქართლისა*, მის კრებულში: *მზხულე-ბანი*, თბილისი 1968, გვ. 324-327.

<sup>61</sup> ნ. ბარათაშვილი, *ბედი ქართლისა*, *იქვე*, გვ. 366-370.

<sup>62</sup> ნ. ბარათაშვილი, *საფლავი მეფის ირაკლისა*, *იქვე*, გვ. 123.

<sup>63</sup> *იქვე*, გვ. 123.

<sup>64</sup> *Русская Правда. (Конституционный проект П. И. Пестеля), 1825. г.*, წიგნში: С. Бертолисси, А. Н. Сахаров (под ред.), *Конституционные проекты в России, XVIII-начало XX в.*, Москва 2000, გვ. 490-493. სათაური “რუსული სამართალი” (*Русская правда*) მომდინარეობს ძველი ანალოგიური სახელწოდებიდან სლავური სამართლისა, რომლის ავთენტურობაზე, სხვათა შორის, მეცნიერთა შორის არ არის ერთსულოვნება. პესტელის პოლიტიკურ-კონსტიტუციური პროექტის შესახებ განსაკუთრებით აღსანიშნავია თავი *Ideologist*

*of the Decembrist Movement: Russian Justice*, წიგნში: P. O'Meara, *The Decembrist Pavel Pestel. Russia's first Republican*, Houndmills 2003, გვ. 72-88.

<sup>65</sup> *იქვე*, გვ. 495.

<sup>66</sup> პ. ს. პოტლიარევსკი (1782-1852), ღ. ტიტოანოვი (1754-1806) და ა. პ. შროლოვი (1777-1861) – ძავკასიის დამპყრობელი სამი გენერალი, რომელთაც ბუშკინი ხოტბას ასხამს თავის პოემაში.

<sup>67</sup> А. С. Пушкин, *Кавказский пленник*, წიგნში: *იქვე*, IV, გვ. 130.

<sup>68</sup> *Князь Вяземский Тургеньеву*, წიგნში: *Остафьевский архив князей Вяземских*, II, Санкт-Петербург 1899, გვ. 274-275.



## დანართი

1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ტრაქტატი იტალიურად მალე ითარგმნა და *Storia dell'anno MDCCLXXXIII* –ში (“1783 წლის ისტორია”) გამოქვეყნდა. ეს “უაღრესად ინფორმირებული” წელიწადეული, როგორც მას მარიო ინფელიზე უწოდებს,<sup>1</sup> ვენეციაში, ხოლო იმ ტომამდე, რომელშიც 1766 წლის ამბებია გადმოცემული, ამსტერდამში იბეჭდებოდა. 1730 წლიდან 1811 წლამდე მასში ქვეყნდებოდა “წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა მხარიდან მიღებული ცნობები” უმთავრესი პოლიტიკური მოვლენების შესახებ.<sup>2</sup> 1783 წლისადმი მიძღვნილ ტომში, სხვა ტომების მსგავსად, არაა აღნიშნული გამოცემის წელი და ამდენად ძნელი სათქმელია ხელმოწერიდან რამდენი წლის შემდეგ თარგმნეს ტრაქტატი იტალიურად. მას წინ უძღვის მოკლე შესავალი წერილი, რომლის ავტორი არაა მითითებული, ისევე როგორც უცნობია წელიწადეულის სხვა ტომების გამომცემელთა ვინაობა. ტრაქტატს მოსდევს ქრეკლე II-ს

ფიცის ნიმუშის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში *Полное собрание законов Российской Империи с 1649 года*, XXI, Санкт-Петербург, 1830 გვ. 1017.

როდესაც შესავალი წერილის ავტორი ამბობს, რომ ამ ტრაქტატით სპარსეთის ვასალური ქვეყანა — საქართველო ამჯერად რუსეთის ვასალი გახდა, ამით კატეგორიულ და უკიდურესად პრორუსულ პოზიციას ამჟღავნებს, რომელიც წინ უსწრებს მოგვიანებით ისტორიკოსებსა და სამართალმცოდნეებს შორის გამართულ კამათს იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებები განუსაზღვრა ტრაქტატმა საქართველოსა და რუსეთს. შესაძლოა, ასეთი შეფასება იმანაც განაპირობა, რომ ტრაქტატი ზედმეტად თავისუფლადაა თარგმნილი და VI მუხლში გამოტოვებულია ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის სამხედრო მმართველობასა და მინისტრ-რეზიდენტს უფლება არ ჰქონდათ, ჩარეულიყვნენ ქართლ-თახეთის საშინაო საქმეებში; ასევე, XII მუხლის თარგმანში გამოტოვებულია ის პირობა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი ცვლილება ტრაქტატის ტექსტში ორივე მხარის ურთიერთშეთანხმებით უნდა მომხდარიყო. შესაძლოა სეპარატული მუხლების არცოდნამაც აფიქრებინა წინათქმის შემდგენელს, რომ ქართლ-თახეთი ამ ტრაქტატით რუსეთის იმპერიის ვასალობას ითხოვდა. ასევე უცნობია, თუ რომელი ენიდან თარგმნეს ტრაქტატის ტექსტი. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ იტალიური ტექსტის მსგავსად, მის ფრანგულ თარგმანშიც, რომელიც 1783 წელს *Nouvelles*

*extraordinaires de divers endroits*-ს (“სხვადასხვა მხარის შესახებ უჩვეულო ცნობების”) 89-ე ნომრის დამატებაში გამოქვეყნდა, მე-ნ და მე-12 მუხლები შემოკლებულია ზუსტად ისე, როგორც იტალიურ რედაქციაში და მთლიანად გამოტოვებულია ტრაქტატის პრეამბულა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იტალიელი მთარგმნელისაგან განსხვავებით, ანონიმი ფრანგი მთარგმნელი სათაურშივე – *Substance de la Convention conclue entre S. M. Impériale de toutes les Russie et Son Altesse Héraclius II Prince ou Czar de Cartalinie et de Kachet, signée dans la Forteresse Georges le 24 Juilliet 1783* (“მის უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორსა და მის უგანათლებულესობა ქართლისა და ძახეთის მთავარს ანუ ცარს მრეკლე II-ს შორის 1783 წლის 24 ივლისს ბიორგის ციხესიმაგრეში ხელმოწერილი შეთანხმების დედაარსი”) – ამცნობს მკითხველს, რომ თარგმანში ტრაქტატის მხოლოდ “დედააზრი”, ანუ მოკლე შინაარსია გადმოცემული.

ფრანგული ტექსტისაგან განსხვავებით, გერმანულ თარგმანში, რომელიც *Neues St.-Petersburgisches Journal*-ის (“სანაქტ-პეტერბურგული ახალი ამბების გაზეთის”) 1783 წლის მესამე ნაწილში გამოქვეყნდა, ტრაქტატი სრული სახითაა წარმოდგენილი პრეამბულის ჩათვლით.

ძვემოდ მოგვყავს *Storia dell'anno MDCCLXXXIII*-ში გამოქვეყნებული შესავალი წერილის, ტრაქტატისა და ერთგულების ფიცის ტექსტი:

ამასობაში, ვიდრე რუსეთში წყდებოდა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ისეთი სერიოზული რამ, როგორც რელიგიური



საკითხია, მის საგარეო პოლიტიკაში ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა მწიფდებოდა, რომლის შედეგად [რუსეთის] იმპერიამ თავისი საზღვრების გაფართოება შეძლო, რამაც საშუალება მისცა, თავისი სავაჭრო ქსელში აზიაც მოექცია. საქართველოს მმართველ ორ მთავართაგან ერთ-ერთმა, სამეგრელოსა [sic!] და ტახეთის ხელმწიფე პრეკლე II ტეიმურაზის ძემ [Eraclio II Teimarasovvitz], რომელიც სპარსეთის ვასალი იყო, თავისი თავი და თავისი მემკვიდრეები რუსეთის იმპერიის ვასალად გამოაცხადა და ამგვარად მთლიანად ჩამოშორდა სპარსეთის იმპერიას, რომლისგანაც უკვე რამდენიმე წელი მნიშვნელოვნად იყო დაშორებული. ამ მთავრის მიერ ერთის ვასალობიდან მეორეში გადასვლის დასაქანონებლად პეტერბურგის საიმპერატორო კარსა და მთავარ პრეკლეს შორის შემდეგი ხელშეკრულება დაიდო:

პეტერბურგის საიმპერატორო კარსა და  
ქართლისა და ტახეთის მეფეს [Czar]  
მთავარ პრეკლე II-ს შორის დადებული ტრაქტატი

მუხლი I. მეფე ქართლისა და ტახეთისა თავისი და მისი მემკვიდრეების სახელით სამარადისოდ უარს ამბობს ყოველგვარ დამოკიდებულებაზე სპარსეთსა ან სხვა მპყრობელზე და ამ [ტრაქტატით] საჩვეყნოდ აცხადებს, რომ არ ცნობს თავის თავზე და მის მენაცვლეებზე სხვის უზენაესობას ან მაღალ მფარველობას, მისი იმპერატორული უდიდებულესობისა და რუსეთის იმპერიის ტახტზე მისი მემკვიდრეების გარდა, და მის ტახტს ერთგულებასა და პატივისცემას უცხადებს და აღუთქვამს ყოველგვარ სამსახურს, რომელსაც ვითარებისდა შესაბამისად მოსთხოვენ.

II. მისი იმპერატორული უდიდებულესობა შეიწყნარებს მისი უგანათლებულესობის გულწრფელ აღთქმას, რისთვისაც

თავისი თავისა და მისი მემკვიდრეების სახელით ქართლისა და ქახეთის მეფეს ჰპირდება, რომ ყოველთვის შეუძლია ჰქონდეთ მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ არა მხოლოდ ამჟამინდელი სამფლობელოების, არამედ ყველა იმ სამფლობელოს მფარველობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის იმედი, რომლებიც შესაძლოა, მომავალში მოიპოვოს.

III. ჰოველი მეფე მემკვიდრეობითობით ტახტზე ასვლისას ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს რუსეთის კარს დესპანის საშუალებით და დაელოდოს მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ რეგენტად დამტკიცებას როგორც კი გადასცემენ ინვესტიტურის ნიშნებს, ანუ სიგელს, რუსეთის იმპერიის გერბიან დროშას, რომლის შუაში მოთავსებული იქნება ქართლისა და ქახეთის სამეფოების გერბი, და ამის გარდა, მიიღებს ხმაღს, საბრძანებელ კვერთხსა და ყარყუმის მანტიას, მეფე ვალდებული იქნება, რუსეთის მინისტრის წინაშე საზეიმო ფიცით აღიაროს რუსეთის ხელმწიფის უზენაესობა და მფარველობა, გამოუცხადოს მას ერთგულება და პატივი სცეს მის იმპერატორულ უდიდებულესობას.

IV. მეფე ვალდებულებას იღებს, რომ მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ დადგენილ სასაზღვრო ჯარის მთავარსარდლებთან და რუსეთის მიერ მის კარზე რწმუნებულ მინისტრთან შეუთანხმებლად არ ექნება ურთიერთობა მეზობელ სამფლობელოთა მთავრებთან. თუ რომელიმე მთავარი დესპანებს ან წერილებს გამოუგზავნის, არ მიიღებს და არ უპასუხებს მისი იმპერატორული უდიდებულესობის ზემოაღნიშნულ სარდლებთან და მინისტრთან მოთათბირების გარეშე.

V. მინიდან მის შგანათლებულესობას სურს, ჰყავდეს მინისტრი ან რეზიდენტი მისი შდიდებულესობის კარზე, მისი იმპერატორული შდიდებულესობა თანახმაა, მიიღოს და ცნოს იგი სხვა რეგენტ მთავართა მინისტრების თანასწორ რანგში. მისი იმპერატორული შდიდებულესობა, აგრეთვე, გამოაგზავნის მინისტრს მეფის კარზე.

VI. მისი იმპერატორული შდიდებულესობა როგორც თავისი, ასევე მისი მემკვიდრეების სახელით პირობას იძლევა: 1. ზემოხსენებული სამეფოების ხალხებს თავის მოკავშირეებად შერაცხავს და, შესაბამისად, ყველა მათი მტერი — მისი მტერი გახდება. ბქედან გამომდინარე, ისმალეთის პორტასთან, სპარსეთთან ან ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან დადებული საზავო ხელშეკრულება ხსენებულ ერებსაც შეეხება; 2. სამუდამოდ და უცვალეבלად შეუნარჩუნებს მის შგანათლებულესობა მეფე პრეკლე II ტეიმურაზის ძეს, მის მემკვიდრეთ და შთამომავლობას შართლისა და ტახეთის სამეფოების ხელისუფლებას; 3. მეფეს დაუტოვებს თავისი სახელმწიფოების განმგებლობას, მასზე გადასახადების გაწერა-აკრეფას და სხვ.

VII. მისი შგანათლებულესობა მეფე როგორც თავისი, ასევე მისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს: 1. მარად მზად იქნება, თავისი ჯარით ემსახუროს მის იმპერატორულ შდიდებულესობას; 2. მის [მისი იმპერატორული შდიდებულესობის] სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებს ყოველთვის შეუთანხმებს მისი იმპერატორული შდიდებულესობის მიერ დანიშნულ სარდლებს, ყოველივეს იღონებს მათი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და დაიცავს მისი იმპერატორული შდიდებულესობის ქვეშევრდომებს განსაცდელისა და შევიწროებისაგან. 3. მის სამსახურში მყოფ პირთა თანამდებობაზე დანიშვნისა და

დაწინაურებისას გაითვალისწინებს მათ დამსახურებას რუსეთის იმპერიის წინაშე, რომლის დაცვასა და უსაფრთხოებაზე დიდად არის დამოკიდებული ქართლისა და ტახეთის სამეფოების კეთილდღეობა.

VIII. ამასთანავე მისი იმპერატორული უდიდებულესობა აღუთქვამს: 1. ზემოხსენებული სამეფოების არქივისკოპოსს ექნება რუსეთის არქივთა [degli Archivi; sic! უნდა იყოს: არქიერთა] მერვე რიგის ხარისხი, პირველი ადგილი ტობოლსკის [არქიეპოსკოპოსის] შემდეგ და სამუდამოდ მიენიჭება წმინდა სინოდის წევრის წოდება (რაც შეეხება ქართველების [Grusini] ეკლესიას, ამაზე საგანგებო მუხლში იქნება საუბარი).

IX. ქართლისა და ტახეთის თავადაზნაურობა გაუთანაბრდება მისი იმპერატორული უდიდებულესობის კეთილშობილებს და მის სამფლობელოებში ყველგან იგივე უფლებებითა და პრივილეგიებით ისარგებლებს.

X. ქართლისა და ტახეთის მკვიდრთ უფლება ეძლევათ, დასახლდნენ რუსეთში, გავიდნენ მის ფარგლებს გარეთ და დაბრუნდნენ, როდესაც მოესურვებათ; ტყვეებს, რომლებიც რუსეთის ჯარის მიერ ან მოლაპარაკების გზით იქნებიან გამოხსნილი, თუ მოისურვებენ, უფლება ექნებათ, დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, და მხოლოდ მათი გამოხსნისა და მგზავრობისათვის გაწეული ხარჯი დაედებათ ვალად. მეფე საზეიმოდ აცხადებს, რომ ასევე მოეპყრობა მეზობელ [სახელმწიფოთა] ტყვეობაში ჩავარდნილ რუსეთის ქვეშევრდომებს.

XI. ქართლისა და ტახეთის ვაჭრებს შეეძლებათ, თავისუფლად შეიტანონ თავიანთი საქონელი რუსეთში, სადაც იგივე

უფლებები და პრეროგატივები ექნებათ, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომებს აქვთ; ასევე, მეფე პირობას იძლევა, რომ მისი იმპერატორული უდიდებულესობის სარდლებთან და მინისტრთან შეთანხმებით იმოქმედებს და ხელს შეუწყობს რუს ვაჭრებს როგორც თავის ქვეყნებში, ასევე მათ მგზავრობას მეზობელ სახელმწიფოთა მიმართულებით.

XII. ეს ხელშეკრულება ძალაში იქნება სამუდამოდ.

XIII. [ამ ხელშეკრულების] რატიფიკაციებს [მხარეები] გაცვლიან ექვს თვეში ან უფრო ადრე, თუკი შესაძლებელი იქნება.

*ხელს აწერენ ბიორგის [sic!] ციხესიმაგრეში 1783 წლის  
24 ივლისს*

*პავლე პოტიომკინი*

*თავადი იოანე ბაგრატიონი*

*თავადი ბარსევან შავჭავაძე [Garvvesan Tschavvtschav-  
vadsevv]*

*ზიცის ნიშნულში, რომლითაც ქართლისა და ტახეთის მეფემ თავის სამეფოებზე რუსეთის მონარქთან მფარველობა და ხელისუფლების უზენაესობა უნდა აღიაროს, ერთგულება აღუთქვას და პატივი მიაგოს მის იმპერატორულ უდიდებულესობას:*

მე, ზემოხსენებული, ყოვლისშემძლებელი ღმერთისა და წმინდა სახარებათა წინაშე აღვუთქვამ და ვფიცავ, რომ მსურს, ვიყო მისი იმპერატორული უდიდებულესობის — ქაატერიწე პლექსის ასულის და სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის, და მისი უსაყვარლესი შვილის და დიდი თავადის, რუსეთის საიმპერატორო ტახტის კანონიერი

მემკვიდრის, მისი იმპერატორული უდიდებულესობის — პავლე პეტრეს ძის, და ამასთანავე ყველა მისი შავგუსტოესობის მესაყდრის ერთგული და გულმხურვალედ თავდადებული ჩემი ვალდებულების შესაბამისად; როგორც ჩემი, ასევე ჩემი მემკვიდრეებისა და მესაყდრეთა და ყველა ჩემი სამეფოსა და სამფლობელოს სახელით სამუდამოდ ვაღიარებ მისი იმპერატორული უდიდებულესობისა და მის შავგუსტოეს მემკვიდრეთა უმაღლეს მფარველობასა და უზენაეს ძალაუფლებას ჩემზე და ჩემს მოსაყდრეებზე, ქართლისა და ძახეთის მეფეებზე; ამგვარად, არ ვცნობ ჩემზე, რა ტიტულითაც და სახელითაც არ უნდა იყოს, არავითარი სხვა ხელმწიფისა და მპყრობელის ძალაუფლებასა თუ მფარველობას, და რომ ჩემი წმინდა ქრისტიანული სინდისით თავს ვალდებულად ვთვლი, რუსეთის იმპერიის მტრები ჩემს პირად მტრებად შევრაცხო, დავემორჩილო ყოველთვის, როდესაც მისი უდიდებულესობა ჩემს სამსახურს მოითხოვს მისი იმპერიის საკეთილდღეოდ, რომლისთვისაც ვალდებული ვიქნები, ვიბრძოლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; აღვუთქვამ, რომ კეთილი ურთიერთობა მექნება სამხედრო მეთაურებთან და საერო ხელმძღვანელობასთან, და ასევე მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ დანიშნულ მოხელეებთან, და თუ მისი იმპერატორული უდიდებულესობისა და იმპერიისათვის რაიმე საზიანოს შევიტყობ, მზად ვარ, უმაღლვე ვაცნობო, ანუ ისე მოვიქცე, როგორც მისი იმპერატორული უდიდებულესობის უზენაესი ძალაუფლების წინაშე ჩემს ვალდებულებას, რუს ხალხთან დამაკავშირებელ ერთმორწმუნეობასა და მფარველობისათვის ჩვენს თავზე აღებულ მოვალეობას შეჰფერის.

ამ ფიცის დასტურად ვეამბორები ჩემის მაცხოვრის სიტყვასა და ჯვარს, *ამინ*.



ტრაქტატის მეორე იტალიური თარგმანი, რომელიც აბატ ზრანჩესკო ბეკატინის ეკუთვნის, 1791 წელს ვენეციაში გამოქვეყნდა ზემოხსენებულ *Storia Ragionata dei Turchi, e degl'Imperatori di Costantinopoli, di Germania, e di Russia, e d'altre Potenze Cristiane*-ს (“თურქთა და კონსტანტინოპოლის, ბერმანიის, რუსეთის და სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების იმპერატორთა განმარტებითი ისტორია”) VII ტომში. ტექსტისადმი წამძღვარებულ ისტორიულ მიმოხილვაში აბატი ბეკატინი ხოტბას ასხამს რუსებს იმისათვის, რომ მათ შეძლეს 1774 წლის ქუჩუქ-ტაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში შეეტანათ მე-17 მუხლი, რომლითაც ქართლისა და სამეგრელოს საზღვრებთან მდებარე ციხესიმაგრეები ქართველებს უნდა გადასცემოდა; მაგრამ მას მხედველობიდან რჩება ის ფაქტი, რომ 23-ე მუხლის ძალით, ქართლის, სამეგრელოსა და იმერეთში მდებარე სხვა ციხესიმაგრეები ოსმალეთს გადაეცა და, რაც მთავარია, დადგინდა, რომ რუსეთის ჯარებს



უნდა დაეტოვებინათ ქართლ-ქახეთის სამეფო, რის შედეგადაც ქავკასიის ყველა ქვეყანა ოსმალეთის გავლენის სფეროში რჩებოდა. ეს წინააღმდეგობა, შესაძლოა, იმით აიხსნება, რომ წინა, ანუ VI ტომში (რომელიც აგრეთვე მენეციაში გამოიცა 1789 წელს) აბატმა ბეკატინიმ ქუჩუქ-ქაინარჯის საზავო ხელშეკრულების მხოლოდ პირველი ოცი მუხლი თარგმნა და ამდენად არ იცნობდა 23-ე მუხლის პირობებს. მისწრაფება ტრაქტატების ტექსტის შემოკლებისაკენ მრეკლე II-სა და მკატერინე II-ს შორის დადებული ხელშეკრულების თარგმანშიც შეიმჩნევა. აქაც, დედნისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია არა 13, არამედ მხოლოდ 11 მუხლი, გამოტოვებულია “სეპარატული”, ანუ საიდუმლო მუხლები, რომლებიც აბატს არ შეიძლება ბოდა, სცოდნოდა. სამაგიეროდ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ აბატი ტრაქტატს მისი ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ, ანუ 1785 წლის 24 ივლისით ათარიღებს და მასზე მსოფლიოში 1786 წელს მომხდარი მოვლენების გადმოცემისას მოგვითხრობს. ტრაქტატის თარგმანს ხსენებულ ტომში 3-10 გვერდებზე წინ უძღვის შემდეგი წინასიტყვაობა:

რუსეთის იმპერიის მიერ მცირე სათათრეთის (Tartaria), ანუ ტავრიკეს ქერსონესის, ივივე შირიმის, დაპყრობამ მკროპის ზოგიერთი უდიდესი სახელმწიფო, განსაკუთრებით — ღიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია და პრუსია გააღიზიანა; მათ უდავოდ ერთი მიზანი აერთიანებდა: როგორმე შეეჩერებინათ მკატერინე II-ს, როგორც ისინი აცხადებდნენ, უზარმაზარი წარმატება და ჩემშალათ მისი შორს მიმავალი გეგმები.

საფრანგეთი ოსმალეთის პორტას ჩააგონებდა, რომ მის მიერ 1784 წელს [უნდა იყოს: 1774 წელს – ლ. მ.] ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება დამამცირებელი იყო, რითაც მუდმივ თავსატეხს უჩენდა დივანს, რომელსაც ტერბურგის მეტოქე ქვეყნების მინისტრები გამუდმებით არწმუნებდნენ, რომ თუ პირიმი რუსეთის ხელში დარჩებოდა, ეს იმის ტოლფასი იყო, რომ ოსმალეთისათვის ყველაზე მომხიბლავი ევროპული მხარეები ჩამოერთმიათ.

ამ წაქეზებას ამძაფრებდა გამუდმებული კამათი რუსეთთან, განსაკუთრებით – ტონსტანტინოპოლში რუსეთიდან მოღწეული სარწმუნო ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მსცოვანმა მთავარმა პრეკლემ, რომელიც სულთანის ვასალად ითვლებოდა, მოულოდნელად უარი თქვა მისი შმაღლესობის [სულთანის] მფარველობაზე და იმპერატორს აღუთქვა ერთგულება. მის მაგალითს მიბაძეს ბუროისა და იმერეთის ხელმწიფეებმა და სხვა მეზობელი ქვეყნების მფლობელებმა, რომელთა მუდმივი ხვედრი ის იყო, რომ ძლიერი მეზობლის მოხარკე ყოფილიყვნენ.

წინდახედულმა მარშალმა რუმიანცევმა, რომელიც სათანადოდ აცნობიერებდა თავისი სამეფო კარის მიზნებს, ბოლო – 1774 წლის [ქუჩუქ-] ტაინარჯის საზავო ხელშეკრულების XVII მუხლში შეატანინა პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოში, სამეგრელოსა და მასზე დამოკიდებულ მხარეებსა და აგრეთვე რუსეთის ჯარების მიერ დაკავებულ ადგილებში არსებული ციხესიმაგრეები თავად ამ ქვეყნების მთავრების საკუთრებად უნდა ელიარებინათ, ანუ მათ საკუთრებად, ვინც მათ თურქებამდე და რუსებამდე ფლობდა; გარდა ამისა, პორტას აღარ უნდა ჰქონოდა უფლება ამ ქვეყნებიდან ხარკად მოეთხოვა ორივე სქესის ყმაწვილები. ამ მუხლის ძალით, მთავარი პრეკლე ფორმალურად მისი ქვეყნების სრულ ბატონ-პა-

ტრონად იქნა აღიარებული და ყოველგვარი ხარკისა და ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა.

როგორც ჩანს, ოსურქეთის ხელისუფლებამ ვერ შეაფასა და ვერ გაითვალისწინა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ხელშეკრულებას, ანუ უმნიშვნელოდ ჩათვალა რუსეთის შესაძლო გავლენა იმ ხალხებზე, რომლებსაც გარეგნულად რუსულის მსგავსი ან ბერძნულ-კათოლიკური სარწმუნოება აქვთ.

როდესაც თურქები მიხვდნენ თავიანთ მძიმე შეცდომას და შეეცადნენ მის გამოსწორებას, ეს უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ლაპარაკია შავ ზღვასა და ტასპის ზღვას შორის მდებარე ვრცელ მხარეზე, რომელიც ძველად ძოლხეთის, ალბანეთისა და იბერიის სახელით იყო ცნობილი, ხოლო ამჟამად საქართველო, სამეგრელო, იმერეთი, ტახეთი და ბურჯისტანი [sic!] ეწოდება.

ძოლხეთი, რომელმაც სახელი გაითქვა ძველი ბერძენი პოეტების საუცხოო ფანტაზიის, არგონავტების მოგზაურობასა და მედეას სასიყვარულო ვნებებსა და ოქროს საწმისზე შექმნილი მითების წყალობით, მდიდარი იყო ამ ძვირფასი ლითონისა და არანაკლებ ვერცხლის საბადოებით, რითაც ეს მხარე ცნობილი იყო ჯერ კიდევ მითრიდატესა და რომაელი იმპერატორების დროს, თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა, ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

ტავკასიის სხვა მხარეებში დღესაც გვხვდება ბერძნულ ყაიდაზე აგებული დიადი ქლაქების ნანგრევები, რომლებშიც თავის დროზე მამაცი ხალხი ცხოვრობდა. ბარბაროსებს მათ მხოლოდ იმიტომ უწოდებდნენ, რომ არც ბერძნები იყვნენ და არც რომაელები.

